აქტივობებით ჩემს საჩნაშენოებას ვსწავლობ

რსს
მეგობრობა

რელიგიის საქმეთა სამინისტროს გამომცემლობა: 1215

საბავშვო წიგნები: 297

გამომცემლობის დირექტორი	დრ. ფათიჰ ქურთი
გამომცემლობის კოორდინატორი	ბუნიამინ ქაჰრამანი
მრჩეველი	პროფ. დრ. ჰურიე მართი
პროექტი	საგანმანათლებლო მომსახურების გენერალური დირექტორატი
პროექტის მენეჯერი	ქადირ დინჩი
რედაქტორი	ზეინეფ ულვიე ოზქანი
კომისია	ადილ ელზერეი, აიშეგულ გოზერი, დრ. შ. ნიჰალ ზეიბექი, ემინე იალდიზი, ფატიმა ქოტანი, ფათმა სონგური, ჰატიჯე ერდოღანი, მუამმერ შაჰინი, სულეიმენ შენი
მონაწილეობას იღებდნენ	დრ. მ. შუქრუ ქილიჩი, ზ. დონდუ სევენი, ესმა გუნერი, ფირდევს ქისიმი, მ. ფათიჰ ოზერი, იასინ იმელი, აიშე კაია, ომერ ფარუქ იუჯეერი,
გამომცემლობის მეთვალყურე	ისმაილ დერინი
თარგმნა	თამაზ მიქელაძემ
გრაფიკა და დიზაინი	ბილალ ილქაი

გამოცემისთვის მომზადება	ალი ჯინქი, ომერ ფარუქ იუჯეერი
გამომცემლობა	გამომცემლობა შპს ქორზა იენიჯე, ჩუბუქის გზატკეცილი §§: 3 ესენბოღა. ანკარა. ტელ: 0312 384 20 03 6. გამოცემა. ანკარა. მაისი.2020
სახელმძღვანელოს სარედაქციო კომისიის გადაწყვეტილება	19. 01. 2015/26 ისბნ.: 978-975- 19- 6512-7 2020-06-ი-0003-1215 სერთიფიკატის ნო: 12930 რელიგიის საქმეთა სამინისტრო

საკონტაქტო ინფორმაცია	რელიგიის გამომცემლობის გენერალური დირექტორატი ბეჭდვური გამომცემლობის სამმართველო უნივერსითელერი. დუმლუფინარის ბულვარი. §: 147/ა 06800 ჩანქაია. ანკარა ტელ: 0312 295 72 93-94. ფაქსი: 0312 284 72 88 ე-პოსტა: დინიყაინლარდიყანეტ. გოვ.ტრ

სახელმძღვანელო მომზადებულია საგანმანათლებლო სამსახურის გენერალური დირექტორატის მიერ ყურანის კურსების შემსწავლელი პროგრამის პარგლებში.

muslim georgia international charity foundation

საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი

وقف تضامن دولي مسلم جورجيا

muslim georgia uluslararası yardımlaşma vakfı

www.muslimgeorgia.org info@muslimgeorgia.org

muslim.georgia.18 muslim.georgia.54

georgiaquran muslim_georgia

muslimgeorgiaquran muslimgeorgia

ძვირფასო ბავშვებო,
რელიგიის საქმეთა სამინისტრომ
თქვენთვის ყურანის სწავლების კურსი
მოამზადა და
ამავდროულად, თქვენ გაივლით რელიგიის
სწავლების კურსს,
რაც მთელი ცხოვრების მანძილზე გამოგადგებათ.
გილოცავთ თქვენ და თქვენს ოჯახებს.
ეს წიგნი სპეციალურად თქვენთვისაა
მომზადებული. ჩვენ გვჯერა, რომ საზოგადოების
სამაგალითო წევრებად ჩამოყალიბდებით.
გისურვებთ წარმატებას,
ბედნიერებას და სიხარულს.
რელიგიის საქმეთა სამინისტრო

საძრავი

რწმენა 7

ღვთისმსახურება 51

სიერი 125

მორალი 169

რწმენა

რწმენის საფუძვლებს ვსწავლობ

8 მე ვსწავლობ თევჰიდსა და შაჰადას

14 მე ვსწავლობ ისლამსია
და რწმენის საფუძვლებს

20 მე მწამს ღმერთის

26 მე მწამს ანგელოზების

29 მე მწამს წმინდა წიგნების

38 მე მწამს შუამავლების

44 მე მწამს საიქიო ცხოვრების

46 მე მწამს ბედისწერისა და შემთხვევისა

1. თავი

მე ვსწავლობ თევჰიდსა და შაჰადას

თევჰიდი და შაჰადა

„ლაა ილაჰე ილლელლაჰ“, „ეშჰედუ ენ ლაა ილაჰე ილლელლაჰ ვე ეშჰედუ ენნე მუჰამმედენ აბდუჰუ ვე რესულუჰ“. ეს სიტყვები ეზნის მოსმენისას ან მეჩეთში ლოცვისას ყველას გაგვიგონია.

„ლაა ილაჰე ილლელლაჰ მუჰამმედუნ რესულულ-ლაჰ“ - ეს წინადადება სიტყვიერ თევჰიდს გამოხატავს. ის ნიშნავს: „არ არსებობს სხვა ღმერთი, გარდა ალლაჰისა და მუ-ჰამმედი მისი შუამავალია“.

სიტყვიერი თევჰიდი

თევჰიდი ისლამის საფუძველია.
ყველაზე ლამაზი სიტყვაა,
ლაა ილაჰე ილლელლაჰ
მუჰამმედუნ რესულულლაჰ!

ერთადერთია ალლაჰი
სხვა ღმერთი არ არსებობს,
ლაა ილაჰე ილლელლაჰ
მუჰამმედენ რესულულლაჰ!

რაც შეეხება შაჰადას, **„ეშჰედუ ენ ლაა ილაჰე ილელლაჰ ვე ეშჰედუ ენნე მუჰამმედენ აბდუჰუ ვე რესულუჰ“.** ის ნიშნავს: „ვადასტურებ, რომ არ არსებობს სხვა ღმერთი, გარ-და ალლაჰისა და და ასევე ვადასტურებ, რომ მუჰამმედი მისი შუამავალია“.

თავჰიდის და შაჰადას წარმოთქმის შედეგად ადამიანი მუსლი-მი ხდება. ამ სიტყვების წარმოთქმით ადამიანი აღიარებს, რომ ღმერთი ერთია და მას არ ჰყავს ტოლი და სწორი და ასევე აღია-რებს, რომ მუჰამმედი მისი მონა-მსახური და შუამავალია.

ისლამის მიღების უპირველესი პირობა ამ სიტყვების წარმოთქ-მაა.

ვისწავლოთ ერთი აიათი

„არ არის ღვთაება, გარდა მისი - ალლაჰისა! მას ეკუთვნის ყველაზე მშვენიერი სახელები!“

(ტაჰა 8)

მე ვიცი ღმერთის შესახებ

ჩვენ ღმერთმა გაგვაჩინა. ის არის გამჩენი ყოველთა და მას არ გააჩნია ტოლი და სწორი. სხვა ღმერთი არ არსებობს. მხოლოდ ისაა სარჩოს მბოძებელი. მხოლოდ ისაა შვების მომგვრელი. მხოლოდ მას გააჩნია ძალა, რომლითაც სამყაროს მართავს. მხოლოდ ის მოგვმადლის სიკეთეს და უბედურების ჟამს მხოლოდ მას მივეკედლებით.

ჩვენი და ასევე ყველა არსების გამჩენი ღმერთია. სწორედ ისაა ცისა და დედამიწის გამჩენი. მან გააჩინა ის უთვალავი წყალობა, რითიც ჩვენ ვსარგებლობთ. მას ვუყვარვართ, გვიცავს და ყველაზე უკეთ იცის, რა გვჭირდება.

როდესაც ვამბობთ, „ლაა ილაჰე ილლელლაჰ“, ამავდროულად ღმერთის სახელსაც ვახსენებთ. გარდა თავჰიდისა და შაჰადასი, არსებობს სხვა სიტვებიც, რითიც ღმერთის ხსენება შეგვიძლია. მათგან ზოგი ესენია: „ბისმილლაჰირრაჰმანირრაჰიმ“, „ელჰამდულილლაჰ“, „ალლაუ ექბერ“.

როდესაც რაიმე საქმეს ვიწყებთ, ვამბობთ „ბისმილლაჰირრაჰმანირრაჰიმ“. ამით ღვთისადმი სიყვარულსა და მასზე მინდობას გამოვხატავთ.

ღმერთის სახელის ხსენებით ჩვენ ვგრძნობთ, რომ ის ყველგან და ყოველთვის ჩვენთანაა და გვეხმარება.

!

- ღმერთი ერთია და ისაა ყოველთა გამჩენი.
- ის გაჩენილთაგან არავის გავს.
- ყველა ის წყალობა, რასაც ვჭამთ, ვსვამთ და ვიყენებთ, ყველაფერი მან გვიბოძა.

ბისმილლაჰირრაჰმანირრაჰიმ

ღმერთის სახელის ხსენება ჩვენს სარწმუნოებაში ძალიან ხშირია. ჭამის დაწყებისას, სკოლაში წასვლისას, დაძინებისას, გაკვეთილების მომზადებისას, ყოველთვის ღმერთის სახელს ვახსენებთ. შუამავალი გვასწავლის, რომ ღვთის სახელით დაწყებული საქმე წარმატებით დასრულდება ღვთის სახელით დაწყებული სუფრა ბარაქიანი იქნება.

ელჰამდულილლაჰ

ყველა კეთილი საქმის ბოლოს ვამბობთ **„ელჰამდულილლაჰ“**. ამით ღმერთს მადლობას ვწირავთ.



ალლაჰუ ექბერ

ზოგჯერ ვამბობთ „ალლაჰუ ექბერ“, რითიც გამოვხატავთ, რომ ღმერთი დიადია.

ბისმილლაჰ

ბისმილლაჰ პირველი ნაბიჯია,
ბისმილლაჰით დავიწყე
შენი ცოდნა წყალობაა
ღმერთო, შენ შემეწიე.

ბისმილლაჰ გასაღებია
მრავალი კარის შემღები
ღმერთი წყალობით მოგვხედავს
ბისმილლაჰს თუ წარმოვთქვამთ.

ბისმილლაჰ ბარაქაა,
იმეორე ხშირ-ხშირად.
აგვაშორებს უბედურებას,
ღვთის სახელის ხსენება.

ბისმილლაჰ! ამბობს სამყარო,
„ბისმილლაჰ“ -თქვი შენც ადამ,
გულში ხინჯი არ დაგვჩრება,
თუ კი ვიტყვით „ბისმილლაჰ!“

ვიფიქროთ, გამოვიკვლიოთ, გავუზიაროთ!

- ვის ეწოდება მუსლიმი?
  რა უნდა წარმოთქვას მუსლიმმა?
- თავჰიდისა და შაჰადას მნიშვნელობა უფროსებს ვკითხოთ და რასაც გვასწავლიან, თანატოლებს გავუზიაროთ.
- გამოვიკვლიოთ და გავიგოთ რას ნიშნავს ბისმილ-ლაჰ, თავჰიდი, შაჰადა, ელჰამდულილლაჰ, ალლა-ჰუ ექბერ და სხვა მსგავსი სიტყვები, რომლებსაც ყოველდღიურ ცხოვრებაში ხშირად ორებთ.

ერთი აიათი და ერთი ჰადისი

ღმერთს ძალიან ვუყვარვართ. ის ბრძანებს:

„რომელთაც ირწმუნეს და ჰქმეს სიკეთენი, ახარე მათ სამოთხენი, რომლის ძირს მოედინება მდინარეები და ყოველთვის, როცა იქ მათ რაიმე ნაყოფი საზრდოდ ებოძებათ“... **(ბაყარა 25)**

- აიათის მიხედვით ღმერთი სამოთხით ვის გაახარებს?

.....

.....

.....

შუამავალი ბრძანებს:

„ნებისმიერი საქმე, რომელიც ღმერთის სახელით არ იწყება, უბარაქოა“ **(ჰადისი)**

- რას ნიშნავს უბარაქო საქმე?

.....

.....

- დაწერეთ სამი კარგი ქცევა:

1. .....
2. .....
3. .....

სალიჰსა და სენას დაეხმარები?

მეგობრებო!
სენა და სალიჰი ცდილობენ შეავსონ ცარიელი ადგილები შემდეგ წინადადებებში, რომლებიც თავჰიდსა და შაჰადას გამოხატავს. რას იტყვით, დაეხმარებით?

თავჰიდი

ლაა _____ ილლელლაჰ

მუჰამმედუნ _____

შაჰადა

ეშჰედუ _____ _____ _____ ილლელლაჰ

ვე ეშჰედუ _____ _____

აბდუჰუ ვე რესულუჰ.

- როდის და რატომ წარმოვთქვამთ თავჰიდსა და შაჰადას?

.....

.....

- შენს ირგვლივ, სამდე გინახავს ადგილი, სადაც თავჰიდი წერია?

.....

.....

- თავჰიდისა და შაჰადას მნიშნელობას დაწერ?

.....

.....

2. თავი

ისლამისა და რწმენის საფუძვლებს ვსწავლობ

ჩემი სარწმუნოება ისლამია

ჩვენ მუსლიმები ვართ. ჩვენი სარწმუნოება ისლამია. ჩვენ გულით გვწამს ღმერთის და ასევე გულით გვწამს, რომ მუჰამმედი მისი შუამავალია. ჩვენ გვწამს ღმერთის, ანგელოზების, წმინდა წიგნების, შუამავლების, განკითხვის დღისა და ბედისწერისა. ესენი რწმენის პირობებია, რომელსაც მოკლედ **„ამენთუ“** ეწოდება.

რწმენის საფუძვლები:

1. ღმერთის რწმენა;
2. ანგელოზების რწმენა;
3. წმ. წიგნების რწმენა;
4. შუამავალების რწმენა;
5. განკითხვის დღის რწმენა;
6. ბედისწერის რწმენა.

ჩვენ ვიცით, რომ...

- ღმერთი ერთია. ჩვენ და ყველაფერი, რაც სამყაროშია, მან გააჩინა
- ღმერთს ჰყავს ანგელოზები. ისინი უმანკო არსებები არიან და ღვთის ბრძანებებს უნაკლოდ ასრულებენ.
- ღმერთმა წმინდა წიგნები მოგვივლინა, რათა სწორად ცხოვრების წესები ვისწავლოთ.
- ღმერთმა სამაგალითო ადამიანები გამოგვიგზავნა, რომლებსაც შუამავლებს ვუწოდებთ.
- ღმერთი ადამიანებს სიკვდილის შემდეგ ისევ გააცოცხლებს. საიქიოში ყველა ადამიანს ამქვეყნიური ცხოვრების შესახებ განკითხვა ელოდება.
- ღმერთმა ყველაფერი იცის და ყველაფერი ზომიერების ფარგლებში აქვს გაჩენილი. ყველაფერი ღვთის ნებით ხორციელდება.

იცოდით?

შუამავლის სიტყვებს „ჰადისი“ ეწოდება.

ერთ ჰადისს ვსწავლობ

„მუსლიმი ის ადამიანია, რომლის ხელისა და ენისგან ვინმე არ დაზარალდება“.

ჩვენ მორწმუნეები ვართ. ჩვენ გვწამს და ამ რწმენით ამ დედამიწას ვალამაზებთ. მხოლოდ ღმერთს ვეთაყვანებით და ვსასოებთ. ჩვენ ისე ვცხოვრობთ, როგორც შუამავალი გვასწავლის. ჩვენ ვზრუნავთ, რომ დედამიწაზე სიკეთემ იმრავლოს და ბოროტებას წინ აღვუდგებით ხოლმე.

ისლამის პირობები

1. შაჰადას წარმოთქმა;
2. ლოცვა;
3. მარხვა;
4. ზექათი;
5. ჰაჯი.

ჰადისს ვსწავლობ

„ისლამს ხუთი საფუძველი აქვს: აღიარება იმისა, რომ ალლაჰის გარდა სხვა ღმერთი არ არსებობს და მუჰამმედი მისი შუამავალია. ნამაზის ლოცვა, რამადანში მარხვა, ზექათის გაცემა და ვისაც შესაძლებლობა აქვს ჰაჯზე წასვლა“.

ისლამი მშვიდობის რელიგიაა. მუსლიმი სანდო ადამიანია, რადგან მისი ხელიდან და ენიდან ვინმე არ დაზარალდება. მუსლიმი მშვიდობის, კეთილდღეობისა და სამართლიანობის გარანტია. ისლამის მოძღვრებას ვინც მიყვება, ყოველთვის ძმურად და მეგობრულად ცხოვრობს.

ჩვენ მუსლიმები ვართ!

- ჩვენ გვიყვარს გამჩენი და ასევე გვწამს, რომ მასაც ვუყვარვართ.
- ჩვენ ვიცით, რომ ღმერთი ყველაფერს ხედავს და ყველაფერი ესმის, ამიტომ ყოველთვის სიმართლეს ვამბობთ.
- ასევე ვიცით, რომ ღმერთი სამართლიანია და სამართლიანობა უყვარს, ამიტომ უსამართლოდ არავის ვექცევით.
- ჩვენ გვწამს, რომ ყველაფერი ღმერთმა გააჩინა და ყველას მიმართ უსაზღვროდ მწყალობელია.

ამენთუ

„ამენთუ ბილლაჰი ვე მელაიქეთიჰი ვე ქუთუბიჰი ვერუსულიჰი ველიევმილ აჰირი ვე ბილ ყედერი ჰეირიჰი ვე შერრიჰი მინელლაჰი თეალა ველ ბეჰსუ ბეღდელ მევთი ჰაყყუნ. ეშჰედუ ენ ლაა ილაჰე ილლელლაჰ ვე ეშჰედუ ენნე მუჰამმედენ ღებდუჰუ ვე რესულუჰ“.

შინაარსი

მე მწამს ღმერთი, ანგელოზები, წმინდა წიგნები, შუამავლები, განკითხვის დღე და ბედისწერა. სიკვდილის შემდეგ აღდგომა ჭეშმარიტებაა. ვადასტურებ, რომ არ არსებობს სხვა ღმერთი, გარდა ალლაჰისა. ასევე ვადასტურებ, რომ მუჰამმედი მისი შუამავალია.“

?

ვიფიქროთ, გამოვიკვლიოთ გავუზიაროთ!

- შუამავლის ჰადისის მიხედვით მუსლიმის ხელიდან და ენიდან ვინმე არ დაზარალდება. ამგვარი განმარტება რას გულისხმობს? მოდით ვიფიქროთ მეგობრებთან ერთად და ერთიმეორეს აზრები გავუზიაროთ.

მოდით, შევავსოთ!

მეგობრებო!

მოდით რწმენის პირობები ჩამოვწეროთ.

მოდით შევავსოთ!

მეგობრებო!

მოდით ისლამის პირობები ჩამოვწეროთ!



1. ღვთისმსახურება ღვთის წინაშე კარგი მსახურება და წყალობის მიმართ მადლიერების გამოხატვაა. რომელია ღმერთის ყველაზე საყვარელი ღვთისმსახურება?
2. შეგიძლიათ დაასახელოთ ისეთი ქცევები, რომლებიც ცოდვა ან მადლია.

დავალაგოთ სწორი თანმიმდევრობით

ძვირფასო მეგობრებო,
ქვემოთ მოცემულ ფიგურებში მოცემულია ისლამისა და რწმენის პირობები. შეგიძლიათ სწორად დაალაგოთ?

ანგელოზების რწმენა

ზეკათის გაცემა

ლოცვა

შაჰადას წარმოთქმა

ღვთის რწმენა

მარხვა

შუამავლების რწმენა

ჰაჯი

განკითხვის დღის რწმენა

ბედისწერისა და შემთხვევის რწმენა

წმ. წიგნების რწმენა

ისლამის პირობები

1 .....

2 .....

3 .....

4 .....

5 .....

რწმენის პირობები

1 .....

2 .....

3 .....

4 .....

5 .....

6 .....

3. თავი

ღმერთის მწამს

ღმერთმა გააჩინა

ყველაფერი, რასაც ვხედავთ და რის შესახებაც გვსმენია ან არ გვსმენია და არსებობს, ღმერთმა გააჩინა. ღმერთმა ჯერ სამყარო გააჩინა. ცა, გალაქტიკები, ვარსკვლავები, პლანეტები, ყველაფერი გარკვეულ წესრიგს დაუქვემდებარა. ამ წესრიგის მიხედვით ჩამოყალიბდა დღე-ღამისა და წელიწადის დროების მონაცვლეობა. შედეგად დედამიწაზე შეიქმნა ცოცხალი არსებებისთვის საჭირო საარსებო პირობები.

დედამიწის მზისგან დაშორებაც კონკრეტული მანძილითაა განსაზღვრული. დედამიწა მზესთან უფრო ახლოს რომ ყოფილიყო დაიწვებოდა, ხოლო ზედმეტად შორს რომ ყოფილიყო, გაიყინებოდა.

დედამიწაც ღმერთის გაჩენილია. ღმერთმა დედამიწაზე ყველაფერი გააჩინა საიმისოდ, რომ ცოცხალ არსებებს არსებობა შესძლებოდათ. მზის სინათლე, წყალი, ჰაერი, მცენარეები, ცხოველები, რესურსები და ა. შ. ყველაფერი სიცოცხლისათვის ხელსაყრელ პირობებს ქმნის.

ვისწავლოთ ერთი აიათი

იგია, რომელიც ქარებს გზავნის მახარობლად თავისი წყალობისა. ჩვენ გარდმოვავლენთ ციდან სუფთა და განწმენდილ წყალს, რათა გამოვაცოცხლოთ მკვდარი მიწა და დავარწყულოთ ურიცხვი საქონელი და მრავალი ადამიანი, რომელიც ჩვენვე გავაჩინეთ! (ფურყანი 48-49)

ღმერთმა ადამიანი არაფრისგან გააჩინა

სამყაროს გაჩენის შემდეგ ღმერთმა ადამიანი გააჩინა, რომელიც დედამიწაზე გაჩენილთა შორის ყველაზე მაღალ საფეხურზე უნდა ყოფილიყო. ადამიანი სხვა არსებებისგან განსხვავდება. ადამიანს გონიერება და თავისუფალი ნება გააჩნია. მას ასევე აქვს გრძნობები და მეტყველება და ფიქრი შეუძლია.

ღმერთმა ადამიანი მთელ სამყაროში გამოარჩია და ყველაზე მაღალ საფეხურზე აიყვანა. ღმერთმა ადამიანს ცასა და დედამიწაზე არსებული ყველა სიკეთე უწყალობა. სულიერი არსებები იქნება თუ უსულო საგნები, ღმერთმა ყველაფერი ადამიანს მიაბარა. ადამიანი სარგებლობს მცენარეებით, ცხოველებით და სხვა და სხვა რესურსებით. მთავარია ადამიანმა ყველაფერი ზომიერად და წესისამებრ მოიხმაროს.

ღმერთმა შუამავალები მოავლინა

ადამიანი იბადება, იზრდება, ვითარდება და დროთა განმავლობაში ბერდება. შემდეგ ამქვეყნიური ცხოვრების დასასრული მოვა და ადამიანი კვდება. ღმერთმა ადამიანს, სხვა ცოცხალი არსებებისაგან განსხვავებით, გონება უწყალობა, რომლის საშუალებითაც ადამიანი თავის ცხოვრებას გეგმავს და მიმართულებას აძლევს. თუმცა მხოლოდ გონებითა და სხვა შესაძლებლობებით ადამიანი სწორად ცხოვრებას ვერ შეძლებს და ბედნიერებას ვერ მიაღწევს. ადამიანს სჭირდება გზამკვლევი, მაგალითი, რათა სიკეთისა და ბოროტების ერთმანეთისგან განსხვავება შეძლოს. სწორედ ასეთი მეგზურები არიან შუამავალები.

ღმერთს უყვარს ადამიანიანები, ამიტომ შუამავალები მოუვლინა, რათა სწორად ცხოვრება ესწავლებინა. შუამავლები ღვთიურ გზავნილებს გვაცნობენ და ასევე მაგალითებით გვიჩვენებენ, თუ როგორ მოვიქცეთ. ჩვენც მივყვებით შუამავლების გზას და როგორც ამქვეყნიური, ისე საიქიო ბედნიერებისკენ მივილტვით.

საუკეთესო სახელები ღმერთს ეკუთვნის

ჩვენი გამჩენი ყოვლისშემძლეა. როდესაც სურს, რომ რაიმე არსებობდეს, ის მხოლოდ ბრძანებს „იყავ“ და ისიც გაჩნდება. მას აქვს ძალა, რომ ყველაფერი გააჩინოს.

ყველაფერი, რაც სამყაროში არსებობს, მის მიერაა გაჩენილი. თავისით არაფერი გაჩენილა. სამყარო და ამ სამყაროში არსებული უზადო წესრიგის გამჩენი ერთადერთი ღმერთია.

რაოდენაც გავიცნობთ და დავუახლოვდებით ღმერთს, მის მიმართ სიყვარული მითუფრო გაგვიძლიერდება. ღმერთის გაცნობა მისი სახელების შესწავლით იწყება. მას საუკეთესო სახელები გააჩნია და ეს სახელები მის თვისებებს აღწერს. მაგალითად, „ერ-რაჰმან“ და „ერ-რაჰიმ“, ეს სახელები გვასწავლის, რომ ღმერთი ყოვლად მოწყალე და მწყალობელია. „ელ ვუდუდ“ ნიშნავს, რომ ღმერთს უყვარს გაჩენილები და თავადაც ყველაზე მეტადაა სიყვარულის ღირსი. ღმერთს ვუყვარვართ და ჩვენც გვიყვარს ის. მან გაგვაჩინა და ჩვენი არსებობა მასზეა დამოკიდებული. მისი სიყვარულით სიმშვიდეს ვპოვებთ და გავბედნიერდებით.

ღმერთი თავისი გაჩენილების მიმართ უსაზღვროდ მწყალობელია. ის ყველა ცოცხალ არსებას სარჩოს სწყალობს. მიწაში მცხოვრები ჭიანჭველებიდან დაწყებული ზღვის სიღრმეებში მცურავი არსებების ჩათვლით, ყველა ცოცხალ არსებას ღმერთი კვებავს. ღმერთმა ცოცხალ არსებებს განსხვავებული ფორმები არგუნა და ისინი ერთიმეორისგან განსხვავდებიან.

ღმერთს 99 სახელი აქვს. ღმერთის სახელებს ყურანიდან და შუამავლის ჰადისებიდან ვსწავლობთ. მოდით, ამ სახელებიდან ზოგი ჩვენც შევისწავლოთ.

ღმერთის სახელები

ელ -ეჰად
ღმერთი ერთადერთი და უბადლოა.

ერ-რაჰმან
ღმერთი ყოვლად მიმტევებელი და მწყალობელია.

ერ-რაჰიმ
ღმერთი ყოვლად შემწყნარებელი და მოწყალეა.

ელ ყადირ
ღმერთი ყოვლისშემძლეა

ელ-ბასირ
ღმერთი ყველაფერს ხედავს

ელ-ჰალიყ
ღმერთი ყველაფრის გამჩენია

ელ-ალიმ
ღმერთი ყოვლისმცოდნეა

ელ-ბერრ
ღმერთი ყველა სიკეთისა და სილამაზის მფლობელია

ელ-ჰაფიზ
ღმერთი მფარველია

ელ-გაფფარ
ღმერთი შეცდომებისა და ცოდვების მიმტევებელია

ელ-ვედუდ
ღმერთი სიყვარულის გამჩენი და მსახურთა მოყვარულია.

ეს-სემი
ღმერთს ყველაფერი ესმის

ერ-რეზზაყ
ღმერთი ყველა არსების მაარსებებელი და სარჩოს მწყალობელია

ელ-ქერიმ
ღმერთი ყოვლად ხელგაშლილია

ელ-ადი
ღმერთი ყოვლად სამართლიანია

ვიფიქროთ, გამოვიკვლიოთ, გავუზიაროთ!

- მოდით ამ სახელებით ღმერთის წინაშე ვედრება აღვავლინოთ. პირველ ვედრებას ჩვენ შემოგთავაზებთ: გამჩენო, გაჩენილთა მყვარებელო! მე და ჩემი ოჯახი სამოთხით დაგვაჯილდოვე! ამინ!

ვისწავლოთ ერთი აიათი

„ყველაზე საუკეთესო სახელები ალლაჰისაა. მაშ, შეევედრეთ მას ამით და განერიდეთ, რომელნიც მის სახელების შესახებ ჭეშმარიტებას ცვლიან. მალე მიეზღვებათ იმისათვის , რასაც სჩადიოდნენ!“ (არაფ 180)

ვისწავლოთ ერთი აიათი

„თქვი: ის, ალლაჰი ერთადერთია! ალლაჰი „სამედია“ (ანუ ის არაფერზეა დამოკიდებული, პირიქით, ყველაფერი მასზეა დამოკიდებული)! არ შობილა და არც უშვია (მშობელი არ ყოფილა) და არც არავინ ყოფილა ბადალი მისი (და ვერც იქნება)!“

(იჰლას 1-4)

შენ ხარ ღმერთო

შენ ხარ ჩვენი გამჩენი,
წყალობის მომვლენელი,
სიცოცხლეზე მზრუნველი,
შენ ხარ ჩვენი მშველელი!

ციდან წვიმის მომყვანი,
ცის და მიწის მპყრობელი,
ვარსკვლავების მქრობელი,
მარადის უძლეველი!

ღმერთო, შენ ხარ ამქვეყნად
ჰარმონიის დამდგენი,
სილამაზის სათავე
და ყველაფრის გამჩენი!

ზამთარი თუ ზაფხული,
შენით არის მართული,
შენით არის მოსილი,
შენ ხარ ძლევამოსილი!

ღრუბლებს შენ ამოძრავებ,
გემებს იჭერ ტალღებზე,
მეც კალმით მაწერინებ,
ამ სასწაულ ამბებზე.

ყველა არსებას სჭირდები,
რწმენით გულებში ვლინდები,
ყოფიერების მიზანი,
შენ ხარ და შენვე იქნები!



ვიფიქროთ, გამოვიკვლიოთ, გავუზიაროთ!

- მოვიფიქროთ, ამ ლექსით ღმერთის რომელი თვისებებია წარმოდგენილი.
- მოდით გამოვიკვლიოთ, ის საჭმელები, რომლებსაც მივირთმევთ, სუფრაზე მოხვედრამდე რა ეტაპებს გადის და შემდეგ მეგობრებს გავუზიაროთ.

4. თავი

ანგელოზების რწმენა

ანგელოზების რწმენა

ჩვენ მორწმუნეები ვართ. ჩვენ გვწამს, რომ ანგელოზები არსებობენ. ანგელოზები სინათლისგან გაჩენილი, თვალით უხილავი არსებები არიან. ისინი ადამიანებისგან განსხვავდებიან და განსხვავებული თვისებები გააჩნიათ. მათ აქ გააჩნიათ სქესი. ასევე არ საჭიროებენ კვებას, ძილს და სხვა ადამიანურ მოთხოვნილებებს.

ანგელოზები ცოდვას ან რაიმე სახის ბოროტებას არ სჩადიან. ისინი ყოველთვის კარგი საქმეებით არიან დაკავებული. დღე და ღამ, ყოველთვის ღვთისმსახურებასა და ვედრებას აღავლენენ. ისინი ყოველთვის იმას ასრულებენ, რაც ღმერთმა დაავალა და ამასთანავე ადამიანებს ეხმარებიან. ამიტომ, როდესაც ვინმე ძალიან კარგ ადამიანზე ვსაუბრობთ, ანგელოზივით ადამიანიაო, ვამბობთ.

ანგელოზები ჩვენი მეგობრები არიან. ისინი ჩვენი წარმატების, ჩვენი სამოთხეში მოხვედრის და ასევე ჩვენი უსაფრთხოებისთვის, ღმერთს, მუდმივად ევედრებიან. ანგელოზებს ადამიანების მიერ გაკეთებული სიკეთე დიდ ბედნიერებას ანიჭებს. როდესაც ადამიანი სიკეთეს გააკეთებს, ანგელოზები მისი ცხოვრების წიგნში მადლს წერენ. თუ ადამიანი ცოდვას ან ბოროტებას ჩაიდენს, ანგელოზები ძალიან დამწუხრდებიან და ელოდებიან, რომ ცოდვის ჩამდენმა ეს ცოდვა გაიაზროს, მოინანიოს და ღმერთს შენდობა სთხოვოს.

ანგელოზები ყველგან შეიძლება იყონ. ღმერთმა ისინი უთვალავი რაოდენობით გააჩინა. მათგან ოთხი მთავარანგელოზია და მათი სახელები შემდეგია: ჯებრაილი, მიქაილი, ისრაფილი და აზრაილი. ანგელოზი ჯებრაილი შუამავლებს ევლინება და ღვთის ბრძანებებს გადასცემს. ღმერთმა წმინდა აიათები ანგელოზ ჯებრაილის საშუალებით შუამავალ მუჰამმედს გადასცა. ანგელოზი მიქაილი ბუნებრივ მოვლენებს განაგებს. ანგელოზი აზრაილი კი ცოცხალი არსებების მოკვდინებით არის დაკავებული. როდესაც რომელიმე არსებას სიცოცხლის დრო ამოეწურება, აზრაილი მის სულს მიიბარებს. ანგელოზი ისრაფილი კი ამქვეყნიური ცხოვრების დასასრულს გვამცნობს და როდესაც წარღვნის დღე დადგება „სურას“ ჩაბერავს.

ვისწავლოთ ერთი აიათი

„და ალლაჰის წინაშე სეჯდეს აღასრულებენ, რაცაა ცათა შინა და ქვეყანასა ზედა ყოველი სულიერი და ანგელოზნი. და ისინი არ მედიდურობენ“. (ნაჰლ 49)

მავედრებელი ანგელოზები

ცას და დედამიწაზე,
გვლოცავს დაუღალავი,
ნათელისგან გაჩენილი,
ანგელოზი მრავალი,

ვიფიქროთ, გამოვიკვლიოთ, გავუზიაროთ!

- რა თვისებებს უნდა ატარებდეს ადამიანი, რომ მას „ანგელოზივით ადამიანი“ დაუძახონ?

ოთხი დიდი ანგელოზი

მეგობრებო,

ქვევით მოცემულ უჯრებში ოთხი დიდი ანგელოზის სახელები ჩაწერეთ. ყურადღება მიაქციეთ ხაზებს, რომლებიც ერთი და იგივე ასოებს მიგვანიშნებს.



● ოთხი დიდი ანგელოზის მოვალეობები იცით?

1 .....

2 .....

3 .....

4 .....

5. თავი

წმინდა წიგნების რწმენა

აწმინდა წიგნების რწმენა

ღმერთს ჩვენ ძალიან ვუყვარვართ, ამიტომ მას სურს, რომ ამქვეყნადაც და საიქიოშიც ბედნიერი ვიყოთ. მან მოგვივლინა წმინდა წიგნები, რომლებიც ბედნიერების მიღწევის გზებს გვასწავლის. ამ წმინდა წიგნებს ღვთიური წიგნები ეწოდება და ისინი ღვთურ ბრძანებებსა და აკრძალულებს გვასწავლის.

ღმერთმა ადამიანებს შუამავლების საშუალებით ოთხი დიდი წიგნი მოუვლინა. ესენია, თორა, ზებური, ბიბლია და ყურანი. თორა შუამავალ მოსეს მოევლინა, ზებური- შუამავალ დავითს, ბიბლია შუამავალ იესოს, ხოლო ყურანი - შუამავალ მუჰამმედს.

ჩვენი წმინდა წიგნი ყურანი უცვლელად მოვიდა ჩვენამდე. ის ამქვეყნიური ყოფიერების დასასრულემდე კაცობრიობის გზამკვლევი იქნება. ყურანის შემდეგ სხვა ღვთიური გზავნილი აღარ მოვა.

ღმერთმა ჩვენ მოგვივლინა ოთხი დიდი წმინდა წიგნი, თორა, ზებური, ბიბლია და ყურანი სავსე სიბრძნით.

ყურანი ქერიმი

- არის უკანასკნელი წმინდა წიგნი, რომელიც ღმერთმა ადამიანებს მოუვლინა.
- მასში მოცემული ინფორმაცია ყველა ადამიანს ეხება.
- მისი წაკითხვა და დაზეპირება ღვთისმსახურებაა.
- არაბულ ენაზეა დაწერილი.

„წაიკითხე შენი გამჩენი ღმერთის სახელით!“

ყურანი შუამავალს ერთიანი წიგნის სახით არ მოვლენია. ანგელოზი ჯებრაილი ევლინებოდა და ყურანი ნაწილ-ნაწილ მოჰქონდა. ყურანის სრულად მოვლინებას 23 წელი დასჭირდა.

ყურანის მოვლინება 610 წელს, რამადანის თვეში დაიწყო. იმ ღამეს, როდესაც ყურანის მოვლინება დაიწყო, ყადირის ღამე ეწოდება. პირველი აიათები, რომლებიც ანგელოზმა ჯებრაილმა შამავალს გააცნო, იწყებოდა ბრძანებით: „წაიკითხე!“

იცოდი?

ისლამის პირველი ბრძანებაა „წაიკითხე!“ *(სულა ალაყ, აიათი 1)*

გავიცნოთ ყურანი

- ყურანის თითოეულ წინადადებას აია (აიათი) ეწოდება.
- აიათებისგან შედგენილ ყოველ თავს სურა ეწოდება.
- ყურანში 6236 აიათია.
- ყურანი 114 სურასაგან შედგება.
- ყურანის პირველი სურა ფათიჰა, ხოლო უკანასკნელი -ნასია.
- ყურანის ყველაზე გრძელი სურა ბაყარაა, ხოლო ყველაზე მოკლე- ქევსერი.

რას მოელის ჩვენგან ყურანი?

- ვისწავლოთ ყურანის კითხვა,
- ყურანის კითხვისას მოკრძალებით მოვისმინოთ,
- ვეცადოთ, რომ გავიგოთ ყურანი და ისე ვიცხოვროთ, როგორც ის გვასწავლის.

ვისწავლოთ ერთი აიათი

„ან დაამატე მასზე და ლამაზად იკითხე ყურანი, აუჩქარებლად (დინჯად)“.

(მუზზემმილ, 4)

რას გვასწავლის ყურანი?

ყურანი ღმერთის შესახებ გვასწავლის. ის ასევე გვასწავლის ადამიანს და სხვა ცოცხალ არსებებს, რომლებიც სამყაროში არიან. ყურანი რწმენასა და ღვთისმსახურებას გვასწავლის. ის ასევე გვასწავლის, თუ როგორც მოვექცეთ მშობლებს, უფროსებს, უმცროსებს და ზოგადად ყველა ადამიანსა თუ სხვა არსებებს. ყურანი ცხოვრების ყველა საკითხის შესახებ სწორ ინფორმაციას გვაწვდის და სწორ გზას გვიჩვენებს. ყურანის გზით ცხოვრება ამქვეყნიური და საიქიო ბედნიერების საწინდარია.

ვისწავლოთ ერთი აიათი

„ღმერთო ჩვენო! მოგვეცი ჩვენ სიკეთე ამქვეყნიურ ცხოვრებაშიც და იმქვეყნიურშიც, დაგვიფარე ჩვენ ცეცხლის სასჯელისგან“.

(ბაყარა 201)

ჩვენი საყვარელი შუამავალი „ცოცხალი ყურანი“ იყო. ის საუკეთესო მაგალითია, რომელიც გვასწავლის თუ როგორ გავიგოთ ყურანი და როგორ ვიცხოვროთ. იმ ეპოქას, რომელშიც შუამავალი ცხოვრობდა „ბედნიერების ხანა“ ეწოდება. შუამავლის ცხოვრების პეროდში მცხოვრებმა მუსლიმებმა ბედნიერი საზოგადოება ჩამოაყალიბეს.

ყურანი ვედრებას გვასწავლის

როდესაც ღვთისადმი ვედრებას აღვავლენთ, ამით მისდამი სიყვარულსა და კრძალვას გამოვხატავთ. როდესაც ღმერთს ვევედრებით, ამით მადლიერებას გამოვხატავთ იმ წყალობის გამო, რაც მან გვარგუნა და ასევე ვთქოვთ დაგვეხმაროს და შეგვეწიოს. ღმერთი ჩვენს გულწრფელ ვედრებას მიიღებს და შეგვისრულებს. ყურანში საუკეთესო ვედრების მაგალითებია მოცემული. ამრიგად, ღმერთი გვასწავლის, თუ როგორ უნდა შევევედროთ მას.

იცოდით?

ყურანის თავიდან ბოლომდე წაკითხვას „ჰათმი“ ეწოდება.

ვინც ყურანს თავიდან ბოლომდე ზეპირად ისწავლის „ჰაფიზი“ გახდება.

ვისწავლოთ ერთ ჰადისი

„თვენს შორის საუკეთესო ისაა, ვინც ყურანს შეისწავლის და სხვა ასწავლის“.

ყურანი ღვთისმსახურებას გვასწავლის

ყურანი გვასწავლის თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ღვთისმსახურება და ღვთისადმი თაყვანისცემა. ღმერთი გვასწავლის თუ როგორ უნდა შევასრულოთ ღვთისმსახურება, რათა მისთვის მისაღები მსახურები ვიყოთ. ძირითადი ღვთისმსახურების ფორმები შემდეგია: ნამაზი, მარხვა, ზექათი, ჰაჯი და სხვა.

ღვთისმსახურების შესრულების დროსა და ფორმებს შუამავალი გვასწავლის. შუამავალმა ყველა ღვთისმსახურების შესრულების წესები თავად გვაჩვენა და ისე შეგვასწავლა. ის ბრძანებს: „მე როგორც ვლოცულობ, ისე ილოცეთ“.

ყურანი კარგ ქცევებს გვასწავლის

ადამიანებმა სიმშვიდე, კეთილდღეობა და ბედნიერება რომ მოიპოვონ, ამისათვის საჭიროა ჰქონდეთ საუკეთესო ზნეობა და ყოველთვის კარგად იქცეოდნენ. ყურანი გვასწავლის კარგი ქცევების მაგალითებს და ასევე გვაფრთხილებს ცუდი ქცევების შესახებ.

მშობლების მიმართ პატივისცემა, მიცემული სიტყვის შესრულება, სხვებზე დახმარება, შემწყნარებლობა და მსგავსი დადებითი ქცევები კარგია, ხოლო ტყუილის თქმა, ცილისწამება, შურიანობა და მსგავსი უარყოფითი ქცევები ცუდია და ამ ყველაფერს ყურანი გვასწავლის.

ყურანში ასევე არის იგავები, რომლებიც საუკეთესო მაგალითებს გვიჩვენებენ და რჩევა-დარიგებებს გვაძლევენ. ეს იგავები ისლამამდელ პერიოდში მცხოვრები ხალხის ცხოვრებას ასახავს და ჩვენთვის მაგალითის მომცემია. ისინი ძირითადად ჩვენი შუამავლის წინამორბედი შუამავლების ცხოვრების ისტორიას წარმოადგენს.

ვისწავლოთ ერთ ჰადისი

„ადამიანი, რომელიც ყურანს დაიზეპირებს და ლამაზად იკითხავს, ღირსეულ ანგელოზებთან ერთადაა. ადამიანი, რომელსაც კითხვა უჭირს, მაგრამ მაინც ცდილობს ყურანის წაკითხვას, ორმაგ მადლს მიიღებს“.

შუამავალ ნოეს კიდობანი

პირველი ადამიანისა და შუამავლის, ჰზ. ადამის შემდეგ ხალხმა ჭეშმარიტი რწმენა დაივიწყა და საკუთარი ხელით გაკეთებულ კერპებზე თაყვანისცემა დაიწყო. ამასთანავე, მდიდრები და ძლიერები სუსტებს ჩაგრავდნენ. ადამიანები ძალიან გულქვა გამხდარიყვნენ და შეცოდება, პატიება და შემწყნარებლობა სრულებით დავიწყებოდათ. შედეგად საზოგაოებრივი სიმშვიდე დარღვეული იყო.

ღმერთმა ამ ადამიანებს შუამავალი ნოე მოუვლინა, რათა ისინი ჭეშმარიტი რწმენისკენ მოეხმო და სწორად ცხოვრება ესწავლებინა. შუამავალი ნოე ძალიან სამართლიანი და კეთილი ადამიანი იყო. ის ყველას ეხმარებოდა და ყველას მიმართ გულმოწყალებას იჩენდა. როდესაც ნოეს შუამავლობის მისია დაეკისრა, ხალხს შორის ქადაგება დაიწყო და ყველას ჭეშმარიტი რწმენისკენ მოუწოდა. ხალხმა მას არ მოუსმინა და უფრო მეტიც, ყველამ

დასცინა. შენც ჩვენნაირი ადამიანი ხარ, რატომ უნდა დაგიჯეროთო, ამბობდნენ ისინი და დაცინვას განაგრძობდნენ. მრავალი მცდელობის მიუხედავად შუამავალ ნოეს ძალიან ცოტა ადამიანმა დაუჯერა, სხვები კი ისევ აგრძელებდნენ ბოროტების ჩადენას და უსამართლობას.

ამის მიუხედავად შუამავალი ნოე ქადაგებას მაინც განაგრძობდა და ხალხს ჭეშმარიტი რწმენისაკენ მოუწოდებდა. მის მიმართ ზეწოლა დღითიდღე იზრდებოდა. ბოლოს კი, როდესაც მათი აგრესია აუტანელი გახდა, ნოე ღმერთს შეევედრა და დახმარება სთხოვა. კერპთაყვანისმცემლებმა კი ისევ დასცინეს და უთხრეს, შენს ღმერთს თუ რამ შეუძლია, უთხარი დაგვსაჯოსო.

შემდეგ ურწმუნოთა მხრიდან აგრესია კიდევ უფრო გამძაფრდა. ნოემ ღმერთს მისი და იმ მცირერიცხოვანი მორწმუნეთა გადარჩენა სთხოვა. ღმერთმა ნოეს გემის აგება უბრძანა. მანამდე გემი არავის აეგო, ამიტომ გემის აგება არავინ იცოდა. ღმერთმა ნოეს გემის გაკეთება ასწავლა. ნოემ ტყიდან ხეები მოატანინა და გემი ააგო. გემის აგების შემდეგ ნოემ მორწმუნეთა ჯგუფი ზედ აიყვანა და ამასთანავე, ღვთის ბრძანებისამებრ, ყველა ცოცხალი არსებიდან მამრი და მდედრიც გემში მოათავსა.

მეორე დღეს ცა შავი ღრუბლებით დაიფარა და ისეთი ჭექა-ქუხილი ატყდა, რომ ადამიანებს შიშით გული უსკდებოდათ. შემდეგ კოკისპირული წვიმა წამოვიდა. წვიმა უფრო და უფრო ძლიერდებოდა და გადაღებას სულ არ აპირებდა. ჰზ. ნოემ ყველას გემზე უხმო, რათა გადარჩენილიყვნენ, მაგრამ ურწმუნოებმა მაინც არ დაიჯერეს და მთებში გაიქცნენ, სადაც გადარჩენის იმედი ჰქონდათ. ისინი ვერ გადარჩნენ, რადგან წყალმა მთელი დედამიწა დაფარა.

ამ წარღვნის შედეგად ყველა ურწმუნო დაიღუპა. შემდეგ წყალმა დაბლა დაწევა დაიწყო, ჯერ მთები გამჩნდა, მერე ხევები და შემდეგ დაბლობები. ნოეს კიდობანში გადარჩენილმა ადამიანებმა ახალი ცხოვრება დაიწყეს.



ჰათმის ცერემონიალი

მელიქემ ვარდისფერი ტანსაცმელი ჩაიცვა. ამ დროს დედის ხმა შემოესმა.

დედა:

- მიდი შვილო, ცოტა იჩქარე, თორემ ჰათმის ცერემონიალზე დაგაგვიანდება.

ამ სიტყვებმა მელიქეს სიხარული და მღელვარება უფრო მოუმატა.

დიახ, დღეს მელიქეს ჰათმის ცერემონიალის დღე იყო, რომელსაც მელიქე თვეების განმავლობაში ელოდა.

როდესაც დედასთან ერთად ყურანის სასწავლებლის ეზოში მივიდნენ, იქ მისი მეგობრები, მეზობლები და საყვარელი ზეინაბ მასწავებელი დახვდნენ. მთელი კლასი ყვავილებითა და ბუშტებით იყო მორთული. მელიქე აღფრთოვანებული იყო და გულში: „ნუთუ ეს ყველაფერი ჩემთვის გააკეთეს“-ო ამბობდა.

ზეინაბ მასწავლებელმა შენიშნა და უთხრა:

- დიახ, მელიქე, ეს ყველაფერი შენთვისაა. დღეს შენი ჰათმის დღეა. ჰათმი ყურანის თავიდან ბოლომდე წაკითხვას ნიშნავს, შენც მთელი ყურანი თავიდან ბოლომდე წაიკითხე.

ზეინაბ მასწავლებელმა მელიქეს ხელი ჩასჭიდა და იქვე მაგიდასთან მდგარ სკამზე დასვა. შემდეგ მელიქეს უთხრა დაიწყეო და მელიქემაც კითხვა დაიწყო. ყურანის კითხვისას ზეინაბ მასწავლებელს მათი ადრინდელი საუბარი გაახსენდა და გაიღიმა.

რამოდენიმე დღის წინ ზეინაბ მასწავლებელმა მელიქეს უთხრა, რომ ჰათმის ცერემონიალზე დამსწრეები მისგან ყურანის წაკითხვას მოისურვებდნენ, ამიტომ წასაკითხი ნაწილი, „აშირი“ შევარჩიოთ და მოვამზადოთო. რამოდენიმე დღე მეცადინეობდნენ და ახლა მელიქე ყურანის თავს ძალიან ლამაზად კითხულობდა. როდესაც მელიქემ კითხვა დაასრულა, ყველა იქ მყოფმა მიულოცა, ხოლო ზეინაბ მასწავლებელმა

პატარა გვირგვინი დაადგა. შემდეგ მელიქესთან მისი მეგობარი ჰუმეირა მივიდა და უთხრა:

- „ღმერთის დახმარებით, მალე ყველას გვექნება ჰათმის ცერემონიალი. მეც ბოლო ნაწილზე ვარ და მალე დავასრულებ“.

- ჰო, შენც უკანასკნელ ჯუზზე ხარ. ერთ ჯუზში ოცი გვერდი შედის, ასე რომ შენც მალე დაასრულებ კითხვას, უპასუხა მელიქემ. იქვე იყო ჰაჯერიც, რომელიც მეგობრების საუბარს უსმენდა.

- მასწავებელო, ყურანის კითხვისას ყველა გვერდზე ყვავილების ფორმის ნახატს ვხედავ და ვერაფრით მივხვდი რას უნდა ნიშნავდეს, იკითხა ჰაჯერმა.

- ყოჩაღ ჰაჯერ, -უთხრა მასწავლებელმა. რა დაკვირვებული ხარ. ყურანის თითეულ წინადადებას აიათი ეწოდება. თითოეული ასეთი ნიშანი კი ამ აიათების დასრულებას აღნიშნავს. ეს აიათები გაერთიანებულია ერთი სათაურის ქვეშ, რომელსაც სურა ეწოდება.

ჰათმის პროგრამა ძალიან კარგად იყო ორგანიზებული. დამსწრეებმა მელიქეს დედის მიერ მომზადებული ტორტი და ბაქლავა მიირთვეს. უკვე სახლში დაბრუნების დრო იყო.

- წელს რამადანის „მუყაბელეს“ შენც ჩვენთან ერთად წაიკითხავ, ჩემო გოგო, უთხრა მასწავლებელმა. მელიქემ არ იცოდა თუ რა იყო მუყაბელე. დედამ ეს შენიშნა და აუხსნა: „მუყაბელე ერთი ადამიანის მიერ ყურანის ერთი ნაწილის წაკითხვა და სხვების მიერ მოსმენის პროცესია“.

მელიქე უზომოდ ბედნიერი იყო, რადგან რამადანი ახლოვდებოდა და სხვებთან ერთად მასაც მუყაბელე უნდა წაეკითხა.

- მეგობრებო! ქვევით მოცემულ უჯრებში მოცემულია ასოები, რომლებიც არეულადაა ჩაწერილი. თუ თქვენ სწორად დაალაგებთ ამ ასოებს მიიღებთ იმ ტერმინებს, რომლებიც ამ ბოლო თავში ვისწავლეთ.

ა რ ს უ ა ე ბ უ ლ ე მ ყ

უ ზ ჯ ი ი ჰ ა თ მ

ი ი ა ა თ ი რ შ ა

- შენი აზრით, რატომ არის მნიშვნელოვანი ყურანის კითხვა? გინდა, რომ ყურანი სრულად წაიკითხო (ჰათმი) და ეს ცერემონიალით აღნიშნო?

6. თავი

მე მწამს შუამავლების

შუამავლების რწმენა

ღმერთმა ადამიანებს შუამავლები გამოუგზავნა, რათა ამქვეყნადაც და საიქიოშიც ბედნიერება დაიმკვიდრონ. შუამავლები განსაკუთრებული, რჩეული ადამიანები არიან, რომლებსაც ღმერთმა ასეთი დიდი მისია არგუნა. ისინი სიტყვითაც და ქცევითაც სამაგალითონი არიან. ისინი გვასწავლიან თუ როგორ უნდა ვიცხოვროთ, რათა ამქვეყნიური და საიქიო ბედნიერება მოვიპოვოთ. მოკლედ, ისინი სიკეთის მასწავლებლები არიან.

ყურანში შემდგი შუამავლები არიან ნახსენები:

ჰზ. ადამი, ჰზ. იდრისი, ჰზ. ნოე, ჰზ. ჰუდი, ჰზ. სალიჰი, ჰზ. აბრაამი, ჰზ. ლუთი, ჰზ. ისმაილი, ჰზ. ისაკი, ჰზ. იაკობი, ჰზ. იოსები, ჰზ. შუაიბი, ჰზ. მოსე, ჰზ. არონი, ჰზ. დავითი, ჰზ. სოლომონი, ჰზ. ეუბი, ჰზ. ზულქიფლი, ჰზ. იუნუსი, ჰზ. ილიასი, ჰზ. ელიესა, ჰზ. ზაქარია, ჰზ. იაჰია, ჰზ. იესო და ჰზ. მუჰამმედი.

პირველი შუამავალი ჰზ. ადამი იყო, ხოლო უკანასკნელი შუამავალი ჰზ. მუჰამმედია. ისინი მთელ კაცობრიობას მეგუზურობას უწევდნენ და ჭეშმარიტ რწმენას ასწავლიდნენ.



შუამავლების თვისებები

- **ერთგულება.** სიმართლე. შუამავლები ყოველთვის სიმართლეს ამბობენ.
- **სანდოობა.** შუამავლები არასოდეს ღალატობენ და ყველაზე სანდო ადამიანები არიან.
- **გონიერება.** შუამავლები ძალიან გონიერი და ჭკვიანი ადამიანები არიან.
- **დაცულობა.** შუამავლები დაცულნი არიან და ცოდვას არ სჩადიან.
- **თებლიღ.** სარწმუნოების გავრცელების უნარი. შუამავლები ღვთის სიტყვას ავრცელებენ.

- პირველი ადამიანი და პირველი შუამავალი
  ჰზ. ადამი

- უკანასკნელი შუამავალი
  ჰზ. მუჰამმედი

- შუამავალი, რომელსაც მოევლინა თორა.
  ჰზ. მოსე

- შუამავალი, რომელსაც მოევლინა ბიბლია.
  ჰზ. იესო

- შუამავალი, რომელსაც მოევლინა ზებური.
  ჰზ. დავითი

ვიფიქროთ, გამოვიკვლიოთ, გავუზიაროთ!

- რატომ არის ესოდენ მნიშვნელოვანი სანდოობა? რა თვისებები გააჩნიათ სანდო ადამიანებს?
- რატომ ეძახდნენ შუამავალ მუჰამმედს ახალგაზრდობის წლებში „მუჰამმედულ ემინ“-ს, ანუ სანდო მუჰამმედს?

მდინარე ნილოსში მიტოვებული ბავშვი

ერთ ღამეს ეგვიპტის ფარაონმა ნახა სიზმარი, რომ ხანძარმა მისი ტახტი გაანადგურა. ხალხმა ეს სიზმარი ისე განმარტა, რომ მახლობლად დაბადებული ვაჟი ფარაონს ტახტიდან ჩამოაგდებდა. ფარაონმა ეს რომ გაიგო, ბრძანა, რომ იმ წელს დაბადებული ყველა ვაჟი მოეკლათ.

იმ წელს დაბადებულ ვაჟებს შორის მოსეც იყო. ამ შემთხვევამ მისი სიცოცხლეც საფრთხის ქვეშ დააყენა. მოსეს დედა გამოსავალს ეძებდა, რომ უმწეო ბავშვი გადაერჩნა. ამ დროს ღმერთმა მას გამოსავალი ასწავლა:

„და შთავაგონეთ მუსას დედას: აწოვე ძუძუ, და როცა შეშინდები მის გამო, ჩააგდე მდინარეში. არ შეშინდე და არ იდარდო, უეჭველად, ჩვენ დაგიბრუნებთ უკან და დავადგენთ შუამავლად!“ (ყასას 7)

დედამ უმწეო ჩვილს რძე მოაწოვა, შემდეგ მოეფერა და აკვნიანად მდინარე ნილოსს გაატანა. მოსეს უფროსი და ჯერ კიდევ ბავშვი იყო. ის ჩუმად გაყვა აკვანს. ნილოსმა აკვანი ატარა, ატარა და ფარაონის სახლის წინ ჩამოატარა. ფარაონის ცოლი ასიე ნილოსის ნაპირას სეირნობდა. მან დაინახა აკვანი, მივიდა და ნახა, რომ შიგ ჩვილი ბავშვი იწვა. ფარაონის ცოლმა ამოიყვანა ჩვილი და გულში ჩაიკრა, შემდეგ ფარაონთან მივიდა და უთხრა, რომ ეს ბავშვი ძალიან შეუყვარდა.

ფარაონის ცოლმა როგორც იქნა დაიყოლია ფარაონი და პატარა მოსე არათუ სიკვდილს გადაურჩა, არამედ სასახლეში დარჩა. ბავშვს კვებისათვის დედის რძე სჭირდებოდა. ფარაონმა ბრძანა და მთელ ქვეყანაში შესაფერისი ძიძას ძებნა დაიწყეს. ძიძობის მსურველი ბევრი იყო, მაგრამ პატარა მოსე არცერთის ძუძუს პირს არ აკარებდა. ამ დროს მოსეს უფრსმა დამ ფარაონის სასახლეში შეატყობინა, რომ კარგი ძიძა იცოდა, რომელიც ჩვილს ძუძუს მოაწოვებდა. ამრიგად პატარა მოსეს დედა მოიყვანეს და საკუთარი შვილის ძიძობა დაავალეს. სასახლეში რა თქმა უნდა არავინ იცოდა, რომ ის მისი ნამდვილი დედა იყო. ეს იყო ღმერთის ნება, რომლის თანახმადაც მოსე თან გადარჩა და თან დედასთან ერთად უზრუნველად იზრდებოდა.

მოსე იზრდებოდა. ის სამართლიანი და გამორჩეული ჭაბუკი იყო. მოგვიანებით ღმერთმა მოსეს შუამავლობის მისია დააკისრა და უბრძანა მისულიყო ფარაონთან და მისი ჭეშმარიტ სარწმუნოებაზე მოქცევა ეცადა. შუამავალმა მოსემ თავისი ძმა, ასევე შუამავალი არონი წაიყვანა და ფარაონთან მივიდნენ. ჰზ. მოსემ ფარაონს ერთი ღმერთის რწმენისაკენ მოუწოდა. ფარაონმა მისი ეს მოწოდება უარყო და მოსეს მტკიცებულება მოსთხოვა, რომელიც მის შუამავლობას დაადასტურებდა.



ღმერთმა უბრძანა მოსეს, რომ ძირს დაეგდო ის ჯოხი, რომელიც ხელში ეჭირა. მოსემ ჯოხი ძირს დააგდო და ჯოხი მაშინვე გველად გადაიქცა. ფარაონმა იფიქრა, რომ ეს ჯადოქრობა იყო და მთელი ქვეყნის ცნობილი ჯადოქრები იხმო, რათა მათაც იგივე გაეკეთებინათ. ჯადოქრებმა მთელი თავიანთი შესაძლებლობები გამოიყენეს, თკებითა და ხის ტოტებით გველის მსგავსი რაღაცაები გააკეთეს, მაგრამ მოსეს ჯოხმა მათი ჯადოქრობები გადაყლაპა და სრულიად გაანადგურა. ჯადოქრები მიხვდნენ, რომ მოსე ჯადოქარი არ იყო და არც მისი მოქმედება იყო ჯადოქრობა, რადგან მსგავსი რამ მხოლოდ ზეადამიანურ ძალას შეეძლო. მათ მაშინვე იწამეს ღმერთი. მიუხედავად ამ ყველაფრისა ფარაონმა მაინც არ იწამა და ჭეშმარიტ რწმენაზე მოქცეული ჯადოქრები მკაცრად დასაჯა.

მოსემ თავისი ხალხი შეკრიბა და ეგვიპტიდან წასვლა გადაწყვიტა. როდესაც ფარაონმა ეს გაიგო მაშინვე ჯარი შეკრიბა და უკან დაედევნა. მოსე თავის ხალხთან ერთად წითელი ზღვის სანაპირომდე მივიდა და ამ დროს ფარაონის ჯარი წამოეწია.

მოსემ ღმერთს დახმარება სთხოვა. ღმერთმა მოსეს უბრძანა ჯოხი ზღვისთვის დაეკრა. როგორც კი მოსეს ჯოხი ზღვას შეეხო, ზღვა ორად გაიყო.მოსე და მისი ხალხი ორად გაყოფილ ზღვის ფსკერზე შევიდნენ და გაღმა გააღწიეს. ფარაონმა და მისმა ჯარმაც უკან მისდიეს, მაგრამ როგორც კი მოსეს ხალხი გაღმა გავიდა, ზღვა ისევ შეიკრა და ფარაონი და მისი ჯარი დაახრჩო. ამრიგად, ღმერთმა დაიფარა მორწმუნეები და ურწმუნოთა რისხვისგან გადაარჩინა.

შუამავალთა თვისებები

მეგობრებო!
შუამავლებს ხუთი ძირითადი თვისება გააჩნიათ. მოდით, მინიშნებებს მივყვეთ და შუამვლების თვისებები მივაგნოთ.

4
რა ეწოდება თვისებას, რომლის მიხედვითაც შუამავლების ცოდვის ჩადენისგან დაცული არიან?

5
რა ეწოდება შუამავალთა თვისებას, რომლის მიხედვითაც შუამავლებს ღვთის სიტყვა ადამიანებამდე მიაქვთ?

2
რა ეწოდება შუამავლების სამართლიანობასა და სანდოობას?

1
რა ეწოდება შუამავლის თვისებას, რომელიც შუამავლების სიმართლეს გამოხატავს?

3
შუამავლები ძალიან გონიერები და ჭკვიანები არიან, რა ეწოდება მათ ამ თვისებას?

2 .....

4 .....

5 .....

3 .....

1 .....

სიტყვებზე მონადირე

ძვირფასო მეგობრებო!

მოძებნეთ წმინდა წიგნებისა და შუამავალების სახელები. წმინდა წიგნებისა და შუამავლების სახელები ქვემოთ მოცემულ ხაზებზე დაწერეთ.

პ	რ	ყ	უ	რ	ა	ნ	ი	პ	ქ
ო	ე	ს	ზ	ტ	კ	მ	ო	ს	ე
ი	წ	ი	ე	ს	ო	ცხ	ბ	ო	წ
უ	ბ	ი	ბ	ლ	ი	ა	ნ	ი	ე
ტ	ქ	დ	უ	გ	ლ	ცხ	მ	უ	რ
თ	ა	ფ	რ	დ	ა	ვ	ი	თ	ი
ო	ს	გ	ი	ჰ	ზ	ვ	რ	ყ	რ
რ	დ	ჰ	ჯ	ჯ	ხ	ბ	ე	ტ	ტ
ა	მ	უ	ჰ	ა	მ	მ	ე	დ	ი
ა	ს	დ	ფ	გ	ჰ	ჯ	კ	ლ	ო

წმინდა წიგნები

1 .....

2 .....

3 .....

4 .....

შუამავლები

1 .....

2 .....

3 .....

4 .....

7. თავი

მე მწამს საიქიო ცხოვრების

საიქიოს რწმენა

ცოცხალი არსებები იბადებიან, ცოცხლობენ და შემდეგ კვდებიან. თუმცა სიკვდილი ყველაფერის დასასრული არ არის. სიკვდილის შემდეგ ახალი და სრულიად განსხვავებული ცხოვრება იწყება. ამ ცხოვრებას საიქიო ცხოვრება ეწოდება. საიქიო ცხოვრებაში ყველა იმ ნამოქმედარის საზღაურს მივიღებთ, რასაც ამქვეყნიურ ცხოვრებაში ვაკეთებთ. მორწმუნენი, რომლებიც კარგ საქმეებს აკეთებენ, საიქიოში სამოთხით დაჯილდოვდებიან, ხოლო ისინი, ვისაც ღმერთისა და განკითხვის დღისა არ სწამთ და ცხოვრებაში ავი საქმეებით არიან დაკავებული, საიქიოში ჯოჯოხეთში მოხვდებიან.

ისლამი მშვიდობის, სიკეთისა და სილამაზის სარწმუნოებაა. ისლამი გვიწესებს წესებს, რომლებიც ამქვეყნადაც და საიქიოშიც ბედნიერების წინაპირობას წარმოადგენს. ღვთისმსახურებისა და კეთილი საქმეების ჯილდოს არა მარტო საიქიოში, არამედ ამქვეყნიურ ცხოვრებაშიც ბედნიერებას მოგვიტანს. ღვთისმსახურება ყოველგვარი დადებითის მომტანია. მცირე განბანვით სისუფთავეს ვიცავთ, მარხვით ჯანმრთელობას ვინარჩუნებთ, ლოცვით სულიერ სიმშვიდეს ვპოვებთ და ა.შ. საიქიოში კი ამ ყველაფრისთვის უმაღლესი ჯილდო, სამოთხეა. ბოროტი ადამიანები, რომლებიც რწმენისგან შორს არიან და სხვების უფლებებს არღვევენ, საიქიოში დაისჯებიან. ღმერთს არ უყვარს ბოროტი ადამიანები. გამომდინარე აქედან, ჩვენ ყოველთვის სიკეთის კეთებას უნდა ვეცადოთ, რათა ღმერთმა სამოთხით დაგვაჯილდოვოს.

ვისწავლოთ ერთი ჰადისი

„სამოთხეში ისეთი წყალობაა, რომელიც არავის თვალს არ უნახია, არავის ყურს სმენია და ვერავის წარმოუდგენია“.

ვისწავლოთ ერთი აიათი

„ბრძანა ალლაჰმა: „ეს არის დღე, როცა მართალთ სარგებელს მოუტანს მათი სიმართლე. მათთვისაა სამოთხენი, სადაც ძირს მდინარეები მოედინა. და იქ დარჩებიან სამუდამოდ. ალლაჰი კმაყოფილია მათი და მისით კმაყოფილი არიან ისინი. ესაა ნეტარება უდიდესი!“

(მაიდე 119)

კარგია, რომ საიქიო არსებობს

ჭეშმარიტია სიკვდილი,
თუმცა მე მინდა გახარო,
სიკეთე ჰქმენი, ნუ დარდობ,
გელის უკვდავი სამყარო.

ვიფიქროთ, გამოვიკვლიოთ, გავუზიაროთ!

- შენი აზრით, როგორი ადგილია სამოთხე? რას ისურვებდი სამოთხეში? იცოდი, რომ ყურანსა და ჰადისებში ზოგიერი ადამიანის შესახებ ცნობილია, რომ აუცილებლად სამოთხეში მოხვდებიან? მოდით, მათი თვისებები გავიგოთ და მეგობრებს გავუზიაროთ.
- კარგია, რომ საიქიო არსებობს. საიქიო რომ არ ყოფილიყო? რატომ არის მნიშვნელოვანი საიქიოს რწმენა?

8. თავი

მე მწამს ბედისწერისა და შემთხვევისა

ბედისწერისა და შემთხვევის რწმენა

ყველაფერში, რაც ღმერთმა გააჩინა, სილამაზე არსებობს. ეს სილამაზე ზოგ შემთხვევაში მაშინვე, ხოლო ზოგჯერ მოგვიანებით გამოჩნდება. მაგალითად, როდესაც თოვს გზები იკეტება, ზოგჯერ შუქი ქრება, რის გამოც შეიძლება ადამიანმა ნაადრევი გადაწყვეტილება მიიღოს და თქვას, „ნეტა, თოვლი საერთოდ არ მოვიდეს!“

შემდეგ ზამთარი გავა და გაზაფხული მოვა. თოლი დადნება და მდინარეები ადიდდება. გაზაფხული ძალიან ლამაზია. მთა და მდელო ამწვანდება და ნაირფერადი ყვავილებით დაიფარება. გარემოში მცენარეებიც და ცხოველებიც დღესასწაულს იწყებენ. მაშინ კი ხვდება ადამიანი, რომ ზამთარში მოსულმა თოვლმა გამოიწვია ასეთი წყლის სიუხვე, რომელიც ასე ძალიან სჭირდება ბუნებას. ამ დროს ადამიანი ამბობს, „კარგია, რომ ითოვა, თრემ უწყლოდ დავრჩებოდით“.

გაზაფხულზე გარემო ყვავის. შემდეგ ყვავილებიდან თესლები მიწაში ცვივა. მიწის ქვეშ მომწყვდეული თესლი სიბნელეშია დარჩენილი და გვგონია, რომ იქ დალპება, მაგრამ სულ მალე მიწიდან პატარა ნერგი ამოიზრდება. თუ ამ მოვლენას დავაკვირდებით, მივხვდებით, რომ სამყაროში ტყულუბრალოდ არაფერი ხდება.

ცხოვრებაშიც ზოგჯერ ისეთი რამ შეგვემთხვევა ხოლმე, რომ თავიდან შეიძლება არ მოგვეწონოს, მაგრამ ჩვენ არ ვიცით რეალურად მისსი მნიშვნელობა. გადის დრო და ვხვდებით, რომ ის უსიამოვნო მოვლენა ჩვენთვის სასიკეთო ყოფილა. მაგალითად, როდესაც აცივდება და ჩვენ შესაბამისად არ ჩავიცვამთ, შეიძლება გავცივდეთ და ეს საკმაოდ უსიამოვნო მოვლენაა, მაგრამ ამ ავადმყოფობით ჩვენ ჩვენი ჯანმრთელობის ფასს ვგებულობთ. შედეგად უფრო ფრთხილად მოვიქცევით და თბილად ჩავიცვამთ.

გამომდინარე აქედან, სანამ საბოლოო შედეგი არ დადგება, მანამდე მოვლენების წინასწარი შეფასება არ უნდა ვიჩქაროთ და მითუმეტეს ცუდზე არ უნდა ვიფიქროთ. ნაადრევი გადაწყვეტილებები ძირითადად მცდარია ხოლმე. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ყველაფერი ღვთის ნებით ხორციელდება. ის ყველაფერს ხედავს და მან ყველაფერი უწყის.

რასაც ღმერთი ინებებს, აღსრულდება. ღმერთმა ყველაფერი იცის, წარსულიც და მომავალიც. მან უკეთ იცის, რა და როგორ ჯობია. ჩვენ მის მიერ მოცემული გონებით ვცდილობთ გავიგოთ რა არის კარგი და რა არის ცუდი. შემდეგ წარმატებისთვის ღმერთს ვევედრებით. წარმატება მხოლოდ მისი დახმარებით მოდის. მისი წყალობის გარეშე წარმატებას ვერავინ მიაღწევს. ჩვენ რაც შეგვიძლია უნდა ვეცადოთ და შედეგს ღმერთისგან დაველოდოთ.

როგორც უკვე გითხარით, ღმერთმა ყველაფერი იცის. მან ზუსტად იცის რა იყო წარსულში და რა მოხდება მომავალში. სწორედ ამ ფენომენს ჰქვია ბედისწერა. როდესაც კონკრეტული მოვლენის განხორციელების დრო დადგება და ეს მოვლენა ღვთის ნებით განხორციელდება, ეს არის „შემთხვევა“. ბედისწერისა და შემთხვევის როცა გვწამს, ვიცით, რომ ღვთის ნების გარეშე ფოთოლიც კი არ გაირხევა და ამავდროულად ჩვენზე დაკისრებულ მოვალეობებსაც ვასრულებთ. ბუნებრივია უნდა ვიშრომოთ და არ უნდა ვიზარმაცოთ.

როდესაც წარმატებას მივაღწევთ, ღმერთს მადლობას ვწირავთ. თუ წარმატებას ვერ მივაღწევთ და ხელი მოგვეცარება, უიმედობაში არ უნდა ჩავვარდეთ და უფრო მეტი მოტივაციით გავაგრძელოთ.

ბედისწერა და შემთხვევა

გამჩენმა უწყის ყოველი,
ქვეყანა წარმავალია
ვინც ამას ხვდება, მშვიდდება,
სიკვდილი ყველას ვალია.

შემაჯამებელი კითხვები

1. რომელ პასუხშია ჩამოთვლილი ისლამის პირობები სწორად?

ა) შაჰადა
ლოცვა
მარხვა
ზექათი
ჰაჯი

ბ) ნამაზი
ზექათი
მარხვა
ბედისწერისა და შემთხვევის რწმენა

გ) შაჰადა
ნამაზი
ზექათი
მსხვერპლშეწირვა

დ) შაჰადა
ნამაზი
მოწყალების გაცემა ზექათი
ჰაჯი

2. რა ეწოდება იმ ყველაფერს, რაც ღმერთს ადამიანების სასარგებლოდ გაუჩენია?

ა) სასმელი
ბ) საჭმელი
გ) წყალობა
დ) ჯილდო

3. რომელ პასუხშია ჩამოთვლილი რწმენის პირობები სწორად?

ა) ღვთის რწმენა
წმ. წიგნების რწმენა
შუამავლების რწმენა
ბედისწერისა და შემთხვევის რწმენა
ჰაჯი

ბ) ღვთის რწმენა
ანგელოზების რწმენა
წმ. წიგნების რწმენა
შუამავლების რწმენა
განკითხვის დღის რწმენა
ბედისწერისა და შემთხვევის რწმენა

გ) ღვთის რწმენა
ანგელოზების რწმენა
წმ. წიგნების რწმენა
შუამავლების რწმენა
ზექათის გაცემა
საიქიოს რწმენა

დ) ღვთის რწმენა
ანგელოზების რწმენა
სიკეთის კეთება
შუამავლების რწმენა
განკითხვის დღის რწმენა
ბედისწერისა და შემთხვევის რწმენა

4. რა ჰქვია ანგელოზს, რომელსაც ღვთიური გზავნილი შუამავლებამდე მოაქვს?

ა) მიქაილი
ბ) ჯებრაილი
გ) აზრაილი
დ) ისრაფილი

5. რა ჰქვია ანგელოზს, რომელსაც „სიკვდილის ანგელოზს“ ეძახიან?

ა) მიქაილი
ბ) ჯებრაილი
გ) აზრაილი
დ) ისრაფილი

6. რა ჰქვია ანგელოზს, რომელიც ბუნებრივ მოვლენებს განაგებს?

ა) მიქაილი
ბ) ჯებრაილი
გ) აზრაილი
დ) ისრაფილი

7. რა ჰქვია ანგელოზს, რომლის ვალდებულება „სურას“ ჩაბერვაა, რის შედეგადაც ამქვეყნიური ცხოვრება დასრულდება?

ა) მიქაილი
ბ) ჯებრაილი
გ) აზრაილი
დ) ისრაფილი

8. ანგელოზების შესახებ ქვემოთ მოცემული წინადადებებიდან რომელია არასწორი?

ა) შეცდომებს არ უშვებენ
ბ) ყოველთვის კარგი საქმეებით არიან დაკავებული
გ) კვება, ძილი და სხვა მსგავსი მოთხოვნილებები არ გააჩნიათ.
დ) მხოლოდ სამოთხეში ცხოვრობენ

9. ქვემოთ მოცემულია წმინდა წიგნები და ის შუამავლები, რომლებსაც კონკრეტული წმინდა წიგნი მოევლინა. რომელი შეწყვილებაა მცდარი?

ა) ზებური- ჰზ. სულეიმანი
ბ) ბიბლია- ჰზ. იესო
გ) ყურანი- ჰზ. მუჰამმედი
დ) თორა- ჰზ. მოსე

10. ქვემოთ ჩამოთვლილი შუამავლებიდან რომელს მოევლინა წმინდა წიგნი?

ა) ჰზ. იუსუფი
ბ) ჰზ. დავითი
გ) ჰზ. ზაქარია
დ) ჰზ.იაჰია

11. ქვემოთ მოცემული სიტყვებიდან რომელია ყურანის პირველი ბრძანება?

ა) წაიკითხე!
ბ) დაწერე!
გ) იმარხე!
დ) შეევედრე!

12. რომელ წელს დაიწყო ჩვენი წმინდა წიგნის, ყურანის მოვლინება?

ა) 571
ბ) 610
გ) 622
დ) 632

13. ყურანის ყველაზე მოკლე და ყველაზე გრძელი სურები რომელ წყვილშია მოცემული?

ა) ნას-ფათიჰა
ბ) იჰლას-ქევსერ
გ) ქევსერ- ბაყარა
დ) ასრ- ფათიჰა

14. რამდენი სურაა ყურანში?

ა) 124
ბ) 200
გ) 520
დ) 114

15. ქვემოთ მოცემული წყვილებიდან, რომელშია მოცემული პირველი და უკანასკნელი შუამავალი?

ა) ჰზ. ადამი- ჰზ. სალიჰი
ბ) ჰზ. ადამი- ჰზ. მუჰამმედი
გ) ჰზ. აბრაამი- ჰზ. მუჰამმედი
დ) ჰზ. ნუჰ- ჰზ. ეუბი

16. რა ჰქვია ადამიანს, რომელიც ყურანს თავიდან ბოლომდე ზეპირად ისწავლის?

ა) ხოჯა
ბ) ჰაფიზი
გ) იმამი
დ) მუეზინი

17. რა ეწოდება ყურანის თავიდან ბოლომდე წაკითხვას?

ა) ჰაფიზობა
ბ) სურა
გ) ჰათმი
დ) ჯუზი

18. შუამავალთა თვისებების შესახებ ქვემოთ მოცემულთაგან რომელია არასწორი?

ა) სანდოობა
ბ) გონიერება
გ) სამართლიანობა
დ) სიმაღლე

19. შუამავალთა თვისებების შესახებ ქვემოთ მოცემულთაგან რომელია მცდარი?

ა) ავრცელებენ ჭეშმარიტ სარწმუნოებას
ბ) ცოდვის ჩადენისგან დაცულნი არიან
გ) არ ივებებიან
დ) სანდონი არიან

20. რა ეწოდება ამქვეყნიური ცხოვრების დასრულების შემდეგ დაწყებულ ცხოვრებას?

ა) ბედისწერა
ბ) სამყარო
გ) ცა
დ) საიქიო

ღვთისმსახურება

მე ვსწავლობ ღვთისმსახურებას

52 მე ვსწავლობ ღვთისმსახურების მნიშვნელობასა და ფორმებს

58 მე ვსწავლობ მეჩეთს და ეზანს

63 მე ვსწავლობ ნამაზის ფარზებს

72 ვლოცულობ

88 ვმარხულობ

103 ზექათს ვსწავლობ

107 ვსწავლობ ჰაჯს

109 ვედრებას აღვავლენ

1. თავი

მე ვსწავლობ ღვთისმსახურების მნიშვნელობასა და ფორმებს

რა არის ღვთისმსახურება?

ღვთისმსახურება ყველა ის სიტყვა და მოქმედებაა, რომელიც ღვთის სიყვარულს ადასტურებს. მცირე განბანვა, ყურანის კითხვა, ნამაზის ლოცვა, მარხვა, ზექათის გაცემა, ჰაჯზე წასვლა, მსხვერპლის შეწირვა, სალავათის წარმოთქმა და სხვა მსგავსი ქმედებები ღვთისმსახურებაა. გარდა ამისა, ლამაზი სიტყვა, მშობლების მიმართ პატივისცემა, სიკეთის კეთება და სიკეთისკენ მოწოდება, ბოროტებაზე წინ აღდგომა და სხვა მსგავსი კარგი საქმეებიც ღვთისმსახურებაა. უფრო მეტიც, გზაზე დაგდებული ქვის ან რაიმე საგნი გადაგდებაც ღვთისმსახურებაა. ღვთისმსახურებაა ასევე გაღიმება, გზის სწავლება, მოხუცებზე დახმარება, გარემოში სისუფთავის დაცვა, მისალმება და სხვა.

ბუდიდან ჩამოვარდნილი ბარტყის ისევ ბუდეში ჩასმა, ბრმაზე ხელის ჩაკიდება და გზის მეორე მხარეს გადაყვანა, დაკისრე-

ბული მოვალეობის პირნათლად შესრულება, ავადმყოფების მონახულება, ცხოველებზე საჭმლის ან წყლის მიწოდებაც ღვთისმსახურების მაგალითებია.

მოკლედ, ყველა ის ქმედება, რომელიც ცხოვრებას ალამაზებს, რომელიც სხვებს აბედნიერებს და ღვთის კმაყოფილების მოპოვებაში გვეხმარება, ღვთისმსახურებაა. ღვთისმსახურებისთვის მადლი გვეწერება.

ღვთისმსახურებას შესრულების ფორმები და პირობები გააჩნია. მაგალითად, ნამაზის შესრულებისათვის ჯერ მცირე განბანვაა საჭირო, შესაბამისი დრო უნდა მოვიდეს და ასე შემდეგ. რამადანის მარხვას რამადანის თვეში ვასრულებთ. ზექათს კონკრეტული პირობების თანახმად ვექვემდებარებით და კონკრეტული პირობების დაცვით გავცემთ. ზოგიერთ ღვთისმსახურება სხეულით სრულდება, ხოლო ზოგი- მატერიალური შესაძლებლობით.

იცოდით?

- ღვთისმსახურება, რომელიც მკაცრად სავალდებულოა, ფარზი ეწოდება.
- ყველაფერი, რისი გაკეთებაც, ან ჭამა და სმა აკრძალული არ არის, „ალალია“.
- ყველაფერი, რისი გაკეთება ან ჭამა და სმა აკრძალულია, ჰარამია.
- შუამავლის სიტყვები და ქცევები, მისი მორალი და ცხოვრების სტილი სუნნეთია (სუნა).
- ღვთისმსახურებისა და კარგი ქცევისათვის ღმერთ გვაჯილდოვებს და ამ ჯილდოს მადლი ეწოდება.
- სარწმუნოებით აკრძალულ ქცევებს ცოდვა ეწოდება.
- ღმერთმა ყველაფერი, რაც ადამიანისთვის სასარგებლოა ალალად, ხოლო რაც ადამიანისთვის საზიანოა, ჰარამად დაადგინა.

მადლობა შენდა ღმერთო!

ჩვენ მუსლიმებს ჩვენი გამჩენი ძალიან გვიყვარს. მისდამი სიყვარულის, კრძალვისა და მადლიერების გამოსახატად ღვთისმსახურებას ვასრულებთ. ის ჩვენი გამჩენია, რომელმაც უთვალავი წყალობა მოგვმადლა და ამ ყველაფრის გამო მადლიერებას ღვთისმსახურებით გამოვხატავთ. ღვთისმსახურება ამავდროულად ჩვენს ქცევებსაც ალამაზებს. ერთმანეთის მიმართ უფრო თავაზიანი, კეთილმოსურნე და შემწყნარებლები ვართ. ამავდროულად საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც უფრო სანდო და პასუხისმგებლობით განმსჭვალული ვხდებით. შედეგად უფრო კარგი ადამიანები ვხდებით და ცხოვრებაც უფრო მშვენიერია.

ღვთური წყალობის გამო ვამბბობთ: „ელჰამდულილლაჰ!“ ამით სიტყვიერ მადლიერებას გამოვხატავთ. ლოცვითა და მარხვით გამოხატულ ღვთისმსახურებას სხეულით შესრულებული ღვთისმსახურება ეწოდება. ღარიბებს ვეხმარებით და ამით კიდევ ერთი ღვთისმსახურების ფორმა სრულდება. ეს არის მატერიალური შესაძლებლობებით შესრულებული ღვთისმსახურება. ჰაჯზე თუ წავალთ, ჩვენი ღვთისმსახურება გამოიხატება როგორც ენით, ისე სხეულითა და მატერიალური შესაძლებლობითაც.

ჭამის დაწყებამდე
„ბისმილლაჰირრაჰმანირრაჰიმ“
ვამბობთ. ამით შუამავლის სუნას
ვასრულებთ.

ჭამის შემდეგ
„ელჰამდულილლაჰ!“
ვამბობთ და ასევე შუამავლის სუნას
ვასრულებთ. ის ჩვენი მაგალითია და
ყოველთვის ვცდილობთ ისე მოვიქცეთ,
როგორც ის იქცეოდა.

ღვთისმსახურების დადებითი თვისებები



ღვთისმსახურებას როგორც სულზე, ისე სხეულზე ძალიან მნიშნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლია. ნამაზის სალოცავად მომზადებისას ვასრულებთ განბანვას, რის შედეგადაც ვიცავთ ჰიგიენას. ნამაზის ლოცვის შემდეგ კი ჩვენს სულში სიმშვიდე ისადგურებს. ვგრძნობთ, რომ ღმერთს კიდევ უფრო დავუახლოვდით და რწმენა განვიახლეთ.

მარხვის დროს სხეულის ორგანოები ისვენებენ. ამასთანავე, მარხვა ადამიანში თანაგრძნობისა და თანადგომის სურვილებს აღძრავს. ასევე ვსწავლობთ მოთმინებასა და მადლიერებას. ზექათი სხვებზე დახმარების, თანადგომის და მადლიერების გრძნობებს აძლიერებს. გზავსწავლის, რომ გაცემით უფრო მეტ ბედნიერებას მივაღწევთ, ვიდრე შენახვით. შედეგად საზოგადოებაში სიმშვიდე და ბედნიერება ისადგურებს.

როდესაც ზექათს გავცემთ, ამით სხვაზე დახმარებით მონიჭებულ ბედნიერებას ვეზიარებით და მეორე მხარეც შვებას პოულობს.

ჰაჯის დროს მსოფლიოს ყველა კუთხიდან მოსული მუსლიმების გაცნობის საშუალება გვეძლევა. განსხვავებული ასაკის, კანის ფერის, ერობნებისა და სქესის ადამიანები ერთ კონკრეტულ არეალში იკრიბებიან და საერთო რწმენის ფარგლებში ღვთისმსახურებას აღავლენენ. ყველას ერთნაირი, თეთრი ფერის სამოსი აცვიათ და ამით ადასტურებენ, რომ ღვთის წინაშე ყველა თანასწორია.

ეს ყველაფერი მხოლოდ მცირედია იმ უთვალავ სარგებელს შორის, რაც ღვთისმსახურებას მოაქვს. ღვთისმსახურება საუკეთესო მასწავლებელია, აღმზრდელია, რომელიც ადამიანობას გვასწავლის. ის ჩვენს ცხოვრებას აწესრიგებს და ურთიერთობებს არეგულირებს. ღვთისმსახურება მორალის სრულყოფაში გვეხმარება. ღვთისმსახურების წყალობით ადამიანი ჯანსაღად, ბედნიერად და თავისუფლად გრძნობს თავს.

ღვთისმსახურების შესრულება ღმერთმა გვიბრძანა. შესაბამისად, ღვთისმსახურება მხოლოდ ამ დადებითი თვისებების გამო კი არა, არამედ ღვთის კმაყოფილების მოპოვების მიზნით სრულდება.

სასიხარულო ამბავია!

მხოლდო და მხოლოდ ღვთის კმაყოფილების მიზნით შესრულებული გულწრფელი ღვთისმსახურება დიდი ჯილდოს საწინდარია და ღმერთი ასეთ მორწმუნეებს სამოთხეს ჰპირდება.

ვისწავლოთ ერთი აიათი

„ხოლო რომელთაც ირწმუნეს და ჰქმნეს სიკეთენი, უეჭველად, დავასახლებთ სამოთხის სასუფეველში, სადაც ძირს მდინარეები მოედინება. ისინი იქ მარად დარჩებიან. რაოდენ საამური საზღაურია კეთილისმქმნელთათვის“.

(ანქებუთ 58)

ვისწავლოთ ერთი ჰადისი

ვინც გულწრფელად იტყვის: „ჩემი გამჩენი ალლაჰია, სარწმუნოება- ისლამი, შუამავალი კი -მუჰამმედი, აუცილებლად სამოთხეში შევა.

ვისწავლოთ ერთი აიათი

„უეჭველად, რომელთაც ირწმუნეს და ჰქმნეს სიკეთენი, ალლაჰი სამოთხეში შეიყვანს, სადაც ძირს მდინარეები მოედინება. იქ იქნებიან შემკულნი ოქროს სამაჯურებით და მარგალიტებით, ხოლო სამოსი ექნებათ აბრეშუმისა!“ (ჰაჯი 23)

შევავსოთ ცარიელი ადგილები

მოდით მეგობრებო!

ქვემოთ მოცემულ წინადადებებში ზოგი სიტყვები აკლია, მოდით შევავსოთ.

სუნა

კიბლასკენ

ღვთისმსახურებაა

ალალად

მუსლიმი

მცირე განბანვა

არამად

1. ღვთის მორწმუნე, მასზე მინდობილ ადამიანს ..... ეწოდება.

2. ყველა კარგი საქმე .....!

3. შუამავლის სიტყვებსა და ქცევებს ..... ეწოდება.

4. ნამაზის ლოცვამდე საჭიროა ....!

5. ნამაზის ლოცვისას სახით ..... უნდა დავდგეთ.

6. ღმერთმა ყველა კარგი და სასარგებლო რამ ....., ხოლო ცუდი და ზიანის მომტანი რამეები ..... დაადგინა.

1. თავი

ვსწავლობ მეჩეთსა და ეზანს

მეჩეთი და მისი განყოფილებები

მეჩეთები ის ადგილებია, სადაც ღვთისმსახურებას აღვავლენთ. მეჩეთში შესვლა სულიერად გვამშვიდებს. გარდა ლოცვისა, მეჩეთებში ხუტბა, ეზანი და ქადაგებები სრულდება. შესაბამისად, მეჩეთი სასარგებლო ინფორმაციის ცენტრს წარმოადგენს.

ამრიგად, მეჩეთი ის ადგილია, სადაც მორწმუნეები იკრიბებიან და ერთი მიმართულებით, ერთი რწმენით და შემართებით ლოცვებს აღავლენენ. მეჩეთები ლამაზი არქიტექტურითაა ნაგები და ყოველთვის გამორჩეულია. მეჩეთები ყოველთვის სუფთა და მოვლილი ადგილებია.

ბაირამისა და პარასკევის ლოცვები ყოველთვის მეჩეთში სრულდება, ხოლო ყოველდღიური ხუთჯერადი ლოცვების შემთხვევაში, სასურველია ისინიც მეჩეთში შესრულდეს, მაგრამ თუ ვერ ვახერხებთ, მათი შესრულება სახლებშიც შეიძლება. მეჩეთში ლოცვა შუამავლის სუნნეთია. მწკრივებად მდგარი მორწმუნეთა ერთობა განსაკუთრებული ბედნიერების მომტანია.

მეჩეთს რამოდენიმე განყოფილება გააჩნია. ესენია: მიჰრაბი, მინბერი, ყუბბე (გუმბათი), მინარეთი და სხვა. მეჩეთის წინა ნაწილში მდებარეობს მიჰრაბი, სადაც იმამი დგება და ლოცვას უძღვება. პარასკევისა და ბაირამის ლოცვებზე იმამი შემაღლე-

იცოდი?

მეჩეთში მიჰრაბი ეწოდება ადგილს, სადაც იმამი ოცულობს.

იცოდი?

ადამიანს, რომელიც მეჩეთში ნამაზს უძღვება, ხუტბას კითხულობს და ქადაგებს, იმამი ჰქვია.

მიჰრაბი



მინბერი

მინარეთი

შადრევანი

ქურსი

ყუბბე

ბულ ადგილზე ადის და ქადაგებს. ამ ადგილს მინბერი ეწოდება. სხვა რიგითი ქადაგებების ადგილს ქურსი ეწოდება. მეჩეთის ჭერი მომრგვალებული ფორმისაა და მას ყუბბე ეწოდება. ადგილს, სიდანაც მუეზინი ეზანს კითხულობს, მინარეთი ეწოდება. მეჩეთს ასევე აქვს ადგილი, სადაც მლოცველები მცირე განბანვას ასრულებენ. ამ ადგილს ტრადიციულად შადრევანი ჰქვია.

ეზანი ლოცვისკენ მოწოდებაა

შუამავალი და მისი მეგობრები მექადან მედინაში გადავიდნენ საცხოვრებლად. მედინაში ჩასული მუსლიმების რაოდენობა დღითიდღე იზრდებოდა. მედინაში მცხოვრები მუსლიმები ღვთისმსახურებასა და ყოველდღიურ ცხოვრებას აქტიურად მისდევდნენ. ნამაზის დროს მზის მდებარეობის მიხედვით განსაზღვრავდნენ, მაგრამ ერთი პრობლემა იყო. ისინი სხვა და სხვა დროს მოდიოდნენ მეჩეთში და ამის გამო ერთად ვერ ლოცულობდნენ.

შუამავალი კი ამბობდა, რომ ნამაზის ერთად ლოცვა ძალიან მნიშვნელოვანი იყო. მუსლიმებს სჭირდებოდათ ისეთი რამ, რაც მათ ნამაზის სალოცავად მოუხმობდა. ბევრი იფიქრეს და იმსჯელეს. ზოგი ამბობდა ნამაზის დროის მოსვლისას ცეცხლი ავანთოთო, ზოგი ამბობდა საყვირს ჩავბეროთო, ზოგიც კიდე ზარის დარეკვას ემხრობოდა.

ბოლოს აბდულლაჰ ბინ ზეიდმა და ასევე რამოდენიმე სხვა მორწმუნე მუსლიმმა ნახა სიზმარი და ამ სიზმარმა აღნიშნული პრობლემა მოაგვარა. აბდულლაჰმა სიზმარში ეზნის სიტყვები ნახა და დაიზეპირა, მეორე დღეს კი შუამავალთან მივიდა და ყველაფერი მოუყვა. შუამავალმა ბრძანა, ეს სიტყვები ბილალს შეასწავლეთ და ეზანს ბილალი წაიკითხავსო. ამის მიზეზი ის იყო, რომ ბილალს ძალიან ლამაზი ხმა ჰქონდა. ბილალი შემაღლებულ ადგილას ავიდა და პირველი ეზანი წაიკითხა. ეზნის გაგონებაზე ყველა მუსლიმი მეჩეთისკენ გაიქცა და ყველამ ერთად ილოცა. იმ დღის შემდეგ ზანი არ შეწყვეტილა და მუსლიმებით დასახლებულ ადგილებში მუდმივად ისმის.

ეზანი

ალლაჰუ ექბერ, ალლაჰუ ექბერ,
ალლაჰუ ექბერ, ალლაჰუ ექბერ.
(ღმერთი ყველაზე დიდია)

ეშჰედუ ენ ლაა ილაჰე ილლელლაჰ.
ეშჰედუ ენ ლაა ილაჰე ილლელლაჰ.
(ვადასტურებ, რომ არ არსებობს
სხვა ღმერთი, გარდა ალლაჰისა)

ეშჰედუ ენნე მუჰამმედენ რესულულლაჰ.
ეშჰედუ ენნე მუჰამმედენ რესულულლაჰ.
(ვადასტურებ, რომ მუჰამმედი ღმერთის შუამავალია)

ჰაიაღალესსელაჰ.
ჰაიაღალესსელა.
(წამოდით ლოცვაზე)

ჰაიაღალელფელაჰ.
ჰაიაღალელფელაჰ.
წამოდით გადარჩენაზე)

ალლაჰუ ექბერ. ალლაჰუ ექბერ.
(ღმერთი ყველაზე დიდია)

ლაა ილაჰე ილლელლაჰ.
(არ არსებობს ღმერთი, გარდა ალლაჰისა)

იცოდი?

დილის ნამაზზე „ჰაიაღალელფელაჰ“ის შემდეგ მუეზინი ამბობს „ეს-სალათუ ჰაირუნ მინენნევმ“, (ნამაზი ძილზე სასარგებლოა).

იცოდი?

ყამეთი ფარზი ნამაზის დაწყებამდე იკითხება. ის ეზნის იდენტურია, თუმცა „ჰეიაღალელფელაჰ“ -ის შემდეგ მუეზინი ამბობს „ყედ ყამეთისსალაჰ“.

ვისწავლოთ ერთ ჰადისი

„ჯამაათთან ერთად ნალოცი ნამაზის მადლი, მარტო ნალოც ნამაზის მადლთან შედარებით ოცდა ხუთჯერ მეტია, ვინაიდან მორწმუნე, რომელიც ლოცვის მიზნით წესისამებრ მცირე განბანვას შეასრულებს და მეჩეთში მოვა, თითო ნაბიჯზე მისი სულიერი მდგომარეობა იმატებს და თითო ცოდვა აკლდება. როდესაც ილოცავს და ზის, ანგელოზები ლოცავენ მას“.

იცოდი?

ახალდაბადებულ ბავშვს მარჯვენა ყურში ეზნის სიტყვებს უკითხავენ.

ვიფიქროთ, გამოვიკვლიოთ, გავუზიაროთ!

- ჩვენს ქვეყანაში არსებული მეჩეთები გამოიკვლიეთ და მიღებული ინფორმაცია მეგობრებს გაუზიარეთ.
- მეჩეთში ნალოცსა და სახლში ნალოც ნამაზს შორის რა განსხვავებაა?
- რა მნიშვნელობა აქვს მეჩეთს საზოგადოებრივი ერთიანობისათვის?

მეჩეთი და მისი განყოფილებები

მეგობრებო!
ქვემოთ მოცემულია მეჩეთის განყოფილებები და შესაბამისი განმარტებები. დაუკავშირეთ ერთმანეთს.

ქურსი

ადგილი, სადაც იმამი ლოცულობს.

მინარეთი

მეჩეთის შესასვლელში მდებარე ადგილი, სადაც მლოცველები მცირე განბანვას ასრულებენ

ყუბბე

ადგილი, სადაც ეზანს კითხულობენ

შადრევანი

მიჰრაბის მარჯვნივ მდებარე ადგილი, სადაც იმამი ხუტბას კითხულობს

მინბერი

მეჩეთის ჭერი, რომელიც მრგვალი ფორმისაა

მიჰრაბი

ადგილი, საიდანაც ქადაგებები და სხვა მნიშნელოვანი საუბრები მიმდინარეობს.

- გახსოვთ, პირველად როდის და ვისთან ერთად წახვედით მეჩეთში? როგორი გრძნობა იყო ეს? მეჩეთის რა ნაწილმა მიიქცია შენი ყურადღება?
- შენს სახლთან ყველაზე ახლოს რომელი მეჩეთი მდებარეობს?

1. თავი

ნამაზის ფარზებს ვსწავლობ

ლოცვისთვის მზადება

ნამაზი არის ღვთისმსახურება, რომელიც ღვთისადმი სიყვარულსა და მინდობას მიდმივად აქტიურ ფაზაში ინარჩუნებს. ნამაზი სარწმუნოების დედაბოძია. ნამაზი ადამიანს უდიდეს სულიერ სიმშვიდეს ანიჭებს და ამასთანავე მისი შესრულება ძალიან ადვილია.

ლოცვის დაწყებამდე საჭიროა გარკვეული წესების დაცვა. ამათგან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი არის მცირე განბანვა. ასევე მნიშვნელოვანი პირობაა ტანსაცმელი. ტანისამოსი ლოცვასთან შესაბამისობაში უნდა იყოს. ლოცვის პირობაა ასევე სხეულის გარკვეული ნაწილების წესისამებრ დაფარვა და სალოცავი ადგილის ასევე წესისამებრ მოწესრიგება.

ლოცვის დროს, სადაც არ უნდა ვიყოთ, სახით ქააბასკენ უკნდა დავდგეთ. ასევე მნიშვნელოვანი პირობაა ლოცვის დრო. მაგალითად, საღამოს ლოცვის შესრულება მხოლოდ მაშინ არის დასაშვები, როცა ამ კონკრეტული ლოცვის დრო მოვა. დღეში ხუთჯერ ისმის ეზნის ხმა. ეზანი იმ კონკრეტული დროის ნამაზის მოსვლას გვაუწყებს. ამ პირობების დაკმაყოფილების შემდეგ მლოცველი ნამაზის სალოცავად დგება და აფიქსირებს შესაბამის განზრახვას. განზრახვის წარმოთქმისას საჭიროა იმ კონკრეტული ნამაზის ხსენება, რომლის ლოცვასაც მლოცველი აპირებს.

ამრიგად, ნამაზის დაწყებამდე შესასრულებელი პირობები ესენია და მათ ნამაზის „გარე პირობები“ ეწოდება. ამასთანავე არსებობს ნამაზის „შიდა პირობებიც“.

ნამაზის გარე პირობები

1. მცირე განბანვა
2. სალოცავი ადგილისა და ტანისამოსის სისუფთავე
3. სხეულის კონკრეტული ნაწილების წესისამებრ დაფარულობა
4. ლოცვის დრო
5. მითითება იმისა, თუ რომელ ლოცვას ვასრულებთ

ნამაზის შიდა პირობები

1. ლოცვის დაწყებისას „ალლაჰუ ექბერ“-ის წარმოთქმა
2. ფეხზე დგომა
3. ყურანის კითხვა
4. ქედის მოხრა, რომლის დროსაც ხელებს მუხლებზე ვიწყობთ
5. სეჯდე, ანუ შუბლის ძირს შეხების რიტუალი
6. ნამაზის ბოლოსკენ გარკვეული დროით ჯდომა.

მცირე განბანვა

ჩვენ ყველას გვიყვარს სისუფთავე და ჰიგიენის დაცვა. ჩვენი სარწმუნოება კი სისუფთავეს დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. მცირე განბანვა ზოგიერთი ღვთისმსახურების შესასრულებლად აუცილებელი წინაპირობაა. ნამაზის ლოცვისთვის მცირე განბანვა აუცილებელი პირობაა.

მცირე განბანვას, როგორც წესი, ღმერთის სახელის ხსენებით ვიწყებთ. ჯერ ხელებს ვიბანთ და შემდეგ პირსა და ცხვირში წყალს ვივლებთ. შემდეგ სახელს ვიბანთ და გადავდივართ მკლავების დაბანაზე. მკლავები იდაყვების ჩათვლით უნდა დავიბანოთ. შემდეგ სველ ხელს თავზე მოვისვამთ.

ამის შემდეგ ასევე სველი თითებით ყურებს ვიწმენდთ და კისერზეც ორივე მხრიდან მოვისვამთ. ბოლოს ფეხის ტერფებს ვიბანთ და ამით მცირე განბანვა შესრულებულად ითვლება.

მცირე განბანვის აუცილებელი პირობები

1. სახის დაბანა
2. ხელებისა და მკლავების იდაყვების ჩათვლით დაბანა
3. თავზე სველი ხელის მოსმა
4. ტერფების დაბანა

მცირე განბანვის მომშლელი ფაქტორები

1. საპირფარეშოს მოთხოვნილების დაკმაყოფილება, ანუ კუჭში გასვლა, მოშარდვა და ასევე გაზებზე გასვლა.
2. ღებინება
3. ძილი
4. ლოცვის დროს ხმამაღლა გაცინება
5. გულის წასვლა
6. სხეულიდან სისხლის ან სხვა სახის სითხის გამოდენა

გუსული და თეიმუმი

გუსულიც და თეიმუმიც მცირე განბანვის ფორმებია. გუსულის დროს საჭიროა მთელი სხეულის დაბანა და დაწყებამდე შესაბამისი გადაწყვეტილების დაფიქსირება. ცხვირისა და პირის გამოვლების შემდეგ ჩვეულებრივი მცირე განბანვა სრულდება და შემდეგ მთელი სხეული უნდა დავიბანოთ.

თეიმუმის დროს კი მცირე განბანვა წყლის მაგივრად მიწით ხდება. თუ წყალი არ იშვება ან მისი გამოყენება შეუძლებელია, ასეთ შემთხვევაში შეგვიძლია თეიმუმის მეთოდს მიმართოს. თეიმუმის დროს ჯერ შესაბამისი განზრახვა უნდა დავაფიქსიროთ, შემდეგ ხელები სუფთა მიწას შევახოთ და სახეზე მოვისვათ. შემდეგ ხელებით ისევ მიწას ვეხებით და მკლავებზე ვისვამთ. ამრიგად, მორწმუნე განწმენდილად ითვლება და შეუძლია ღვთისმსახურება შეასრულოს.

გამოცანა საღებავით

მეგობრებო!
იპოვეთ სურათზე ნამაზის პირობებთან დაკავშირებული ტერმინები და შესაბამის ფერში გააფერადეთ.



ნამაზის 12 პირობა

1. მცირე განბანვა (ყავისფერი)
2. ლოცვის დროს სეჯდეს შესრულება, ანუშუბლის ძირს შეხება. (ნაცრისფერი)
3. ლოცვის შესაბამისად ჩაცმა. (მწვანე)
4. ლოცვის დროის მოსვლა (ყვითელი)
5. ლოცვის დროს ყურანის კითხვა. (მწვანე)
6. ლოცვის დროს ხელების მუხლებზე დაწყობა და ქედის მოხრა. (ნაცრისფერი)
7. ნამაზის დასახელება (ყავისფერი)
8. ლოცვის დროს ფეხზე დგომა. (ყვითელი)
9. სალოცავი ადგილისა ტანისამოსის სისუფთავე. (ყვითელი)
10. ლოცვის დროს ქააბასკენ დგომა. (ლურჯი)
11. ნამაზის ბოლოს გარკვეული დროით ჯდომა. (ყავისფერი)
12. ნამაზის დაწყებისას „ალლაჰუ ექბერ“-ის წარმოთქმა. (ლურჯი)

იუსუფს დახმარება სჭირდება



მეგობრებო!

იუსუფს ლოცვა სურს, მაგრამ ლოცვის დაწყებამდე რა უნდა გააკეთოს კარგად არ იცის და დაბნეულია. შეგიძლიათ დაეხმაროთ? მოდით, ვუთხრათ როგორ უნდა დავიწყოთ ლოცვისთვის მზადება და რას უნდა მივაქციოთ ყურადღება. ქვემოთ მოცემული ბუშტებიდან მწვანედ გააფერადეთ ისინი, რომლებიც ნამაზის პირობებში შედის, ხოლო რაც აუცილებელი არაა, წითლად გააფერადეთ.

- საჭიროა მცირე განბანვა
- სალოცავი ადგილი და ტანსაცმელი სუფთა უნდა იყოს
- წყალი არ დალიოთ
- ლოცვის დროს შესაფერისად უნდა გვეცვას
- ლოცვის დროს უნდა ვმარხულობდეთ
- ლოცვის დაწყებისას შესაბამისი განზრახვა უნდა წარმოვთქვათ
- უნდა დავიძინოთ
- ლოცვისას პირისახით ქააბასკენ უნდა დავდგეთ
- ლოცვის დრო უნდა დადგეს

- ჩამოთვალეთ ლოცვის დადებითი მხარეები

.....

.....

მზის მოძრაობის მიხედვით ლოცვის დროები



ერთხელ შუამავალმა მეგობრებს ჰკითხა: „თქვენი სახლის წინ რომ მდინარე მოდიოდეს და რომელიმე თქვენგანი დღეში ხუთჯერ ამ მდინარეში ტანს იბანდეს, მის სხეულს რაიმე ჭუჭყი შერჩება? - არ შერჩებაო, უპასუხეს ერთხმად. სწორედ ამას გავს დღეში ხუთჯერ ლოცვაც. ღმერთი ლოცვის შედეგად შეცდომებსა და ცოდვებს წმენდს“, - ბრძანა შუამავალმა

- ამ ჰადისით რა ისწავლეთ? გაუზიარეთ მეგობრებს.

რომელია ადრე?

○ დილა ○ შუადღე ○ სამხრობა ○ ღამე ○ საღამო

○ ღამე ○ საღამო ○ შუადღე ○ საღამო ○ დილა

მცირე განბანვის ღრუბლები

ძვირფასო მეგობრებო!
ქვემოთ მოცემულია მცირე განბანვის დროს საჭირო თანმიმდევრობა. დანომრეთ სწორი თანმიმდევრობით.

- ( ) ხელების დაბანა
- ( ) ფეხების დაბან
- ( ) სახის დაბანა
- ( ) თანზე სველი ხელის მოსმა
- ( ) მკლავების დაბანა
- ( ) პირის წყლით გამოვლება
- ( ) ცხვირის წყლით გამოვლება
- ( ) ყურებისა და კისრის სველი ხელებით გაწმენდა.
- ( ) ღმერთის სახელის ხსენება და განზრახვის წარმოთქმა

მცირე განბანვის შესრულება ისწავლეთ?

ძვირფასო მეგობრებო!

მოდით სწორი თანმიმდევრობით დავალაგოთ მცირე განბანვის პროცესი. ქვემოთ მოცემულ ბუშტებში მცირე განბანვის დროს შესასრულებელი მოქმედებები წერია. თითოეულ ბუშტს ახლავს ასოები, რომლებიც ქვემოთ მოცემულ უჯრებში უნდა ჩავწეროთ. გარდა ამისა, გამოიჩინეთ სიფრთხილე, რათა ბუშტები არ გასკდეს.



1. თავი

ნამაზს ვლოცულობ

ხუთი დროის ნამაზი

ნამაზი არის ღვთისმსახურება, რომლის დროსაც დღეში ხუთჯერ ღვთის წინაშე ვდგებით. ჯერ მცირე განბანვით ვსუფთავდებით, ხოლო შემდეგ, ლოცვის შედეგად, მთელის სულითა და სხეულით ვჯანსაღდებით. ლოცვის დროის მოსვლას ეზანი გვამცნობს. ეს ხმა ყოველგვარი სტრესისგან გვიცავს და სულში სიმშვიდე შემოაქვს. ლოცვით ღვისადმი თაყვანისცემასა და მისდამი უპირობო მინდობას გამოვხატავთ. მთელი გულით მხოლოდ მას ვევედრებით და დახმარებასაც მხოლოდ და მხოლოდ მისგან მოველით.

ვლოცულობ



განზრახვა: მლოცველი წარმოთქვამს განზრახვას და უთითებს, თუ რომელი დროის ნამაზის ცოცვა გადაწყვიტა. მაგალითად: „განზრახული მაქვს, ღვთის გულისათვის, ვილოცო დილის ნამაზის ფარზი“.

თექბირი: თექბირის დროს მამაკაცები ხელებს ყურებამდე წევენ, ხოლო მანდილოსნები მკერდამდე და წარმოთქვამენ: „ალლაჰუ ექბერ!“

ფეხზე დგომა და კითხვა: ხელებს მუცელზე ვიწყობთ, მარჯვენა ხელით მარცხენა მაჯა გვიჭირავს და ვიწყებთ ლოცვას. მანდილოსნებს ხელები მკერდზე აქვთ დალაგებული. ჯერ სუბჰანექეს ვკითხულობთ, შემდეგ ფათიჰას და ერთ-ერთ სურას.

ქედის მოხრა: ქედის მოხრის დროს ხელებს მუხლებზე ვიწყობთ და ქედს ვიხრით. მამაკაცები 90 პროცენტით იხრებიან, ხოლო ქალები ოდნავ იხრებიან. ამ დროს ვამბობთ: „სუბჰანე რაბბიელ აზიმ“.

ყავმე: ქედის მოხრიდან ისევ მდგომარე პოზიციაში დაბრუნება. ამ დროს მლოცველი წარმოთქვამს: „სემიღელლაჰუ ლიმენ ჰემიდეჰ“ და როცა დგას, მაშინ „რაბბენა ლექელ ჰამდ“.

სეჯდე: ამ რიტუალის შესრულებისას მორწმუნე ხელებს, ცხვირსა და შუბლს ძირს დებს. ამ დროს სამჯერ ამბობს: „სუბჰანე რაბბიელ ალაა“.

პირველი ჯდომის მდგომარეობა: მორწმუნე მუხლმოყრილი ზის და ხელები მუხლებზე აქვს დაწყობილი. მამაკაცები მარცხენა ფეხზე ზიან, ხოლო მანდილოსნები ფეხებს მარჯვნივ შემოიკეცავენ ხოლმე.

მისალმება: მლოცველი ჯერ მარჯვნივ ესალმება და ამ დროს მარჯვენა მხარს უყურებს, შემ დეგ კი მარცხვნივ ესალმება და ამ დროს მარცხენა მხარს შეხედავს. მისალმება ასეთა: „ესსელამუ ალეიქუმ ვე რაჰმეთულლაჰ“.

რამდენი მუხლია თითოეული ნამაზი?

ლოცვის დასახელება	სუნნეთი	ფარზი	ბოლო სუნნეთი	ჯამი
დილა	2	2	-	4
შუადღე	4	4	2	10
სამხრობა	4	4	-	8
საღამო	-	3	2	5
ღამე	4	4	2	10
პარასკევის ლოცვა	4	2	4	10
შენიშვნა: ღამის ნამაზის შემდეგ 3 მუხლი ვითრი ილოცება				

დილის ნამაზის ლოცვა

	სუნნეთი (2 მუხლი)	ფარზი (2 მუხლი)
1. მუხლი	განზრახვა თექბირი სუბჰანექე ეუზუ ბისმილლაჰ ფათიჰა სურა რუქუ (ქედის მოხრა) 2 სეჯდე	განზრახვა თექბირი სუბჰანექე ეუზუ ბისმილლაჰ ფათიჰა სურა რუქუ (ქედის მოხრა) 2 სეჯდე
2. მუხლი	ბისმილლაჰ ფათიჰა სურა რუქუ (ქედის მოხრა) 2 სეჯდე თეჰიათ სალლი- ბარიქ რაბბენა სალამი	ბისმილლაჰ ფათიჰა სურა რუქუ (ქედის მოხრა) 2 სეჯდე თეჰიათ სალლი- ბარიქ რაბბენა სალამი

შუადღის ნამაზის ლოცვა

	სუნნეთი (4 მუხლი)	ფარზი (4 მუხლი)	სუნნეთი (2 მუხლი)
1. მუხლი	განზრახვა თექბირი სუბჰანექე ეუზუ ბისმილლაჰ ფათიჰა სურა რუქუ (ქედის მოხრა) 2 სეჯდე	განზრახვა თექბირი სუბჰანექე ეუზუ ბისმილლაჰ ფათიჰა სურა რუქუ (ქედის მოხრა) 2 სეჯდე	განზრახვა თექბირი სუბჰანექე ეუზუ ბისმილლაჰ ფათიჰა სურა რუქუ (ქედის მოხრა) 2 სეჯდე
2. მუხლი	ბისმილლაჰ ფათიჰა სურა რუქუ (ქედის მოხრა) 2 სეჯდე თეჰიათ	ბისმილლაჰ ფათიჰა სურა რუქუ (ქედის მოხრა) 2 სეჯდე თეჰიათ	ბისმილლაჰ ფათიჰა სურა რუქუ (ქედის მოხრა) 2 სეჯდე თეჰიათ სალლი- ბარიქ რაბბენა სალამი
3. მუხლი	ბისმილლაჰ ფათიჰა სურა რუქუ (ქედის მოხრა) 2 სეჯდე	ბისმილლაჰ ფათიჰა რუქუ (ქედის მოხრა) 2 სეჯდე	–
4. მუხლი	ბისმილლაჰ ფათიჰა სურა რუქუ (ქედის მოხრა) 2 სეჯდე თეჰიათ სალლი- ბარიქ რაბბენა სალამი	ბისმილლაჰ ფათიჰა რუქუ (ქედის მოხრა) 2 სეჯდე თეჰიათ სალლი- ბარიქ რაბბენა სალამი	–

სამხრობის ნამაზის ლოცვა

	სუნნეთი (4 მუხლი)	ფარზი (4 მუხლი)
1. მუხლი	განზრახვა თექბირი სუბჰანექე ეუზუ ბისმილლაჰ ფათიჰა სურა რუქუ (ქედის მოხრა) 2 სეჯდე	განზრახვა თექბირი სუბჰანექე ეუზუ ბისმილლაჰ ფათიჰა სურა რუქუ (ქედის მოხრა) 2 სეჯდე
2. მუხლი	ბისმილლაჰ ფათიჰა სურა რუქუ (ქედის მოხრა) 2 სეჯდე თეჰიათ სალლი- ბარიქ	ბისმილლაჰ ფათიჰა სურა რუქუ (ქედის მოხრა) 2 სეჯდე თეჰიათ
3. მუხლი	ბისმილლაჰ ფათიჰა სურა რუქუ (ქედის მოხრა) 2 სეჯდე	ბისმილლაჰ ფათიჰა რუქუ (ქედის მოხრა) 2 სეჯდე
4. მუხლი	ბისმილლაჰ ფათიჰა სურა რუქუ (ქედის მოხრა) 2 სეჯდე თეჰიათ სალლი- ბარიქ რაბბენა სალამი	ბისმილლაჰ ფათიჰა რუქუ (ქედის მოხრა) 2 სეჯდე თეჰიათ სალლი- ბარიქ რაბბენა სალამი

საღამოს ნამაზის ლოცვა

	ფარზი (3 მუხლი)	სუნნეთი (2 მუხლი)
1. მუხლი	განზრახვა თექბირი სუბჰანექე ეუზუ ბისმილლაჰ ფათიჰა სურა რუქუ (ქედის მოხრა) 2 სეჯდე	განზრახვა თექბირი სუბჰანექე ეუზუ ბისმილლაჰ ფათიჰა სურა რუქუ (ქედის მოხრა) 2 სეჯდე
2. მუხლი	ბისმილლაჰ ფათიჰა სურა რუქუ (ქედის მოხრა) 2 სეჯდე თეჰიათ	ბისმილლაჰ ფათიჰა სურა რუქუ (ქედის მოხრა) 2 სეჯდე თეჰიათ სალლი- ბარიქ რაბბენა სალამი
3. მუხლი	ბისმილლაჰ ფათიჰა სურა რუქუ (ქედის მოხრა) 2 სეჯდე თეჰიათ სალლი- ბარიქ რაბბენა სალამი	–

ღამის ნამაზის ლოცვა

	სუნნეთი (4 მუხლი)	ფარზი (4 მუხლი)	ბოლო სუნნეთი (2 მუხლი)
1. მუხლი	განზრახვა თექბირი სუბჰანექე ეუზუ ბისმილლაჰ ფათიჰა სურა რუქუ (ქედის მოხრა) 2 სეჯდე	განზრახვა თექბირი სუბჰანექე ეუზუ ბისმილლაჰ ფათიჰა სურა რუქუ (ქედის მოხრა) 2 სეჯდე	განზრახვა თექბირი სუბჰანექე ეუზუ ბისმილლაჰ ფათიჰა სურა რუქუ (ქედის მოხრა) 2 სეჯდე
2. მუხლი	ბისმილლაჰ ფათიჰა სურა რუქუ (ქედის მოხრა) 2 სეჯდე თეჰიათ სალლი- ბარიქ	ბისმილლაჰ ფათიჰა სურა რუქუ (ქედის მოხრა) 2 სეჯდე თეჰიათ	ბისმილლაჰ ფათიჰა სურა რუქუ (ქედის მოხრა) 2 სეჯდე თეჰიათ სალლი- ბარიქ რაბბენა სალამი
3. მუხლი	ბისმილლაჰ ფათიჰა სურა რუქუ (ქედის მოხრა) 2 სეჯდე	ბისმილლაჰ ფათიჰა რუქუ (ქედის მოხრა) 2 სეჯდე	–
4. მუხლი	ბისმილლაჰ ფათიჰა სურა რუქუ (ქედის მოხრა) 2 სეჯდე თეჰიათ სალლი- ბარიქ რაბბენა სალამი	ბისმილლაჰ ფათიჰა რუქუ (ქედის მოხრა) 2 სეჯდე თეჰიათ სალლი- ბარიქ რაბბენა სალამი	–

ვითრის ლოცვა

	ვითრი (3 მუხლი)
1. მუხლი	განზრახვა თექბირი სუბჰანექე ეუზუ ბისმილლაჰ ფათიჰა სურა რუქუ (ქედის მოხრა) 2 სეჯდე
2. მუხლი	ბისმილლაჰ ფათიჰა სურა რუქუ (ქედის მოხრა) 2 სეჯდე თეჰიათ
3. მუხლი	ბისმილლაჰ ფათიჰა სურა თექბირი ყუნუთის ვედრებები რუქუ (ქედის მოხრა) 2 სეჯდე თეჰიათ სალლი- ბარიქ რაბბენა სალამი

ნამაზი

დღეში ხუთგზის ვლოცულობთ,
დილა, შუადღე, სამხარი,
მერე საღამო და ღამე,
ვითრიც იქვე მზად არი.

ყოველი დღე წყალობა,
გუშინდელიც გავიდა.
წყალობას კი ყოველთვის
მადლიერება უნდა.

ლოცვის მომშლელი ზოგიერთ ფაქტორი

1. ლოცვის დროს ლაპარაკი
2. ლოცვის დროს ჭამა ან დალევა
3. ლოცვის დროს იმდენად ხმამაღლა გაცინება, რომ გავიგონოთ
4. ლოცვის დროს ქააბას მიმართულებიდან სხვა მხარეს შეტრიალება
5. ლოცვის დროს მცირე განბანილობის დარღვევა



ერთად ვლოცულობთ

იმამის წინამძღვრობით ლოცვას „ჯამაათით ლოცვა“ ან ერთად ლოცვა ეწოდება. ერთად ლოცვა ძალიან მნიშნელოვანია, რადგან ერთად ლოცვის დროს მლოცველები ერთმანეთთან უფრო ახლოვდებიან. შუამავალი ბრძანებს, რომ ერთად ნალოცი ნამაზი მარტო ნალოცთან შედარებით მრავალჯერ მეტი მადლის მომტანია.

ერთად ლოცვის დროს ყველანი მწკრივებად ვდგებით და ერთი მიმართულებით, ერთი ღმერთის წინაშე ვლოცულობთ. ეს ერთიანობა ერთი ღმერთის რწმენის გამოხატულებაა. ამავდროულად, ერთად ლოცვა მორწმუნეთა შორის სიყვარულისა და სითბოს დამკვიდრებას უწყობს ხელს. მორწმუნეთა შორის ძმობა, მეგობრობა და სიყვარული ისადგურებს. მორწმუნეები ასევე ერთიმეორის ჭირსა და ლხინს იზიარებენ და ამით საზოგადოებაშიც უკეთესი გარემო ისადგურებს.

პარასკევის ლოცვა

მუსლიმებისთვის პარასკევი განსაკუთრებული დღეა. პარასკევი მუსლიმთა ყოველკვირეული დღესასწაულია. ამ დღეს სრულდება ლოცვა, რომელსაც ჯუმა, ანუ პარასკევის ლოცვა ეწოდება. პარასკევის ლოცვა ათი მუხლისგან შედგება და ის პარასკევ დღეს, შუადღის ლოცვის დროს სრულდება.

პარასკევ დღეს მლოცველები მეჩეთებში იკრიბებიან და პარასკევის ლოცვას ერთად ასრულებენ. იქ ლოცვასთან ერთად უსმენენ ყოველკვირეულ ხუტბას და ერთად ყოფნის ბედნიერებას განიცდიან.

რას ნიშნავს სალავათი?

„ალლაჰუმმე სალლი ალაა სეიდინაა მუჰამმედინ ვე ალაა ალი სეიდინა მუჰამმედ“

მნიშვნელობა: ღმერთო მშვიდობა და წყალობა მოუვლინე მუჰამმედსა და მის ოჯახს.

თარავი

თარავის ლოცვა რამადანის თვეში სრულდება. თარავი ოცი მუხლია. ის ღამის ნამაზის შემდეგ სრულდება. რამადანის თვეში მორწმუნეები მეჩეთებში იკრიბებიან და ყველანი ერთად თარავის ლოცვას აღავლენენ. ასევე აღავლენენ ვედრებას და სხვა სასულიერო აქტივობებს ასრულებენ.

ბაირამის ნამაზი

ჩვენ, მუსლიმებს წელიწადში ორი რელიგიური დღესასწაული გვაქვს. აქედან ერთი რამადანის, ხოლო მეორე მსხვერპლშეწირვის დღესასწაულია. ბაირამის ნამაზი ორი მუხლია და ის მლოცველების მიერ იმამის წინამძღოლობით სრულდება.

ბაირამის დილით ყველანი განსაკუთრებული სიხარულით ვიღვიძებთ. დიდი და პატარა, ყველა განსაკუთრებული სიხარულით ეგებება ბაირამს. იმ დღეს საუკეთესო ტანისამოსს ვიცვამთ და ბაირამის ლოცვის მიზნით მეჩეთებისკენ მივიჩქარით. მეჩეთში ყველანი ერთად ვლოცულობთ, ვედრებას აღვავლენთ, თექბირებს წარმოვთქვამთ და ხუტბას ვუსმენთ. ბაირამის ნამაზის შემდეგ მლოცველები ერთმანეთს ულოცავენ, დამდურებულები რიგდებიან, მეზობლები, მეგობრები და ახლობლები ერთმანეთს სტუმრობენ და მასპინძლობენ. ამ დღეებში ასევე არ ვივიწყებთ ობლებსა და ღარიბებს. ყველას ვეხმარებით ვინც ჩვენგან დახმარებას საჭიროებს.

რა არის თექბირი?

„ალლაჰუ ექბერ, ალლაჰუ ექბერ, ლაა ილაჰე ილლელლაჰუ ალლაჰუ ექბერ. ალლაჰუ ექბერ ველილლაჰილ ჰამდ“.

მნიშვნელობა: ღმერთი ყველაზე დიდია. ღმერთი ყველაზე დიდია. არ არსებობს სხვა ღმერთი, გარდა ალლაჰისა. ღმერთი ყველაზე დიდია. ღმერთი ყველაზე დიდია და ყველა ქება და მადლიერება მისდამია.

ლოცვის მომშლელი და არამომშლელი ზოგიერთი ფაქტორი

ძვირფასო მეგობრებო!
ქვემოთ მოცემულია ლოცვის მომშლელი და არამომშლელი ფაქ-ტორები.

ლოცვის მომშლელი ფაქტორების ქვემოთ მოწყენილი სახე გა-აფერადეთ, ხოლო იმ ფაქტორებთან, რომელბიც ლოცვას არ შლიან, ღიმილიანი სახე გააფერადეთ.

1. რომელია მცირე განბანვის მომშლელი ფაქტორები? გავიხსენოთ.
2. შევისწავლოთ ერთი ჰადისი, რომელიც ლოცვას ეხება და მეგობრებს გავუზიაროთ.

ლოცვა, როგორც პირადობის მოწმობა

მეგობრებო!
შეხედეთ მაგალითებს და თქვენც დაამზადეთ ლოცვების პირადობის მოწმობები. შეძლებთ?

ლოცვის პირადობის მოწმობა

სახელი	შუადღის ლოცვა
დრო	სამხრობამდე
მუხლების რაოდენობა	4+4+2
დღეს შეასრულე?	

ლოცვის პირადობის მოწმობა

სახელი	
დრო	
მუხლების რაოდენობა	
დღეს შეასრულე?	

ლოცვის პირადობის მოწმობა

სახელი	
დრო	
მუხლების რაოდენობა	
დღეს შეასრულე?	

ლოცვის პირადობის მოწმობა

სახელი	
დრო	
მუხლების რაოდენობა	
დღეს შეასრულე?	

ლოცვის პირადობის მოწმობა

სახელი	
დრო	
მუხლების რაოდენობა	
დღეს შეასრულე?	

სპეციალური ტესტი შენთვის

ეს ტესტი ისეთი არაა, როგორსაც მიჩვეული ხარ!

ეს ტესტი სპეციალურად შენთვისაა. კითხვები შენი პასუხების მიხედვით იცვლება.

დაგაინტერესა? თუ ასეა, მაშინ რაღას ელოდები, დაიწყე! :)

1. აქამდე ლოცვა შეგისრულებია?

   ა) დიახ, ნალოცი მაქვს. წაიკითხე მეორე შეკითხვა.

   ბ) არა. არ მილოცავს. წაიკითხე მესამე შეკითხვა.

2. ყოჩაღ! კარგია, რომ ლოცულობ. მარტო ლოცვა შეგიძლია?

   ა) დიახ. შემიძლია. წაიკითხე მეოთხე კითხვა.

   ბ) არა. არ შემიძლია. გადადი მეხუთე შეკითხვაზე.

3. თუ ასეა, რაც შეიძლება მალე უნდა ისწავლო ლოცვა. მეჩეთში ნამყოფი ხარ?

   ა) დიახ. ნამყოფი ვარ. მეექვსე კითხვაზე გადადი.

   ბ) არა. არ ვარ ნამყოფი. მეთორმეტე წინადადებაზე გადადი.

4. ესე იგი ლოცვა იცი და მარტო ლოცვაც შეგიძლია. ყოჩაღ შენ! ლოცვის დროს რომელს სურებს კითხულობ, შეგიძლია დაწერო?

.....

.....

.....

წაიკითხე მეცამეტე ნაწილი

5. შენ შეგიძლია მიმართო მასწავლებელს და ის გასწავლის მარტომ როგორ ილოცო. შეგიძლია ჩამოთვალო ვისთან ერთად ლოცულობ?

.....

.....

.....

ახლა მეთოთხმეტე ნაწილი წაიკითხე.

6. მეჩეთების ინტერიერი ძალიან ლამაზია, ხომ? რა ნახე მეჩეთში?

ა) ვნახე ადამიანები, რომლებიც მარტო ლოცულობდნენ. უპასუხე მეშვიდე კითხვას.

ბ) ვნახე ადამიანები, რომლებიც ერთად ლოცულობდნენ. უპასუხე მეშვიდე კითხვას.

7. იცი, რას ნიშნავს ერთად (ჯამაათით) ლოცვა?

ა) დიახ. გადადი შემდეგზე.

ბ) არა. წაიკითხე მეცხრე წინადადება.

8. ყოჩაღ! ესე იგი მეშვიდე შეკითხვას უპასუხე. შემდეგი შეკითხვა:შენ ჯამაათთან ერთად გილოცია?

ა) დიახ. ნალოცი მაქვს. მეათე წინადადებაზე გადადი.

ბ) არა. არ მილოცავს. წაიკითხე მეთერთმეტე წინადადება.

9. ჯამაათით ლოცვა მცლოცველების მიერ ერთად შესრულებული ლოცვაა, რომელსაც იმამი უძღვება.

წაიკითხე მეთერთმეტე წინადადება.

10. შენ ტესტი წარმატებით დაასრულე. გილოცავთ. წარმატებებს გისურვებთ.

11. გილოცავ. ტესტი წარმატებით დაასრულე. იმედია სულ მალე სხვებთან ერთად ერთიან ლოცვაში ჩაერთვები.

12. შენს სახლთან ახლოს მეჩეთი არის?

მე მჯერა, რომ მალე მეჩეთში სიარულს დაიწყებ.

წაიკითხე მეშვიდე შეკითხვა

13. მშვენიერია. ჩემი აზრით შენ შეგიძლია უფრო მეტი სურა დაიზეპირო. აქამდე მეჩეთში ნამყოფი ხარ?

ა) დიახ. ნამყოფი ვარ. უპასუხე მეექვსე კითხვას.

ბ) არა. არ ვყოფილვარ. წაიკითხე მეთორმეტე წინადადება.

14. სასიხარულოა, რომ სხვებთან ერთად ლოცულობ. კარგი. აქამდე მეჩეთში ნამყოფი ხარ?

ა) დიახ. ნამყოფი ვარ. უპასუხე მეექვსე კითხვას.

ბ) არა. არ ვყოფილვარ. წაიკითხე მეთორმეტე წინადადება.

5. თავი

ვმარხულობ

რა არის მარხვა?

მარხვა არის ღვთისმსახურება, რომლის დროსაც მარხული ადამიანი ალიონიდან საღამომდე ჭამა-სმისგან თავს იკავებს. მარხვა ისლამის პირობებიდან ერთ-ერთია და ის რამადანის თვეში სრულდება.

მარხვა ერთ-ერთი განსაკუთრებული ღვთისმსახურებაა, რომლის გამოც ღმერთი მრავალ ჯილდოს გვწყალობს. მარხული ადამიანი, მხოლოდ ღვთის გულისათვის, მთელი დღის განმავლობაში საკვების მიღებისგან თავს იკავებს. მარხულობა მხოლოდ შიმშილი და წყურვილი არ არის. ამავდროულად თავი უნდა შევიკავოთ ცუდსიტყვაობის, ტყუილის, ჭორაობის, კამათის და სხვა მსგავსი უარყოფითი ქცევებისგან.

რამადანის თვე, ყურანის თვეა.

ყურანის მოვლინება რამადანის თვეში დაიწყო. შუამავალი ბრძანებს, რომ რამადანი ძალიან ძვირფასი თვეა. რამადანში დღისით ვმარხულობთ, ხოლო ღამეებს ღვთისმსახურებაში ვატარებთ. ამასთანავე, ვეხმარებით გაჭირვებულებს, ობლებს და ყველას, ვისაც დახმარება სჭირდება.

ჩვენ შუამავლის მიმდევრები ვართ და მის მაგალითს მივყვებით. მარხვასა და სხვა ღვთისმსახურებასთან ერთად ვკითხულობთ ყურანს და ვცდილობთ რაც შეიძლება მეტი სურა დავიზეპიროთ. ვლოცულობთ ხუთი დროის ლოცვებს, თარავს და ნაფილე ნამაზებს. იფთარზე ვპატიჟებთ ახლობლებს, მეგობრებს, მორწმუნე ძმებს და ვმასპინძლობთ. ვეხმარებით გაჭირვებულებს და ლუკმას ვუზიარებთ.

იცოდი?

იმსაქი არის, დრო, როცა ღამე მთავრდება და მარხვა იწყება.

იფთარი არის დრო, როდესაც მზე ჩადის და მარხვა მთავრდება.

რამადანის თვეში მორწმუნეები იკრიბებიან.მათგან ერთი ყურანს კითხულობს, ხოლო სხვები უსმენენ. ამას მუყაბელე ეწოდება.

შუამავალი ბრძანებს: „დაიცავით მარხვა და ჰპოვეთ ჯანმრთელობა!“ ჩვენი სხეული წელიწადის თერთმეტი თვის განმავლობაში შეუჩერებლად მუშაობს. მარხვის დროს სხეულს განტვირთვისა და დასვენების შანსი ეძლევა. მარხვის დროს ადამიანი სწავლობს მოთმინებას და ასევე მადლიერებას გამოხატავს იმ წყალობათა გამო, რასაც ღმერთი გვაძლევს.

კეთილი იყოს რამადანის მობრძანება

ისევ შემობრძანდა რამადანი,
გულებიდან წაშალა ლაქები.
მის ფასს ჩაწვდა ადამიანი,
ცოდნაა გონების საგზალი.

ყურანის მოვლენის თარიღი,
მოწყალება, მარხვა და თარავი,
გონიერთათვის სიკეთემ, რწმენამ
გულებში გაშალა კარავი.

იასლული, მუყაბელე, იფთარი,
მოწყალება და სიქველე,
გულში იხარებს იმედი,
მსახურებაში სიწრფელე.

ყოველ დღე სულის ზეიმი,
სიმშვიდე ენით უთქმელი,
ყოველი ღამის ბარაქა,
წყალობა მოგვეც ულევი.

დრო მიდის, აღარ ბრუნდება,
მოგვენატრები უზომოდ,
ისევ დაგვასწარ რამადანს,
შენ გევედრებით გამჩენო!

მარხვის დაცვა

- ღვთის კმაყოფილების საწინდარია.
- ზნეობას აკეთილშობილებს.
- შემწყნარებლობის გრძნობას ანვითარებს.
- გვსაწავლის მოთმინებას.
- თანადგომის გრძნობას აძლიერებს.
- ჯანმრთელობას გვინარჩუნებს.

იცოდი?

ფითრა არის მოწყალება, რომელიც რამადანის თვეში ღარიბებზე გაიცემა.

რამადანის თვე ბარაქის თვეა

რამადანი დიდი სიხარულითა და იმედით მოდის, რომელიც ყველა მუსლიმის გულებს მოიცავს. რამადანის მოახლოებისას ყველგან სამზადისი და მღელვარებაა. სახლებში, ქუჩებსა და ბაზრობებზე ყველას ეტყობა მოუცლელობა. იფთრის სუფრაზე მოწვეულ სტუმრებს ცალკე ხვავი და ბარაქა მოჰყვება.

მეჩეთების მინარეთები ნაირფერადადაა განათებული. მინარეთებს შორის კი ლამაზი წარწერებია გამოკრული. მეჩეთებში კი მლოცველთა ტევა აღარაა.

იასლუღზე ვდგები

 რამადანი რომ დაიწყება, ყოველ ღამე, ჯერ კიდევ ღამის სიბნელეში სახლების ფანჯრებში შუქები ინთება. ოჯახები იღვიძებენ და იასლუღისთვის ემზადებიან. ქუჩებში ამ დროისათვის სპეციალურად გამოყოფილი მედოლე დადის და ხალხს აღვიძებს. ამ დროს ადგომა და საკვების მიღება შუამავლის

სუნნეთია, ამიტომ ჩვენც ამ სუნნეთს ვასრულებთ. გვჯერა, რომ ამ დროს ადგომას და ჭამას ბარაქა მოაქვს. გარდა ამისა, იასლუ-ღის ჭამა მეორე დღის მარხვას გაგვიოლებს.

მარხვას შესაბამისი განზრახვით ვიწყებთ. მიზანი ღვთის კმაყო-ფილების მოპოვებაა. იასლუღის დრო დამთავრდება და დილის ნამაზის ეზანი გაისმის. ამ დროიდან მზის სრილად ჩასვლამდე უნდა ვიმარხულოთ.

იფთრის სიხარული

იფთრის მოახლოება ყოველი მარხულისთვის განსაკუთრებული სიხარულის მომტანია. იფთრის დრო რომ მოახლოვდება ყველა-ნი მთელი გულით ეზნის ხმას ველოდებით. როგორც კი მუაზინი „ალლაჰუ ექბერ“ იტყვის ეს მოლოდინი მთავრდება, მარხულები იფთრის ვედრებას აღავლენენ და მარხვას ხსნიან.

ამ დროს ყოველი ლუკმა განსაკუთრებით გემრიელია. წყალიც განსაკუთრებულ გემოს ატარებს. ამ დროს ვხვდებით თუ რა-ოდენ დიდია ღვთის წყალობა და უფრო ცხადად ვფიქრდებით იმ ადამიანებზე, რომლებსაც უჭირთ და ლუკმა-პურის ძიებაში არიან. ამ დროს უზომოდ მადლიერნი ვართ ღმერთისა, რადგან გვაძლევს სარჩოს და ჯანმრთელობას, რათა ეს სარჩო შევირ-გოთ.

იცოდი?

რამადანის თვეში მინარეთებზე განათებულ წარწერებს „მაჰია“ ეწოდება.

ღამით ადგომას და მარხვის გაიოლების მიზნით საკვების მიღებას საჰური, იასლული ეწოდება.

ვისწავლოთ ერთი ჰადისი

„მარხულს ორი სიხარული აქვს: ერთი იფთრის დროა, ხოლო მეორე ღვთის წიაღ წარდგომის დრო“.

მოპატიჟება!

რამადანის თვეში მეზობლებს, მეგობრებს, ნათესავებს და ასევე გაჭირვებულ ადამიანებს სახლში ვპატიჟებთ და გემრიელი საჭმლით ვუმასპინძლდებით. ამით ერთის მხრივ მადლს ვიგებთ, ხოლო მეორეს მხრივ მეზობლური, ნათესავური და მეგობრული კავშირები უფრო ძლიერდება.

რამადანის თვეში ქალაქებში იფთრის კარვები იშლება, სადაც ღარიბები ან ნებისმიერი მსურველი ნაყრდება.

იფთრის ვედრება

ალლაჰუმმე ლექე სუმთუ ვე ბიქე
ამნეთუ ვე ალეიქე თევექქელთუ ვე
ალაა რიზყიქე ეფთართუ

მნიშნელობა

ღმერთო, შენი
კმაყოფილებისთვის
ვიმარხულე. შენი ვიწამე.
შენ მოგენდე. შენი ბოძებული
წყალობით მარხვას ვხსნი. ამინ!

მობრძანდა დალოცვილი რამადანი

მარხვა წელიწადში ერთი თვეა,
თან ტკბილი და ადვილია,
რამადანი რომ ბარაქაა
ყველამ ვიცით ნამდვილია.

თერთმეტი თვის სულთანია,
სულიერად აგვამაღლებს,
გულებს გააერთიანებს,
სიხარულის მომტანია.

ვიფიქროთ, გამოვიკვლიოთ, გავუზიაროთ!

- რატომ ეწოდება რამადანს თერთმეტი თვის სულთანი? გამოვიკვლიოთ.
- რა არის მარხვის დადებითი მხარეები? გავიხსენოთ.

თარავის სალოცავად მივდივარ

რამადანის თვეში იფთრის შემდეგ მლოცველები მეჩეთებისკენ მიდიან. ამ დროს მეჩეთები ივსება და გასაოცარი სულიერი გამორე იქმნება. დიდი თუ პატარა, ქალი თუ კაცი, ყველანი ერთად თარავს ლოცულობენ. ასეთი ღამეები მორწმუნეებს განსაკუთრებულ ბედნიერებას ანიჭებს.

მარხვა დაირღვა?

განზრახ რაიმის ჭამა ან დალევა მარხვას შლის. ზოგჯერ შეიძლება დაგვავიწყდეს და უნებლიედ რაიმე შევჭამოთ ან შევსვათ. როგორც კი გაგვახსენდება, რომ მარხული ვართ ჭამა იქნება თუ სმა უნდა შევწყვიტოთ და მარხვა გავაგრძელოთ. ასე დავიწყების გამო ჭამა ან სმა მარხვას არ შლის.

რამადანის თვეში ორსულები, მგზავრები და ისეთი ავადმყოფები, რომლებსაც მარხვა არ შეუძლიათ, არ მარხულობენ და გაცდენილ დღეებს შემდგომში აანაზღაურებენ.

ვაშაა, ბაირამი მოვიდა!

ბაირამის წინა დღეს არაფა ეწოდება. არაფა დღეს საბაირამო მღელვარება და სამზადისი იწყება. გარდა ამისა, მორწმუნენი გარდაცვლილთა საფლავებს სტუმრობენ და ლოცვა-ვედრებას აღავლენენ. ამრიგად, ცოცხლები გარდაცვლილ ახლობლებს არ ვივიწყებთ.

ბაირამის დილას ადრიანად ვდგებით და ყველანი ერთად ბაირამის ნამაზის სალოცავად მივიჩქარით. მეჩეთში მისულები ვლოცულობთ, თექბირებს წარმოვთქვამთ, მადლიერებას გამოვხატავთ და ხუტბას ვისმენთ. ბაირამის ლოცვის შემდეგ ერთმანეთს ვულოცავთ, ვესალმებით და ტკბილად ვიკითხავთ ხოლმე. ამ დღეს დამდურებულები უნდა შერიგდნენ. ძმობა და მეგობრობა უფრო მტკიცე ხდება.

ბაირამის დღეებში ოჯახები სტუმრებით ივსება და სულ სხვა ხალხისი და ბედნიერება სუფევს. განსაკუთრებული პატივისცემით ვეპყრობით უფროსებს და ისინიც გვლოცავენ. ერთი თვის ნამარხულევი მორწმუნეები ამ დღეს ნუგბარი საჭმელებით იტკბარუნებენ პირს და სტუმრებსაც სთავაზობენ. გარდა ამისა, განსაკუთრებული ყურადღებით ვეპყრობით ღარიბებს, ობლებსა და უპოვრებს.

ვიფიქროთ, გამოვიკვლიოთ, გავუზიაროთ!

- გამოიკვლიეთ რა მნიშვნელობა აქვს რელიგიურ დღესასწაულებს და გაუზიარეთ მეგობრებს.
- რამადანისა და მსხვერპლშეწირვის დღესასწაულების შესახებ მეგობრებს ესაუბრეთ.

საკითხავი ნაწილი

სულეიმანის პირველი მარხვა

როცა პატარა ვიყავი, ზოგჯერ ბაბუასთან ვრჩებოდი. ერთხელაც, როცა ღამით ბაბუას სახლში მეძინა, სამზარეულოში რაღაც ფუსფუსის ხმა სემომესმა და გამეღვიძა. ისეთი გემრიელი სუნი მოდიოდა, რომ მაშინვე ფეხზე წამოვვარდი და იქით წავედი, საიდანაც ეს სუნი მოდიოდა. იქ მისულმა ვნახე, რომ მთელი ოჯახი შეკრებილიყო და საჭმელს მიირთმევდნენ.

ჩემს დანახვაზე გაიკვირვეს და შენც გაიღვიძეო, მკითხეს.

ამ ღამით რატომ შეიკრიბეთ და ჭამთ- მეთქი, ვკითხე მათ. ჩემმა უფროსმა დამ ამიხსნა, რომ ამაღამ რამადანის პირველი ღამე იყო და ამიტომ გათენებამდე უნდა ეჭამათ, რათა მეორე დღეს მარხვა გაადვილებოდათ. შემდეგ ამიხსნა, როგორ უნდა მემარხულა. მე მათ ვუთხარი, რომ მარხვის დაცვა მინდოდა და მათთან ერთად სუფრას მივუჯექი.

იმ დღეს ჩემი პირველი მარხვა უნდა ყოფილიყო.

უნდა გავამხილო, რომ იმ დღეს ძალიან მომშივდა და მომწყურდა. სულმოუთქმელად ველოდებოდი საღამოს მოსვლას, მაგრამ არა და არ ღამდებოდა. იმდენად მომშივდა, რომ ჭამის მეტს ვერაფერზე ვფიქრობდი. ბოლოს, როგორც იქნა, დაღამდა და ყველანი იფთრის სუფრას მივუჯექით. ახლა უკვე ეზნის ხმას ველოდებოდით. როგორც იქნა ეზნის ხმაც გაისმა. ყველამ ერთად დავიწყეთ ჭამა, თუმცა ერთი პრობლემა იყო.

მე ოსპის სუპი არ მიყვარდა, არადა დედას მაინც და მაინც ოსპი მოემზადებინა. ხელში კოვზი ავიღე და წვნიანის ჭამა დავიწყე. მთელი დღეა საჭმელზე ნაოცნებარი ახლა ოსპის სუპს ისე გემრიელად ვჭამდი, რომ ვერ აღვწერ. ასეთი გემრიელი თუ იყო არ ვიცოდი. სუპის შემდეგ სხვა საჭმელებიც ვჭამე. ყველა ერთმანეთზე გემრიელი იყო. იფთარმა რაღაც განსაკუთრებული სიხარული მომანიჭა. მართალია დღის განმავლობაში შიმშილმა შემაწუხა, მაგრამ მარხვა ძალიან მომეწონა. სამაგიეროდ საღამოს ისეთ ბედნიერი ვიყავი რომ გაძლებას ღირდა. გარდა ამისა, ღვთის მიერ ბოძებული წყალობის ფასი უფრო ვისწავლე. იმ საღამოს ნაჭამი ოსპის გემო არასოდეს დამავიწყდება. მას შემდეგ, როცა ოსპის სუპს ვჭამ, ყოველთვის ის საღამო და ის სუპი მახსენდება.

1. შეგიძლია შენი პირველი მარხვა გაიხსენო?
2. როდესაც სულეიმანის ამბავს კითხულობდი, რომელიმე ისეთი სიტყვა შეგხვდა, რომელიც არ იცოდი?
3. რა არის წყალობა? შენი აზრით, ყველაზე დიდი წყალობა რა არის?

მკვლევარი ჟურნალისტი მუშაობას იწყებს

ვისგან უნდა აიღოს ინტერვიუ?

- შენზე უფროსი ოჯახის წევრისგან.

რა არის ინტერვიუს თემა?

- ბავშვობაში რამადანი და მარხვა.

სად ტარდება ინტერვიუ?

- ადგილზე, რომელსაც შეარჩევ.

როდის იქნება ინტერვიუ?

- პირველივე ხელსაყრელ შემთხვევაში.

1. პირველად მარხვა რა ასაკში დაიწყე?

.....

2. როდესაც მარხვა დაიწყე, წელიწადის რომელი დრო იყო?

.....

3. მარხვის და იფთრის დროს რა გრძნობა გეუფლებოდა?

.....

4. შეგიძლია მოგვიყვე შენი ბავშვობის დროინდელ რამადანზე?

.....

.....

.....

.....

5. თარავის სალოცავად მეჩეთში დადიოდი? ვისთან ერთად დადიოდი?

.....
.....
.....

6. ყადირის ღამეს რას აკეთებდით?

.....

.....

7. ბავშვობის პერიოდში რამადანის ბაირამი როგორი იყო?

.....

.....

8. რამადანთან დაკავშირებით რა შეგიძლიათ ურჩიოთ ბავშვებს?

.....

.....

მადლობა, რომ გამონახეთ დრო და ამ ინტერვიუში მონაწილეობა მიიღეთ

მარხვასთან დაკავშირებული ტერმინები

ძვირფასო მეგობრებო!
სურათების დახმარებით გამოვიცნოთ რამადანთან დაკავშირებული ტერმინები. ჯერ სურათების პირველი ასოები პატარა კვადრატებში დავწეროთ, შემდეგ კი მიღებული სიტყვების მნიშვნელობები მოვიძიოთ.





გამოცანა

მეგობრებო!

ჩვენი მეგობარი მუსტაფა დღეს მარხულობს. მოდი, დავეხმაროთ მუსტაფას, რომ მარხვის მოუშლელად იფთრის სუფრამდე მიაღწიოს.



რომელი რომელს ეკუთვნის?

მეგობრებო!
ამ სამკუთხედებში მოცემული სიტყვები რას გახსენებთ? შუაში მოთავსებული ცარიელი სამკუთხედის შესავსებად ქვემოთ მოცემული სიტყვებიდან აარჩიეთ მისადაგებული სიტყვა.





1. რამდენი რელიგიური ბაირამი იცით?

.....

2. რელიგიური დღესასწაულების გარდა სხვა რა დღესასწაულები იცით?

.....

იპოვეთ განსხვავებული

მეგობრებო!
ვარსკვლავების შუაგულში დაწერილია ღვთისმსახურების სახელები. იპოვეთ ისეთ სიტყვები, რომლებიც ამ ღვთისმ-სახურებასთან კავშირში არ არის.





1. ჩამოთვალეთ მხირე განბანვის სამი დადებითი მხარე.

.....

2. რას ვაკეთებთ ბაირამის დღეს?

.....

3. ჩამოთვალეთ მარხვის სამი დადებითი მხარე.

.....

4. ეზნიდან „ჰაიაღა ლელ ფელაჰ“, რას ნიშნავს?

.....

5. ეზნის გაგონებაზე რა უნდა გავაკეთოთ?

.....

6. თავი

ზექათს ვსწავლობ

ზექათი: გაზიარება

ჩვენი სარწმუნოების, ისლამის ერთ-ერთი ძირითადი ღვთისმსახურება ზექათია. ზექათი ფულით ან ქონებით შესრულებული ღვთისმსახურებაა. ღმერთი ბრძანებს, რომ იმ წყალობათაგან, რასაც ის გვწყალობს, ჩვენც სხვებს, საჭიროების მქონეთ გავუზიაროთ. ადამიანი, რომელიც რელიგიური საზომით უკვე მდიდრად ითვლება, აუცილებლად უნდა დაეხმაროს სხვებს და ეს დახმარება, მისი ფორმები და საზომები განსაზღვრულია რელიგიური დებულებების მიხედვით.

ზექათის გაცემა ადამიანში სიძუნწისა და ეგოიზმის გრძნობებს კლავს. ზექათი საზოგადოებრივ ცხოვრებაში სიმშვიდისა და კეთილდღეობის დამკვიდრებას უწყობს ხელს. ზექათის მეოხებით ადამიანთა გულებს შორის თანადგომისა და პატივისცემის ხიდები იგება. უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენს ქონებაში ღარიბებს თავიანთი წილი გააჩნიათ. ზექათი კი ამ წილის მათთან მოხვედრას უზრუნველყოფს.

იცოდი?

ღვთის კმაყოფილების მოპოვების მიზნით გაკეთებული ნებისმიერი სიკეთე და ქველმოქმედება მოწყალებაა.

აბა გამოიცანით

მოწყალების გაცემა
რწმენის სიტკბოებაა.
ყველას ხელი გაუწოდე,
ღარიბთათვის შვებაა.

რა კარგია მოწყალების გაცემა!

ქუჩის ცხოველებისა და ფრინველებისათვის საჭმლისა და წყლის მიწოდება მოწყალებაა.

გზიდან ქვის ან სხვა რაიმე საგნის გადაგდება, რომელიც გამვლელებს აწუხებს, მოწყალებაა.

ლამაზი სიტყვის თქმა მოწყალებაა.

ხის დარგვა მოწყალებაა, რადგან მის ჩრდილში დაისვენებენ, ხოლო ნაყოფს მიირთმევენ.

ღიმილიც მოწყალებაა.

გაჭირვებულებზე მატერიალური დახმარება მოწყალებაა.

საზოგადოებრივ ტრანსპორტში მოხუცებზე, ორსულებსა და ინვალიდებზე ადგილის დათმობა მოწყალებაა.

მისალმება მოწყალებაა.

უცხოზე გზის სწავლება მოწყალებაა.

მარცვალ მარცვალ გამოცანა

მეგობრებო!
ქვემოთ მოცემული წინადადებები მარცვა-მარცვალაა დანაწევრებული. მოდი, შევაერთოთ სწორად და მივიღოთ სწორი წინადადება.

1. რა ეწოდება ღვთისმსახურებას, რომელიც ისლამის ერთ-ერთი პირობაა და ღარიბებზე ქონებიდან წილის გაცემას გულისხმობს?
2. რა ეწოდება დახმარებას, რომელიც ღვთის კმაყოფილების მოპოვებას ისახავს მიზნად?
3. მოწყალების გაცემისას რას ვიღებთ?
4. საკუთრების სხვაზე გაზიარებას რა ეწოდება?



- მოდით გამოვიკვლიოთ მოწყალება და ღარიბებზე დახმარება. რა დადებით შედეგებს იძლევა ამგვარი ქცევები? მიღებული შედეგები მეგობრებსაც გავუზიაროთ.

.....

.....

.....

იპოვე წინადადება!

მეგობრებო!

ქვემოთ მოცემული მინიშნებების საშუალებით წინადადებას მიაგნებთ? ყოველი ასო რაიმე ნიშნით და ნ რიცხვითაა აღნიშნული. მაგალითად. 1 და „გული“ კომბინაციაში არის „ღ“ ასო. მიღებული წინადადება გაუზიარეთ მეგობრებს.

	1	2	3	4	5	6	7
✋	მ	ე	ჰ	ი	ა	ლ	მ
□	ბ	დ	ჯ	ს	ზ	ე	ა
○	ნ	ი	დ	ვ	წ	ყ	ჩ
♥	ღ	ლ	ა	ს	ვ	ე	ო

5□	2○	7○	1✋	2○	7□	1✋	6○	1✋
1□	4♥	7□	6✋	6○	6♥	4♥	7♥	
1□	4○	7○	2♥	6✋	6○	1○	6✋	6□
7○	1✋	5✋	1✋	6□	1✋	5✋	4□	6○

7. თავი

ჰაჯს ვსწავლობ

წმინდა მოგზაურობა; ჰაჯი

ჰაჯი ქააბასა და მის გარშემო არსებულ წმინდა ადგილებში მისვლა და ღვთის წინაშე ღვთისმსახურების აღვლენაა. მუსლიმები წელიწადის კონკრეტულ პერიოდში მსოფლიოს ყველა კუთხიდან ქააბაში მოდიან და ჰაჯის ღვთისმსახურებას ასრულებენ. მათ სპეციალური სამოსი აცვიათ, რომელსაც იჰრამი ეწოდება. მომლოცველები ქააბას ტავაფს ასრულებენ, ადიან არაფატზე, სწირავენ მსხვერპლს, ასრულებენ ეშმაკის სიმბოლურ ჩაქოლვას და ა.შ.

ამ დროს მრავალი მომლოცველი, მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან, განურჩევლად ეროვნებისა, კანის ფერისა, სქესისა თუ სხვა მრავალფეროვნებისა, ყველანი აქ იკრიბებიან. ისინი ერთად ლოცულობენ. ყურანს კითხულობენ. ასევე კაცობრიობის სიმშვიდისა და კეთილდღეობისათვის ვედრებას აღავლენენ.

ჰაჯის შესასრულებლად მექაში ჩასული მომლოცველები იმ ადგილებსაც სტუმრობენ, სადაც შუამავალი დაიბადა, გაიზარდა და ჭეშმარიტი სარწმუნეობის გავრცელებისთვის იბრძოდა. ამასთანავე, მომლოცველები მედინაშიც ჩადიან, რათა შუამავლის საფლავი მოინახულონ.

იცოდი?

უმრა ჰაჯის მსგავსად ქააბას მოლოცვაა, თუმცა ჰაჯის წელიწადის კონკრეტულ დროსაა შესასრულებელი, ხოლო უმრა ნებისმიერ დროს შეიძლება შესრულდეს.

ქააბა

ქააბა ჩვენი ლოცვის მიმართულებაა. ჰაჯი ქააბას მოლოცვაა.

ვიფიქროთ, გამოვიკვლიოთ, გავუზიაროთ!

- შეაგროვეთ ინფორმაცია ზემზემის წყაროსა და ჰაჯერულ ესვედის შესახებ, შემდეგ კი მეგობრებს გაუზიარეთ.
- მოძებნეთ ისეთი პიროვნება, რომელიც ჰაჯზე ან უმრაზე არის ნამყოფი და სთხოვეთ ამ მოგზაურობის ამბები მოგიყვეთ, ხოლო შემდეგ მეგობრებსაც გაუზიარეთ.

იპოვეთ განსხვავება!

მეგობრებო!
ქვემოთ მოცემულია ქააბას ორი სურათი. შეგიძლიათ იპოვოთ 7 განსხვავება?





- რა დადებითი მხარეები გაჩნია ჰაჯს? სწორი პასუხის მისაღებად დახმარება სთხოვეთ ისეთ ადამიანს, რომელიც ჰაჯზეა ნამყოფი.

.....

.....

8. თავი

ვედრებას აღვავლენ

რა არის ვედრება?

ვედრება ღმერთზე სასურველი რაიმისთვის ხვეწნა-მუდარაა. ღმერთი ყოვლისშემძლე და ყოვლადმოწყალეა, ამიტომ მხოლოდ მას ვევედრებით.

დედამიწაზე ყველა არსებას სასიცოცხლო გარემო სჭირდება. ცოცხალ არსებებს ჰაერი, წყალი, მიწა და მზე სჭირდებათ. ნაყოფი რომ აღმოცენდეს ამისათვის მიწაა საჭირო. მიწას წვიმა სჭირდება, ხოლო წვიმისთვის ღრუბლებია საჭირო. ფრინველებს ფრთები სჭირდებათ, თევზებს ფარფლები და წყალი. ახალდაბადებულ ბავშვს დედის რძე სჭირდება. მოკლედ ყველა ცოცხალ არსებას სხვა რამ სჭირდება, რომ იარსებოს. ადამიანებს სასიცოცხლოდ ჰაერი, წყალი, სუნთქვა, კვება და სხვა მოთხოვნილებები აქვთ.

საბოლოო ჯამში ყველაფერს ღმერთი სჭირდება, რადგან ყველას ის აცოცხლებს. თავად ღმერთს არაფერი სჭირდება. თუ ის არ აარსებებს, სამყაროში ვერცერთი სულიერი და უსიულო ვერ იარსებებს. მისი ნების გარეშე ვერცერთი არსება ვერ გაიზრდება. შესაბამისად, რაც გვჭირდება იმისათვის მხოლოდ მას უნდა შევევედროთ. ჩვენ ის გვასულდგმულებს და ის გვაცოცხლებს.

ვედრება ღვთისმსახურების არსია

ყოვლად მოწყალე ღმერთს ძალიან ვუყვარვართ. ჩვენ ძალიან გვიყვარს ის. მზე, ყოველ დილით, ჩვენთვის ამოდის. ჩიტები ჭიკჭიკებენ, ფუტკრები თაფლს ეზიდებიან, პეპლები დაფარფატებენ, ყვავილები იშლებიან, ნაკადულები მოჩუხჩუხებენ, ხეები გემრიელ ნაყოფს გვაძლევენ და ეს ყველაფერი ღმერთმა ჩვენთვის გააჩინა. ღმერთმა მოგვცა გრძნობის ორგანოები; ცხვირით ვსუნთქავთ და სუნს შევიგრძნობთ, ხელით ვეხებით და საქმეს ვაკეთებთ, ენით გემოს ვგრძნობთ, თვალით ვხედავთ, ყურით გვესმის, ფეხით დავდივართ, გონებით ვფიქრობთ და ა.შ. ამ ყველაფერზე როცა დავფიქრდებით გამჩენის წინაშე მად-

ლიერება უნდა გამოვხატოთ, თუმცა რაოდენი მადლიერებაც არ უნდა გამოვხატოთ, საკმარისი მაინც არ იქნება.

წარმოვიდგინოთ რამდენ რამეს მივირთმევთ. სანამ ის ნუგბარი საჭმელები ჩვენს სუფრამდე მოაღწევს რამდენ გზას გადის. ისინი ღვთის წყალობაა და სანამ ჭამას

დავიწყებდეთ ღმერთის სახელი უნდა ვახსენოთ, რათა უმადური არ ვიყოთ. ჭამის შემდეგ ისევ მადლობა უნდა შევწიროთ ღმერთს, რომ სარჩოს გვაძლევს და გვანაყრებს. ასევე ვევედრებით, რომ სარჩო არ მოგვაკლოს და სხვებსაც უწყალობოს.

როდის და როგორ უნდა ვევედროთ?

ვედრება ყველგან და ყოველთვის შეიძლება. ვედრება ძალიან ადვილია. ჩვენ შეგვიძლია ჩვენი სიტყვებით სასურველი რამე შევევედროთ. ღმერთმა ჩვენი ფიქრები და მოთხოვნილებები ჩვენზე უკეთ უწყის,

ვედრების დრო

ღმერთო! შენ გაგვაჩინე,
შენ გვკვებავ და გვაარსებებ.
დიდება შენდა. მოგვმადლე
სიკეთიანი სიცოცხლე და ალალი
სარჩო. მოგვმადლე ჯანმრთელობა
და სიტკბოება.
ამინ!

ვისწავლოთ ერთი ჰადისი

„ღმერთო, გამიადვილე,
ნუ გამიძნელებ.
ჩემი საქმენი სიკეთით
სრულყავი“.

ამიტომ ჩვენი ვედრება გულწრფელი უნდა იყოს.

ვედრება იმედს გვაძლევს, გვაბედნიერებს და გვამშვიდებს. როცა ღმერთს ვევედრებით, ვგრძნობთ, რომ ის ჩვენ გვხედავს, გვისმენს და გვმფარველობს.

ღმერთმა ჯანსაღი სხეულები გვიწყალობა, ამიტომ ჩვენი სხეულით სასარგებლო საქმეები უნდა ვააკეთოთ. ამასთანავე, ღმერთს ვევედრებით, რომ საქმე გაგვიადვილოს.

როდესაც განსაცდელის ჟამი დადგება, უნდა მოვითმინოთ. ამავდროულად ღმერთს ვევედრებით, რომ განსაცდელი დასრულდეს და შვება ვჰპოვოთ. ჩვენ არასოდეს ვკარგავთ მის იმედს. როდესაც ავად ვხდებით, ექიმთან მივდივართ და ვმუკნალობთ. ესეც ღვთიური წყალობაა და მისი ნებით ჯანმრთელობას ვიბრუნებთ.

ჩვენ ასევე ღმერთს ვევედრებით ყოველდღიური ცხოვრების მიმდინარეობისას. ვევედრებით, რომ შეგვეწიოს საქმეში, გამოცდებზე, დაეხმაროს ჩვენს ახლობლებს, ოჯახის წევრებს. ვევედრებით მათი ჯანმრთელობისა და ბედნიერებისათვის. ამრიგად, ჩვენ მხოლოდ საკუთარი თავისათვის კი არა, სხვა ადამიანებისთვისაც ვევედრებით. ჩვენ გვსურს,რ ომ ყველა ბედნიერი იყოს.

მოკლედ, ვედრება ჩვენს ცხოვრებაში წყალობის სიოა, რომელიც ყოველი მხრიდან გარს გვარტყია.

შუამავლების ვედრება

ჩვენი შუამავლის ვედრება

„ღმერთო, როგორც ჩემი გაჩენა,
ისე ჩემი ზნეობაც
გაალამაზე“
(ჰადისი)

ჰზ. ეუბის ვედრება

„უეჭველად, მე მეწია უბედურება
და შენ ხარ ყოვლად მოწყალე
მოწყალეთა შორის!“
(სურა ენბია, აიათი 83)

ჰზ. მოსეს ვედრება

„უთხრა: „ღმერთო ჩემო!
გამიფართოვე გული ჩემი
და გამიადვილე მე საქმე ჩემი!“
(სურა ტაჰა, აიათი 25-26)

ჰზ. ზაქარიას ვედრება

„ღმერთო ჩემო! არ დამტოვო
ეული, რამეთუ შენ საუკეთესო
მემკვიდრეობის მბოძებელი ხარ!“
(სურა ენბია, აიათი 89)

ჰზ. სულეიმანის ვედრება

„ღმერთო ჩემო! შთამაგონე, რომ მადლიერი ვიყო
იმისთვის, რაც მიბოძე მე და ჩემს მშობლებს, და
რომ ვჰქმნა კეთილი საქმე, რომელსაც მოიწონებ.
და შემიყვანე შენს მოწყალებაში მართლმორწმუნე
მსახურებთან ერთად!“
(სურა მენლ, აიათი 19)

ჰზ. იესოს ვედრება

„ღმერთო ჩემო! გარდმოგვივლინე ზეციდან
ჩვენდა სუფრა, იყოს ჩვენთვის დღესასწაული,
პირველისათვის ჩვენგან და უკანასკნელისათვის
ჩვენგან და სასწაულად შენგან. მოგვმადლე, რამეთუ
შენა ხარ საუკეთესო სარჩოს მომმადლებელი“!
(სურა მაიდე, აიათი 114)

ჰზ. აბრაამის ვედრება

„ღმერთო ჩვენო! მომიტევე მე, ჩემს
მშობლებს და მორწმუნეებს იმ დღეს, როცა
შედგება ანგარიშგება!“
(სურა იბრაჰიმ, აიათი 41)

„რომელმაც გამაჩინა მე, სწორედ იგი
დამადგენს ჭეშმარიტ გზაზე!
იგია, რომელიც მაჭმევს და მასმევს!
და როცა ავად ვხვდები, სწორედ იგია,
რომელიც გამომაკეთებს!“
(სურა შუარა, აიათი 78-80)

ყოველი წუთი ვედრებაში

ყოველდღიურ ცხოვრებაში, ადამიანებთან ურთიერთობის დროს, ყოველთვის ვედრების სიტყვებს ვიყენებთ.

ღმერთი იყოს შენით კმაყოფილი.



ღმერთს ებარებოდე!

წარსულში დარჩეს!

ღმერთმა შვება მოგგვაროს!

დიდება ღმერთს!

ღმერთმა შრომა შეგიმსუბუქოს!

ღმერთმა აცხონოს!

ღმერთმა აგიხდინოს!

ღმერთმა დაგიფაროს!

ღვთის წყალობით!

შეგარგოთ!

ღმერთმა სიმშვიდე მოგცეთ!

სიკეთე თქვენდა!

ვიფიქროთ, გამოვიკვლიოთ, გავუზიაროთ!

- ყველაზე ხშირად რომელ ვედრებას აღავლენთ?
- ვედრების დროს რას გრძნობთ?
- ზემოთ ჩამოთვლილი ვედრების სიტყვებს რა შემთხვევაში ვიყენებთ?

ჰასანის ვედრება

ჰასანმა კალენდარს კიდევ ერთი ფურცელი მოახია. ძალიან ღელავდა. რამადანის ბაირამამდე მხოლოდ შვიდი დღე იყო დარცენილი. მამაც სამსახურის საქმეებზე სხვა ქალაქში იყო წასული და ისიც თუ მანამდე დაბრუნდებოდა, ყველაფერი ძალიან კარგად იქნებოდა.

ჰასანს ყველაზე მეტად იმის ეშინოდა, რომ მამა შეიძლება ბაირამზე მათთან ერთად არ ყოფილიყო. ბოლოს როცა ტელეფონზე ელაპარაკა, უთხრა, რომ ბევრი საქმე ჰქონდა დარჩენილი.

ერთ დღესაც ჰასანი თავის მეგობარ მუსტაფასთან ერთად თამაშობდა. მუსტაფამ შენიშნა, რომ ჰასანი ცოტათი დანაღვლიანეული იყო.

- რა გჭირს, მეგობარო? ვხედავ დარდიანი ხარ. მოხდა რამე? - ჰკითხა მუსტაფამ.

- ძალიან მინდა, რომ მამა ამ ბაირამზე ჩვენთან ერთად იყოს, ნეტა რამე შემეძლოს, რომ მანამდე ჩამოვიდეს!

მუსტაფას გაეღიმა.

- რა თქმა უნდა შეგიძია ჰასან. ამისათვის შეგიძლია ღმერთს შეევედრო და ისიც დაეხმარება მამას, რომ მალე მოამთავროს საქმეები და ჩამოვიდეს. ჰასანს ძალიან მოეწონა ეს აზრი და ვედრება დაიწყო.

ერთ დღესაც, როდესაც ჰასანი სკოლიდან დაბრუნდა, დედა კარებთან დახვდა და თმებზე მოეფერა.

- დღეს მამამ დარეკა და თქვა, რომ სამწუხაროდ ამ ბაირამზე სახლში ვერ ვიქნებიო.

ჰასანი ძალიან იმედგაცრუებული იყო. - კი მაგრამ, მე ხომ იმდენი ვევედრე ღმერთს, წაიჩურჩულა გულამომჯდარმა. დედამ სიყვარულით შეხედა და უთხრა:

- შვილო, ღმერთი ყველაზე მეტად გვიცნობს და იცის სინამდვილეში რა გვჭირდება და რა არის ჩვენთვის საუკეთესო. მას ყოველთვის ჩვენი სიკეთე სურს. გახსოვს, ერთ დღეს, რომ ნაყინი მთხოვე, არადა ძალიან ციოდა. მე ნაყინი არ გიყიდე, რადგან მეშინოდა ავად არ გამხდა-

რიყავი. ეს იმიტომ გავაკეთე, რომ ძალიან მიყვარხარ და შენზე ვზრუნავ და არა იმიტომ, რომ შენი სურვილები ჩემთვის უმნიშვნელოა.

- მგონი მართალი ხარ, დედა, - თქვა ჰასანმა.

ბაირამიც მოვიდა. ჰასანს ადრიანად გაეღვიძა. ამ ბაირამზე მამასთან ერთად ვერ წავიდოდა, მაგრამ სამაგიეროდ მასთან ერთად დედა, ნათესავები და მეზობლები იქნებოდნენ. მათ სახლის კარზე გამუდმებით ზარის ხმა ისმოდა. ჰასანი გახარებული გარბოდა და მოსულ სტუმრებს კარს უღებდა.

ჰასანს აბედნიერებდა მათი ნათქვამი: „ჰასან, ეს რამხელა გაზრდილხარ!“

სანამ ჰასანი მეზობლებლების გარემოცვაში ბაირამის სიხარულს იზიარებდა, კარზე ისევ ზარის ხმა გაისმა. „მე გავხედავ“ - წამოიძახა ჰასანმა და სირბილით გაიქცა. კარები გააღო თ არა სიხარულისგან გაშეშდა, რადგან კარებთან ის ადამიანი იდგა, რომელსაც ყველაზე მეტად ელოდა.

ესე იგი ღმერთმა შეისმინა ჰასანის ვედრება და მამამ საქმეები დროზე ადრე დაამთავრა...

ვუპასუხოთ შეკითხვებს

1. რატომ ევედრებოდა ჰასანი ღმერთს?

.....

2. როდესაც ჰასანმა გაიგო, რომ მამა აღარ ცამოვიდოდა, რა უთხრა დედამ?

.....

3. როგორ გაატარა ჰასანმა ბაირამის დღე?

.....

4. თქვენ ვედრებას აღავლენთ?

.....

5. შეგიძლია გაგვიზიარო ვედრების დროს რას გრძნობ?

.....

6. შეგიძლიათ რომელიმე ვედრება დაწეროთ?

.....

აბა, მოდით, შევევედროთ!

ძვირფასო მეგობრებო!
Aşağıdaki boşlukları kendi dualarınızla tamamlayabilir misiniz?

ღმერთო! ამ ქვეყნად

.....

.....

ღმერთო!
ომში დარჩენილ
ბავშვებს

.....

ღმერთო! ყველა
ავადმყოფს

.....

.....

ღმერთო! მე...

.....

.....

გამჩენო! მთელ ჩემს
ოჯახს...

.....

.....

ღმერთო!
ვისაც გაჭირვება აქვს...

.....

.....

დიადო გამჩენო!
შენ ძალიან ...

.....

.....

ღმერთო!
ჩემი გაკვეთილები...

.....

დიადო ღმერთო! ჩემი
მეზობლებისათვის...

.....

.....

დიადო ღმერთო!

.....

.....

ლამაზი ვედრება

მეგობრებო!
გაფერადებულ ბუშტებში ჩაწერილ სიტყვებს მოუძებნეთ შესაფერისი გაგრძელება და იგივე ფერში გააფერადეთ. მაგალითად, როდესაც ვინმე ავადაა, ჩვენ ვეუბნებით „ღმერთმა გამოგაჯანმრთელოს!“ ამიტომ ჩვენ ეს ორი ბუშტი ერთნაირად გავაფერადეთ.

ვიფიქროთ, გამოვიკვლიოთ, გავუზიაროთ!

- ყველაზე მეტად ღმერთს როდის ევედრები?
- რატომ ვევედრებით?
- შეგიძლია ვედრების რამოდენიმე მაგალითი გვითხრა?

დაკავშირება

ძვირფასო მეგობრებო!
ქვემოთ მოცემული ტერმინები ისე დააწყვილეთ, რომ მიიღოთ ლოგიკური კავშირი. ნიმუში მოცემულია.

- განზრახვა
- ზექათი
- თესპის
- ვედრების
- მცირე განბანვის
- სეჯდე
- მარხვის
- ნამაზის
- ფითრის
- ჰაჯზე
- საჰურზე
- იფთარის
- სალამის

- დაჭერა
- დათვლა
- მიცემა
- აღვლენა
- დაცვა
- შესრულება
- ლოცვა
- ადგომა

- გამოიყენეთ ზემოთ მოცემული ტერმინები წინადადებაში.

.....

.....

.....

შემაჯამებელი კითხვები

1. ქვემოთ მოცემულთაგან რომელია მატერიალური საშუალებებით შესრულებული ღვთისმსახურება?
   ა) ლოცვა ბ) ზექათი
   გ) მარხვა გ) ვედრება

2. ჩვენი რელიგიიის მიხედვით კარგი საქმე ღვთისმსახურებაა. აქედან გამომდინარე, რომელი არ ითვლება ღვთისმსახურებად?
   ა) ავადმყოფის მონახულება
   ბ) ბოროტებაზე წინ აღდგომა
   გ) საწყენი სიტყვის თქმა
   დ) მოწყურებულ პირუტყვზე წყლის მიწოდება

3. რა ეწოდება ღვთისმსახურებას, რომელსაც ღმერთი კატეგორიულად გვიბრძანებს?
   ა) სუნნეთი ბ) ფარზი
   გ) არამი დ) მადლი

4. რა ეწოდება ქმედებას, რომელსაც ღმერთი კატეგორიულად კრძალავს?
   ა) მადლი ბ) ფარზი
   გ) არამი დ) სუნნეთი

5. ქვემოთ მოცემულთაგან რომელია მხოლოდ სხეულით შესრულებული ღვთისმსახურება.
   ა) ზექათის გაზემა
   ბ) ჰაჯზე წასვლა
   გ) მარხვა
   დ) მოწყალების გაცემა

6. რა ეწოდება შუამავლის სიტყვებსა და ქცევებს?
   ა) ფარზი ბ) სუნნეთი
   გ) არამი დ) მადლი

7. რა ეწოდება ღვთისმსახურებისა და კარგი ქმედებებისთვის ღვთის მიერ ჩვენთვის ბოძებულ ჯილდოს?
   ა) ქულა ბ) მადლი
   გ) ვედრება დ) შენიშვნა

8. რა წოდება აქვს ადამიანს, რომელიც მეჩეთში ლოცვას უძღვება, ხუტბას კითხულობს და რელიგიურ სწავლებას ახორციელებს?
   ა) მასწავლებელი
   ბ) მუეზინი
   გ) იმამი
   დ) მუფტი

   რა ეწოდება ლოცვად მოხმობას, რომელსაც მუაზინი ხმამაღლა კითხულობს?
   ა) თესბიჰი ბ) ეზანი
   გ) მინბერი დ) სელა

10. რას უწოდებენ ადგილს, სადაც მეჩეთში მისული მლოცველები მცირე განბანვას ასრულებენ?
   ა) მიჰრაბი ბ) შადრევანი
   გ) მინბერი დ) მინარეთი

11. რა ეწოდება ადამიანს, რომელიც მანაზის მოსვლის დროს გვამცნობს და ასევე ფარზი ნამაზების წინ ყამეთს კითხულობს?

ა) ვაიზი ბ) მუეზინი

გ) მუფტი დ) იმამ-ჰათიბი

12. ქვემოთ მოცემულთაგან რომელი არ არის ეზნის სიტყვები?

ა) ალლაჰუ ექბერ

ბ) ლაა ილაჰე ილლელლაჰ

გ) ჰაიაღა ლესსელაჰ

დ) სუბჰანელლაჰ

13. ვინ იყო ადამიანი, რომელსაც შუამავლის მუეზინს ეძახდნენ და რომელმაც პირველი ეზანი წაიკითხა.

ა) ჰზ. ენეს ბ) ჰზ. ალი

გ) ჰზ. ბილალი დ) ჰზ. ზეიდი

14. რა არის ნამაზის ერთ-ერთი ფარზი, „ქირაათი“?

ა) სეჯდე

ბ) ნამაზის „ალლაჰუ ექბერ“ -ით დაწყება.

გ) ლოცვის დროს ყურანის კითხვა

დ) ლოცვის დროსფეხზე დგომა

15. რა არის ნამაზის ერთ-ერთი ფარზი, რომელიც „სეთრი ავრეთ“-ის სახელწოდებითაა ცნობილი?

ა) ლოცვის დაწყებამდე განზრახვის წარმოთქმა

ბ) ტანსაცმლისა და სალოცავი ადგილის სისუფთავე

გ) მცირე განბანვა

დ) სხეულის დასაფარი ადგილების დაფარვა

16. მცირე განბანვის პროცედურა გარკვეული თანმიმდევრობით სრულდება. ქვემოთ მოცემულთაგან რომელია სწორი?

ა) თავი-მკლავი-ფეხი-სახე

ბ) ფეხი- მკლავი-სახე-თავი

გ) მკლავი-თავი-სახე-ფეხი

დ) სახე-მკლავი-თავი-ფეხი

17. ქვემოთ მოცემულტაგან, რომელი გამოხატავს მცირე განბანვას?

ა) კიბლასკენ დგომა

ბ) განზრახვა

გ) ჰადესთენ თეჰარეთ

დ) დრო

18. რომელი მიმართულებით უნდა ვიდგეთ ლოცვის დროს?

ა) დასავლეთით

ბ) აღმოსავლეთით

გ) მეჩეთის

დ) ქააბასკენ

19. რომელ ტერმინს შეესაბამება ლოცვის „ალლაჰუ ექბერ“ წინადადებით დაწყება?

ა) იფთითაჰ თექბირი
ბ) ქადეი აჰირე
გ) ქირაათ (ყურანის კითხვა)
დ) დგომა

20. რა ეწოდება ბოლო ჯდომის მდგომარეობას, როდესაც მლოცველი ეთთეჰიათუს წაკითხვისთვის საკმარისი დროით ჯდება?

ა) დრო
ბ) ქადეი აჰირე
გ) განზრახვა
დ) ქედის მოხრა

21. ქვემოთ მოცემულთაგან რომელი არ შლის ლოცვას?

ა) ლოცვის დროს ლაპარაკი
ბ) ლოცვის დრო სიცილი
გ) ლოცვის დროს ჭამა
დ) ლოცვის დროს დამთქნარება

22. ქვემოთ მოცემულტაგან რომელი ლოცვა უნდა შესრულდეს აუცილებლად იმამის წინამძღოლობით?

ა) დილის ლოცვა
ბ) სამხრობის ლოცვა
გ) შუადღის ლოცვა
დ) პარასკევის ლოცვა

23. ქვემოთ მოცემულია ლოცვები და მუხლების რაოდენობა. რომელია მცდარი?

ა) პარასკევის ლოცვა- 10 მუხლი;
ბ) ვითრი- 3 მუხლი;
გ) დილის ლოცვა- 3 მუხლი;
დ) ბაირამის ლოცვა- 2 მუხლი;

24. „ამ თვეში ღვთისმსახურების სიხარული მატულობს, ხალხი მარხულობს, მეჩეთები მლოცველებით სავსეა“. რომელ თვეზეა საუბარი?

ა) რეჯები ბ) შაღბანი
გ) რამაზანი დ) მუჰარრემი

25. ყურანის მოვლინება რომელ თვესა და დღეს დაიწყო?

ა) რამადანი -პარასკევი
ბ) შევვალი- არაფა
გ) რამადანი- ყადირის ღამე
დ) მუჰარრემი- ყადირის ღამე

26. ქვემოთ მოცემულთაგან, რომელი ქმედება არ შედის რამადანის თვეში შესასრულებელ სასიკეთო ქმედებებში?

ა) ყურანის კითხვა;
ბ) მარხვა;
გ) სხვებზე დახმარება;
დ) ზღვარსგადასულობა

27. ქვემოთ მოცემულთაგან რომელია რამადანის თვეში გსაცემული მოწყალების სახელი?

ა) საჰური ბ) იფთარი
გ) ფითრა დ) იმსაქი

28. „გამცემი ხელი, მიმღებ ხელზე უკეთესია“. რომელ სიტყვას შეესაბამება აღნიშნული წინადადება?

ა) ზექათი ბ) ჰაჯი
გ) მარხვა დ) ლოცვა

29. რა ეწოდება მარხული ადამიანის მიერ საღამოს მარხვის დასრულებას?
ა) ვახშამი ბ) იფთარი
გ) საუზმე დ) საჰური

30. ქვემოთ მოცემულთაგან რომელი ლოცვა სრულდება მხოლოდ რამადანის თვეში?
ა) პარასკევის ლოცვა
ბ) თარავი
გ) საღამოს ლოცვა
დ) ღამის ლოცვა

31. ქვემოთ მოცემულთაგან რომელი სიტყვა არ უკავშირდება რამადანს?
ა) მაჰია ბ) იფთარი
გ) მუყაბელე გ) ზემზემი

32. რა ეწოდება წინადადება: „ალლაჰუმეე სალლი ალაა სეიდინა მუჰამმედ“?
ა) თექბირი ბ) თესბიჰი
გ) სალავათი დ) მევლიდი

33. ღვთის კმაყოფილების მოპოვების მიზნით შესრულებული ყველა სიკეთე სიქველედ, მოწყალებად ითვლება. აქედან გამომდინარე, ქვემოთ მოცემულთაგან რომელი არ არის მოწყალება?
ა) მისალმება
ბ) დამდურება
გ) გაღიმება
დ) ტკბილი სიტყვებით საუბარი

34. ქვემოთ მოცემულთაგან, რომელი შეიძლება ვუთხრათ გამოცდაზე შემსვლელს?
ა) ღმერთმა შვება მოგივლინოს
ბ) სასარგებლო იყოს
გ) ღმერთს ებარებოდე
დ) ღმერთმა გონება გაგინათოს

35. ქვემოთ მოცემულთაგან, რომელია მცდარი მექასთან დაკავშირებით?
ა) ქააბა მექაშია;
ბ) შუამავალი მექაში დაიბადა;
გ) ჰაჯისა და უმრესთვის მექაში ჩადიან;
დ) შუამავლის საფლავი მექაშია.

36. რა ეწოდება სპეციალურ სამოსელს, რომელსაც მომლოცველები ჰაჯის დროს იცვამენ?
ა) პერანგი ბ) იჰრამი
გ) ხალათი დ) ჯუბბე

37. ქვემოთ მოცემულთაგან რომელი არ შეესაბამება ავადმყოფის მონახულების დროს სათქმელ სიტყვებს?
ა) გამოჯანმრთელებას გისურვებ
ბ) გილოცავ
გ) ღმერთმა შვება მოგგვაროს
დ) ღმერთმა სიკეთე მოგმადლოს

სიერი

შუამავლის ცხოვრებას ვეცნობი

126 შუამავლის ბავშვობა და ახალგაზრდობა

133 პირველი გზავნილის მიღება და შუამავლობის მისია

138 შუამავლის ჰიჯრა

145 შუამავლის ცხოვრების პერიოდი მედინაში

150 შუამავლის სამაგალითო პიროვნება

1. თავი

შუამავლის ბავშვობა და ახალგაზრდობა

სამყაროს დიდი სიხარული ელოდება

571 წლის აპრილის თვის ბოლო იყო. აბდულმუტტალიბი შვილიშვილს ელოდებოდა. იმ დღეს 20 აპრილი, ორშაბათი დღე იყო. აბდულმუტტალიბთან მახარობელი მივიდა და ახარა, რომ შვილიშვილი ეყოლა. აბდულმუტტალიბმა აჩქარებული გულის ძგერა იგრძნო. თვალებიდან სიხარულის ცრემლები მოსდიოდა.

აბდულმუტტალიბი ჩქარი ნაბიჯებით მივიდა სახლში. სახლში მისულს ახალშობილის ტირილის ხმა შემოესმა. შვილიშვილი ხელში აიყვანა და აკოცა. საოცარი სუნი ასდიოდა. ეს სუნი მისი შვილის, აბდულლაჰის სუნი იყო. აბდულლაჰი, შუამავლის მამა, შუამავლის დაბადებამდე ორი თვით ადრე გარდაიცვალა.

აბდულმუტტალიბმა შვილიშვილს სახელად მუჰამმედი დაარქვა. შემდეგ ახალდაბადებული ბავშვი ხელში აიყვანა და ქააბაში წაიყვანა. ის ღმერთს მადლობას სწირავდა, რომ შვილიშვილი აჩუქა.

როდესაც მექელებმა გაიგეს, რომ აბდულმუტტალიბმა შვილიშვილს მუჰამმედი დაარქვა, კითხეს, რატომ შეარქვი ეს სახელიო. მან ასე უპასუხა: „იმიტომ დავარქვი, რომ დედამიწაზე ადამიანების, ხოლო ცაში ანგელოზების მიერ შექებული იქნება“. მუჰამმედი ხომ შექებულს, რჩეულს ნიშნავს.

ხუთას სამოცდა თერთმეტის წლის აპრილი,
ამ დროს დაიბადა ძვირფასი შუამავალი.
ბედნიერი იყო აბდულმუტტალიბი
და შეარქვა სახელად მუჰამმედი.

მოგეხსენებათ, მექაში ძალიან ცხელი კლიმატი იყო და ბავშვებისთვის იქაური ჰაერი სასარგებლო არ იყო. ამის გამო მექელი ოჯახები იღებდნენ გადაწყვეტილებას და მიდიოდნენ ქალაქგარეთ მდებარე სოფლებში, სადაც ახალდაბადებულ ბავშვებს ძიძასთან აბარებდნენ.

შუამავლის დედამაც იგივე ტრადიცია გააგრძელა და მუჰამმედი მექას მახლობლად ერთ-ერთ შედარებით გრილ სოფელში ძიძა იშოვა, რომელსაც მუჰამმედი მიაბარა. ძიძას სახელად ჰალიმე ერქვა. ჰალიმეს ძალიან შეუყვარდა პატარა მუჰამმედი. მუჰამმედი სწრაფად იზრდებოდა. ჰალიმეს შვილები შეიმა, აბდულლაჰი და უნეიზეც ძალიან მიეჩვივნენ მუჰამმედს. პატარა მუჰამმედი სოფლის ბავშვებთან ერთად თამაშობდა, ცხვრებს მწყემსავდა და დღეებს ხალისიანად ატარებდა. ამავდროულად მან კარგად შეისწავლა არაბული ენა. ჰალიმე და მისი ქმარი ჰარისი პირველივე დღეებიდანვე აკვირდებოდნენ შუამავალს და ხვდებოდნენ, რომ მუჰამმედი ჩვეულებრივი ბავშვი არ იყო. მისი მოსვლის დღიდანვე მათ სახლში ბედნიერება და ბარაქა დასადგურდა.

ჰალიმე ძალიან კეთილი და მოსიყვარულე ქალი იყო. ის შუამავალს დიდი სიყვარულითა და მზრუნველობით ეპყრობოდა. ის დიდ ყურადღებას იჩენდა, რომ პატარა მუჰამმედს რაიმე არ დაშავებოდა. ის თავის შვილებში არ არჩევდა და ყველანი ერთად ბედნიერად ცხოვრობდნენ.

შუამავლის დედა, ამინეც ხშირად მიდიოდა მასთან და ერთად ბედნიერ დღეებს ატარებდნენ. მუჰამმედი უკვე ხუთი წლის გამხდარიყო. ემინეს უკვე აღარ სურდა, რომ შვილისგან განცალკევებული ყოფილიყო. მან შვილი წამოიყვანა და მექაში დაბრუნდა.

აბა გამოიცანით

მამა იყო აბდულლაჰი,
აბრაამის ვედრება,
დედა იყო ამინე,
ძიძა კი- ჰალიმე.

ცოტა ხნის შემდეგ ამინემ გადაწყვიტა მუჰამმედთან ერთად მედინაში წასულიყო, რათა იქაური ნათესავები მოენახულებინა. შუამავალს მედინაში დედის მხრიდან უფროსი ბიძები ყავდა. მედინაში კარგად დახვდნენ და მშვენიერი დრო გაატარეს, შემდეგ კი ისევ მექასაკენ გზად დაადგნენ. როდესაც სოფელ ებვაში მიაღწიეს, ამინე ავად გახდა და სულ მცირე ხანში გარდაიცვალა. გარდაცვალებამდე თქვა, რომ „სამყაროს დიდ და სასიკეთო არსებას უტოვებდა“. იმ როს მუჰამმედი მხოლოდ ექვსი წლის იყო. ამის შემდეგ მისი მეურვეობა ბაბუამ, აბდულმუტტალიბმა ითავა.

ბაბუა შუამავალზე მზრუნველობას იღებს

შუამავლის ბაბუა აბდულმუტტალიბი მექელთა ლიდერი იყო. ის სამართლიანობით, სიმამაცითა და სიკეთით გამოირჩეოდა. მას შემდეგ, რაც შუამავალს დედაც გარდაეცვალა, ის ბაბუასთან ცხოვრობდა. ბაბუა მას ორი წლის განმავლობაში გვერდიდან არ იშორებდა. როდესაც მექაში დიდი გვალვა იყო, ბაბუამ ის „წვიმის ვედრებაზეც“ წაიყვანა. თუ მუჰამმედი არ იყო, ბაბუა სუფრას არ მიჯდებოდა. როდესაც ამის მიზეზს ეკიტხებოდნენ, აბდულმუტტალიბი ამბობდა, რომ მუჰამმედი ძალიან უყვარდა და ასევე სჯეროდა, რომ მომავალში ის ძალიან დიდი ადამიანი იქნებოდა.

შუამავალი ბიძასთან იზრდება

როდესაც შუამავალი რვა წლის გახდა საყვარელი ბაბუაც გარდაეცვალა. ამის შემდეგ მუჰამმედზე ზრუნვის მოვალეობა ბიძამ, ებუ თალიბმა იკისრა. შუამავალას ბიძა და ბიცოლა ძალიან უყვარდა და ბავშვობიდან ზრდასრულობამდე წლები მათთან გაატარა. მუჰამმედი სახლის საქმეებშიც ეხმარებოდა მათ და ზოგჯერ პირუტყვსაც მწყემსავდა.

ებუ თალიბი ძალიან კეთილი, სანდო და საუკეთესო ზნეობის მქონე ადამიანი იყო. ის ვაჭრობას მისდევდა. ერთ დღეს შუამავლმა გაიგონა, რომ ბიძამისი სავაჭროდ შამში მიემგზავ-

რებოდა. ასეთი მოგზაურობა თვეობით გრძელდებოდა ხოლმე. მუჰამმედს არ უნდოდა, რომ ბიძის გარეშე დარჩენილიყო, ამიტომ უთხრა, რომ მასთან ერთად წასვლა უნდოდა. ებუ თალიბმა აუხსნა, რომ ეს მოგზაურობა ძალიან ხანგრძლივი და დამღლელი იქნებოდა, მაგრამ შუამავალმა უთხრა, რომ მასთან ერთად ყოფნა სურდა. ბოლოს ებუ თალიბი დათანხმდა და უთხრა, რომ შამში წაიყვანდა და ამის მერე ისინი აღარ დაშორდებოდნენ. მართლაც ებუ თალიბი შუამავლს სიცოცხლის ბოლომდე აღარ მოშორებია და ზრუნვასა და მფარველობას არასოდეს აკლებდა. ბიცოლა ფატიმაც საკუთარ შვილებზე მეტად შუამავალს აქცევდა ყურადღებას. ასეთი კეთილი ადამიანების გარემოცვაში გაიზარდა შუამავალი.

შუამავალი ოჯხს ქმნის

შუამავალი ღირსეული ოჯახის წარმომადგენელი, კარგად აღზრდილი ახალგაზრდა იყო. მექაში ყველა მას აქებდა და მის მაღალ ზნეობაზე საუბრობდა. უფრო მეტიც, მართალი სიტყვის და საიმედო ადამიანობის გამო „მუჰამმედულ ემინ“ ანუ სანდო მუჰამმედი შეარქვეს.

ჰზ. ჰატიჯა მექელი ქალბატონი იყო, რომელიც ყველას უყვარდა და პატივს სცემდნენ. ამასთანავე, ის ძალიან მდიდარი იყო. ჰზ. ჰატიჯა ვაჭრობას მისდევდა და ასევე ქველმოქმედებით გამოირჩეოდა. როდესაც შუამავალი 25 წლის ახალგაზრდა იყო, ჰზ. ჰატიჯაზე დაქორწინდა. დაქორწინების შემდეგ შუამავალმა თავისი ბიძაშვილი,ჰზ. ალიც გვერდით დაიყენა, რადგან ბიძას, ებუ თალიბს, იმ პერიოდში ფინანსური პრობლემები ჰქონდა.

ჰზ. მუჰამმედსა და ჰზ. ჰატიჯას ერთმანეთი ძალიან უყვარდათ. მათ ბედნიერი ოჯახი შექმნეს და ყველასათვის სამაგალითონი იყვნენ. მალე შვილიც შეეძინათ, ყასიმი. ამის შემდეგ შუამავალს „ებულ ყასიმს“ , ანუ ქასისმის მამას ეძახდნენ.

ვარდის სიტურფის ბავშვები იბადებიან

შუამავალი ძალიან მოსიყვარულე მამა იყო. მას და ჰატიჯას ოთხი გოგო და ორი ვაჟი გაუჩნდათ. მათი სახელებია: ყასიმი, ზეინაბი, უმმუ გულსუმი, რუქიე, ფატიმა და აბდულლაჰი.

ჰზ. ჰატიჯას გარდაცვალების შემდეგ შუამავალს ჰზ. მარიესგან კიდევ ერთი ვაჟ, იბრაჰიმი შეეძინა. სამწუხაროდ, შუამავლის ვაჟები ყველანი პატარა ასაკში გარდაიცვალნენ. ქალიშვილები კი დაიზარდნენ, ოჯახები შექმნეს და იმ დროს მოესწრნენ, როდესაც მათ მამას შუამავალობის მისია დაეკისრა.

ვისწავლოთ ერთი ჰადისი

„არცერთ მშობელს, თავის შვილზე, კარგ აღზრდაზე უკეთესი რამ არ მიუცია“.

გაუგებრობებს შუამავალი აგვარებს

შუამავალი ყოვლად სანდო, უპატიოსნესი ადამიანი იყო, რომელიც ყველას უყვარდა. იმ პერიოდის საზოგადოებაში ბოროტება, უსამართლობა და ძალადობა ნორმად ითვლებოდა. ამის მიუხედავად შუამავალი ისე ცხოვრობდა,რომ არასოდეს ცუდი ქცევა არ ჩაუდენია. ყოველთვის სიმართლეს ამბობდა, სიმართლეს იცავდა და სხვათა უფლებებს არაფრით დაარღვევდა. ამის გამო ყველა პატივს სცემდა და ენდობოდნენ.

ის უკვე 35 წლის იყო. იმ პერიოდში მექას მაცხოვრებლები უკიდურეს კონფლიქტებსა და უსამართლობაში იყვნენ ჩაფლული. შუამავალი ძალიან განიცდიდა ამას და ცდილობდა მდგომარეობა გამოესწორებინა.

იმ დროს ქააბას რემონტი მიმდინარეობდა. შუამავალს უნდოდა, რომ ქააბას მდგომარეობა ენახა, ამიტომ ქააბაში მისვლა

გადაწყვიტა. როგორც კი ქააბასთან მიაღწია, იქ მყოფებმა ერთხმად იყვირეს: „აი, მუჰამმედი! მართალი და პატიოსანი კაცი!“ შუამავალს გაუკვირდა და რა ხდებაო, იკითხა.

იქ მყოფებმა აუხსნეს, რომ ქააბას რემონტის დროს ცნობილი ქვა, ჰაჯერულ ესვედი გამოიღეს და ახლა მისი თავის ადგილზე დაბრუნება იყო საჭირო, მაგრამ ვერ თანხმდებოდნენ, თუ ვის უნდა ჩაესვა ეს ქვა, რადგან ყველა გვარს უნდოდა ეს თავად გაეკეთებინა. ჯერ კამათი დაიწყეს და სადაცაა ხელჩართულ ჩხუბზე უნდა გადასულიყვნენ. ამ დროს ვიღაცამ დაიძახა, ვინც ქააბაში პირველი შემოვა იმან გადაწყვიტოს ეს საქმეო. ეს შემოთავაზება მივიღეთ და დაველოდეთ. პირველი შენ მოხვედი და შენ უნდა გადაწყვიტო ეს ამბავიო. მექაში ყველაზე სანდო კაცი შენ ხარ და შენი გვჯერაო, დასძინეს.

ჰაჯერულ ესვედის მნიშვნელობა შუამავალმაც იცოდა. მან ნაჭერი მოატანინა და ქვა ზედ დაადებინა. შემდეგ იქ მყოფებს უთხრა, რომ ნაჭერი ყველა გვარის წარმომადგენელს აეწია, რათა ქვა თავის ადგილზე ჩაესვათ. მართლაც ასე მოიქცნენ. ნაჭერზე დადებული ქვა ყველა გვარის წარმომადგენელმა ერთად აწია და შუამავალმა ის თავის ადგილას ჩასვა.

შუამავლის ამ გადაწყვეტილებამ ყველანი გაახარა. ისინი კმაყოფილი იყვნენ. ამრიგად, შუამავლის გამჭრიახმა გონებამ, სანდოობამ და პატიოსნებამ გვარებს შორის კონფლიქტი განმუხტა.

ვიფიქროთ, გამოვიკვლიოთ, გავუზიაროთ!

- შევისწავლოთ შუამავლის შესახებ რომელიმე ლექსი და მეგობრებს გავუზიაროთ.
- შუამავლის რა თვისების გამო შეარქვეს მას „სანდო მუჰამმედი“?
- შენი აზრით, პატიოსანი და მართალი ადამიანი როგორ იქცევა?

შუამავლის ახლო გარემოცვა

მეგობრებო!
ამ გვერდზე მოთავსებულია ყვავილები, რომელებზეც შუამავლის ახლობლების სახლები არის დაწერილი. თითოეული ყვავილის ცენტრში დატოვებულ ცარიელ ადგილებზე ჩაწერეთ თუ ვინ იყვნენ ისინი შუამავლისთვის.







- ამ პიროვნებებიდან რომელიმეს უფრო ახლოს გაცნობა გინდა? გამოიკვლიე და მეგობრებსაც გაუზიარე.

2. თავი

პირველი გზავნილი შუამავალს

ჯებრაილი ჰირაში მოვიდა

მექელებს ერთი ღმერთის რწმენა დავიწყებული ჰქონდათ და კერპებს ეთაყვანებოდნენ. ისინი ადამიანის უფლებებს არად დაგიდევედნენ, ღარიბებსა და უთვისტომოებს მიწასთან ასწორებდნენ და უკიდურესად ჩაგრავდნენ. ქალები და ბავშვები უუფლებო და დაუცველნი იყვნენ. საზოგადოებრივი წესრიგი მოშლილი იიყო და ძლიერი სუსტს მუდმივად ჩაგრავდა. ამ მდგომარეების გამო შუამავალი ძალიან შეწუხებული იყო. ის ხშირად მიდოდა მექას მახლობლად გორაზე და ჰირას გამოქვაბულში განმარტოებას ეძლეოდა, სადაც ბევრს ფიქრობდა და ღმერთს ევედრებოდა. ის ფიქრობდა სამყაროს გაჩენაზე და ადამიანების ყოფაზე ამ სამყაროში.

610 წლის რამადანის თვე იყო. შუამავალი იმ წელს 40 წლის გახდა. ერთ დღესაც, ჩვეულებისამებრ ჰირას გამოქვაბულში იყო, როდესაც ანგელოზი ჯებრაილი გამოეცხადა. მთავარანგელოზ ჯებრაილს მასთან ღვთიური გზავნილი მოეტანა.

ჯებრაილმა შუამავალს „წაიკითხეო“, უთხრა. შუამავალი განცვიფრებული იყო. მე კითხვა არ ვიცო, უპასუხა. ჯებრაილმა გაუმეორა: „წაიკითხე!“ რა წავიკითხოო, ჰკითხა შუამავალმა. მაშინ ჯებრაილმა ყურანის პირველად მოვლენილი აიათები, ალაყის სურას პირველი ხუთი აიათი გააცნო. ამ გამოცხადების შედეგად ჰზ. მუჰამმედს უკვე შუამავლის მისია დაეკისრა.

პირველი აიათები ესენია:

„იკითხე, შენი ღმერთის სახელით, რომელმაც გააჩინა !
მან გააჩინა ადამიანი შედედებული სისხლისგან !
იკითხე! ღმერთი შენი უსასრულო კეთილშობილების
პატრონია,
რომელმაც კალმით (წერა) შეასწავლა!
შეასწავლა ადამიანს ის, რაც მან არ იცოდა!“

(სურა ალაყი, ალათი 1-5)

შუამავალი უდიდესმა მღელვარებამ მოიცვა. ის ასეთი აფორიაქებული დაბრუნდა შინ და ყველაფერი მეუღლეს, ჰზ. ჰატიჯას მოუყვა. ჰზ. ჰატიჯამ მისი დამშვიდება სცადა და უთხრა, რომ ღმერთი მას დაიფარავდა და არ შეარცხვენდა, რადგან ის მართალი ადამიანი იყო და ყველას პატივისცემით ეპყრობოდა.

მუსლიმები მრავლდებიან

მთავარანგელოზ ჯებრაილის შემდეგი ვიზიტების დროს მოვლენილი აიათები შუამავალს ავალებდა, რომ ადამიანებზე ერთი ღმერთის რწმენა აეხსნა. ის ასევე უნდა ყოფილიყო სანიმუშო მაგალითი, რათა ადამიანებს მიეღოთ ჭეშმარიტი სარწმუნოება და მიეტოვებინათ ყოველგვარი უკეთურობა. შუამავალიც თავისი ესოდენ მნიშვნელოვანი მოვალეობის შესრულება დაიწყო.

შუამავლის პირველი მიმდევარი მისივე მეუღლე, ჰზ. ჰატიჯა გახდა. ის მუდმივად ეხმარებოდა შუამავალს და მორალურ თანადგომას უწევდა. როდესაც განსაცდელის დღეები იდგა, ჰზ. ჰატიჯა შუამა-

გავიხსენოთ!

შუამავლის სიტყვებს ჰადისი ეწოდება

ვალს მხარში ამოუდგებოდა ხოლმე და ანუგეშებდა. ამასტანავე, ჰზ. ჰატიჯე, იმ რთულ დღეებში თავის ფულს ღარიბი მუსლიმების დასახმარებლად ხარჯავდა. ჰზ. ჰატიჯას გარდა, პირველი მუსლიმები იყვნენ: ჰზ. ებუ ბექირი, ჰზ. ალი, ჰზ. ბილალი, ჰზ. ზეიდი და სხვ.შუამავალი ჭეშმარიტი სარწმუნოების ქადაგებისას მრავალ წინააღმდეგობას წააწყდა. მიუხედავად მოწინააღმდეგეთა სიმრავლისა და აგრესიისა, ის ისლამის ქადაგებას მაინც განაგრძობდა. მას ადამიანები უყვარდა და მათი ჭეშმარიტი სარწმუნოებისკენ მოქცევა უპირველეს მოვალეობად მიაჩნდა. ის ამავდროულად სამაგალითოდ იქცეოდა, რაც ხალხზე დიდ ეფექტს ახდენდა. მისი მოვალეობა არამარტო მექელების, არამედ მთელი კაცობრიობის ჭეშმარიტ სარწმუნოებაზე მოქცევა იყო.



მუსლიმთა რაოდენობა დღითიდღე იზრდებოდა. მექელ წარჩინებულთა რიგებიდან ჰზ. ჰამზა და ჰზ. ომარი უკვე მუსლიმები იყვნენ. ამ დროს მუსლიმთა საერთო რაოდენობა 40-ს აღწევდა. ეს პირველი მუსლიმები შუამავალს უშიშრად ედგნენ მხარში და ყოველთვის მასთან იყვნენ.

პირველ მუსლიმთაგან ზოგიერთის შესახებ

ვიფიქროთ, გამოვიკვლიოთ, გავუზიაროთ!

- ისლამის პირველი ბრძანება იყო „წაიკითხე!“ აქედან გამომდინარე, გამოიკვლიეთ რა მნიშვნელობა ენიჭება ისლამში სწავლას.
- შუამავლის მოღვაწეობის პერიდში რომ გეცხოვრათ, რას გააკეთებდით?

გამოცანა



1. ყოველი კარგი საქმის სათავე
2. გამოქვაბული, სადაც პირველი ღვთიური გზავნილი მოვიდა
3. პირველი მუსლიმი ბავშვი
4. შუამავლის დაბადების თვე
5. ქალაქი, სადაც შუამავალი დაიბადა
6. ჩვენი წმინდა წიგნის სახელი
7. ჩვენი სარწმუნოება
8. შუამავლის დედის სახელი
9. შუამავლის სახელი
10. ისლამის მიმდევარი
11. შუამავლის ერთ-ერთი ქალიშვილი
12. შუამავლის მამის სახელი
13. შუამავლის პირველი მეუღლე
14. შუამავლის მეტსახელი
15. შუამავლის ბიძა, რომელმაც გაზარდა

3. თავი

შუამავლის ჰიჯრა

მედინაში ჰიჯრა იწყება

მექელები, რომლებმაც შუამავალს არ დაუჯერეს, მის მიერ ისლამის გავრცელებაზე გაბრაზდნენ. შუამავალი მათი ცხოვრების წესის მავნე მხარეებს ააშკარავებდა და ალტერნატიულ, სწორ გზას სთავაზობდა. შუამავალს სურდა, რომ მექას ხალხს უსამართლობისგან ხელი აეღო და პატიოსანი, წესირი და სამართლიანი ცხოვრებით ეცხოვრათ. უზომოდ გაღიზიანებულმა მექელმა ურწმუნოებმა გადაწყვიტეს შუამავალი საბოლოოდ გაეჩუმებინათ. ისინი შეიკრიბნენ და ბჭობდნენ იმის შესახებ, თუ როგორ მოეშორებინათ შუამავალი. ითათბირეს და გადაწყვიტეს, რომ უნდა მოეკლათ. შუამავალმა მათი ამ მზაკვრული გეგმების შესახებ გაიგო და გადაწყვიტა მექას გარიდებოდა. ის მედინაში უნდა წასულიყო.

მექელთა ზეწოლის შედეგად ბევრი მუსლიმი მექადან მედინაში გაიხიზნა. მედინას ხალხი ძალიან სტუმართმოყვარე იყო. ისინი დიდი სიყვარულით შეხვდნენ მუსლიმ ძმებს და საარსებო პირობები შეუქმნეს. შუამავალმა თავის უერთგულეს მეგობართან ებუ ბექირთან ერთად მექადან მედინაში გადავიდა. ამ მოვლენას ჰიჯრა ეწოდება. მიუხედავად ასეთი მტრობისა, შუამავალი მექელ ურწმუნოებს მაინც ღირსეულად მოექცა და მათ მიერ მობარებული ამანათები ჰზ. ალის დაუტოვა და დაუბარა, რომ ყველა თავის პატრონისთვის მიეწვდინა.

იცოდი?

შუამავლის მიერ ჭეშმარიტი სარწმუნოების გავრცელებისას მექელმა ურწმუნოებმა მუსლიმებს ბოიკოტი გამოუცხადეს. ბოიკოტი მუსლიმებისთვის ძალიან მძიმე აღმოჩნდა. გარდა ამისა, ბოიკოტის გამოცხადებიდან რვა თვის შემდეგ, შუამავალს, საყვარელი ბიძა, ებუ თალიბი გარდაეცვალა, ხოლო სამი დღის შემდეგ ერთგული მეუღლეც გამოაკლდა. ამ სამწუხარო მოვლენების გამო ამ წელს „მწუხარების წელი“ ეწოდა.

ის და ებუ ბექირი ღამით გავიდნენ მექადან, შუამავლის საწილში კი ჰზ. ალი დაწვა.

შუამავალი და მისი მეგობარი მედინასკენ მიმავალ გზაზე ერთ-ერთ გამოქვაბულში დაბინავდნენ. ეს გამოქვაბული, სინამდვილეში, მედინას გზაზე არ იყო. ის მედინადან საპირისპირო მხარეს, მექას მახლობლად მდებარებს. შუამავალმა ასეთი გადაწყვეტილება მიიღო, რადგან მდევრებისგან თავის დაღწევა ასე უფრო ადვილი იქნებოდა. ისინი სამი დღე და ღამე სევრის გამოქვაბულში დარჩნენ და ამ დროს მედინას გზებზე მდევარი ყველაგან ეძებდა.

სანამ ისინი გამოქვაბულში იყვნენ ებუ ბექირის ქალიშვილი ესმა საჭმელს უზიდავდა,ხოლო ვაჟი აბდულლაჰი მექაში მიმდინარე ამბებს ატყობინებდა.

აბდულლაჰმა შუამავალს მოუყვა, რომ მექელი ურწმუნოები ას აქლემს აწესებდნენ ჯილდოდ, ვინც შუამავალს ან ცოცხალს და ან მკვდარს მიუყვანდა. ამის გაგონებაზე ყველა თქვენ დაგეძებთო.

მექელები მართლაც ყველა კუთხე-კუნჭულში შუამავალს ეძებდნენ და ბოლოს ერთ-ერთი ჯგუფი იმ გამოქვაბულსაც მიადგა, სადაც შუამავალი და მისი მეგობარი იმალებოდნენ.

მდევრები სულ ახლოს იყვნენ. გამოქვაბულის შესასვლელში მათი ხმები ისმოდა და მათი ფეხებიც ჩანდა. ებუ ბექირი ძალიან შეშფოთდა და გვიპოვიანო, თქვა სასოწარკვეთით, მაგრამ შუამავალმა უთხრა: „ნუ დარდობ, ღმერთი ჩვენთანაა!“

მდევრები რომ მოხრილიყვნენ და შიგ შეეხედათ შუამავალსა და მის მეგობარს დაინახავდნენ, მაგრამ ღმერთმა ამ წმინდა მოგზაურობის მგზავრები დაიფარა და მდევრები უკან გაბრუნდნენ.

გამთენიისას შუამავალი და მისი ერთგული მეგობარი მედინას გზას დაადგნენ.

იცოდი?

622 წელს მუსლიმების
მექადან
მედინაში გადასახლებას
ჰიჯრა ეწოდება.

მექასთან გამომშვიდობება

შუამავალი მექაში დაიბადა და გაიზარდა. ეს მისი მშობლიური ქალაქი იყო, ამიტომ მასთან განშორება ძალიან უძნელდებოდა. არადა მექადან წასვლა აუცილებელი იყო, რადგან მექაში მუსლიმები ძალიან დიდი ზეწოლის ქვეშ იყვნენ და თავიანთი რწმენის მიხედვით ვერ იქცეოდნენ. რაოდენაც რთული იყო მექასთან განშორება, იმდენადვე იმედის მომცემი იყო მედინაში მომავალი ცხოვრება, რადგან მედინაში ისლამი სწრაფად ვრცელდებოდა და მუსლიმებს საფრთხეს არავინ უქმნიდა. როდესაც შუამავალი მექადან მედინაში მიემგზავრებოდა ამ ყველაფერზე ფიქრობდა. მექადან მიმავალმა აქლემი შეაჩერა, მექას დიდხანს უყურა და ასე თქვა:

„მექა, შენ ჩემთვის დედამიწაზე ყველაზე ლამაზი ქალქი ხარ. მე რომ იძულებული არ ვიყო, შენ არასოდეს მიგატოვებდი. ერთ დღეს შენთან დავბრუნდები“.

როდესაც შუამავალი მექადან მიდიოდა, მაშინ 53 წლის იყო. ყველაფერი მექაში დატოვა, ოჯახი, სახლი, ყველაფერი. წინ კი მედინა იყო. ღმერთი მუჰაჯირებს იმედსა და გამარჯვებას ჰპირდებოდა.

ხანგრძლივი და დამღლელი მოგზაურობის შემდეგ შუამავალი და მისი ერთგული მეგობარი მედინას ახლოს მდებარე სოფელში, ქუბაში მივიდნენ. ქუბა ცნობილი იყო ხურმის ბაღებითა და გემრიელი წყაროებით. რამოდენიმე ხანს აქ გაჩერდნენ და ისლამის პირველი მეჩეთიც აქ ააგეს.

მედინაში დიდი სიხარულია

მედინელმა მუსლიმებმა გაიგეს, რომ შუამავალი მექადან მედინაში მოდიოდა. ისინი ყოველდღე მედინას გარეთ, შემაღლებულ ადგილზე ადიოდნენ და მექდან მომავალ გზას გაჰყურებდნენ. ბოლოს, როგორც იქნა, ნანატრი დღე დადგა და მედინელმა მუსლიმებმა მომავალი ძვირფასი მგზავრები დაინახეს. მედინელი მუსლიმები ძალიან ბედნიერი იყვნენ. ისინი საყვარელ შუამავალს შეძახილებითა და სიმღერებით შეხვდენენ.

მედინაში დიდი დღესასწაული იყო. ხალხი ერთიმეორეს ეჯიბრებოდა, თუ რომელი უმასპინძლებდა ძვირფას სტუმრებს. შუამავალმა

აქლემი თავისუფლად მიუშვა და დაელოდა თუ სად გაჩერდებოდა. სადაც აქლემი გაჩერდებოდა, შუამავალიც იმ სახლის სტუმარი გახდებოდა. ამ შემთხვევაში არავის ეწყინებოდა. აქლემმა იარა, იარა და ბოლოს ერთ ცარიელ მინდორზე დაიჩოქა. ამ ადგილიდან ყველაზე

ახლომდებარე სახლი ებუ ეიუბ ენსარს ეკუთვნოდა, რომელიც ძალიან ბედნიერი იყო, რადგან გაუმართლა და შუამავლის მასპინძლობა ეღირსა.

შუამავალი მომავალი შვიდი თვე ებუ ეიუბის სახლში ცხოვრობდა. ამ დროში მუსლიმებმა იმ ადგილზე, სადაც შუამავლის აქლემმა, სახელად ქუსვამ დაიჩოქა, შუამავლის მეჩეთი ააგეს. ეს მინდორი ორი ობოლი ბავშვის საკუთრება იყო. შუამავალმა ფული გადაუხადა და ეს ადგილი მათგან შეისყიდა. მეჩეთის გვერდით კი შუამავლისთვის სახლი ააშენეს.

იცოდი?

ჰიჯრამდე მედინას იესრიბი ერქვა, მაგრამ როდესაც შუამავალი იქ ჩავიდა ამ ქალაქს „მედინეთურ-რესულ“ ანუ შუამავლის ქალაქი ეწოდა.

იცოდი?

მედინაში შუამავლის მასპინძლის, ებუ ეიუბ ელ ენსარის საფლავი სტამბოლში, ეიუბ სულთანის მეჩეთის გვერდითაა.

ცაზე მთვარე ამოვიდა

ცაზე მთვარე ამოვიდა,
ვედას გორაკებიდან.
მადლიერი ვართ ყველანი,
შენი ქადაგებიდან

შენ ხარ მზე და შენ ხარ მთვარე,
შენ ხარ ყოვლად ნათელი.
შენ ხარ ცისკრის ვარსკვლავი და
სიყვარულის სანთელი.

შენ ხარ ჩვენგან რჩეული!
ბრძანებ ჭეშმარიტებას,
ეს ქალაქი გაანათე
დიდება მობრძანებას!

გავხსნათ კონვერტები

მეგობრებო!
ქვემოთ მოცემულ კონვერტებში მოთავსებულია წინადადებები. დაალაგეთ ისინი ქრონოლოგიური თანმიმდევრობის მიხედვით.

- შუამავალი ძიძასთან ცხოვრობს
- როდესაც შუამავალი ორმოცი წლის გახდა შუამავლობის მისია დაეკისრა
- შუამავალი 632 წელს გარდაიცვალა
- შუამავალი ჰზ. ჰატიჯაზე ქორწინდება
- შუამავალი ბაბუასთან ერთად ცხოვრობს
- შუამავალმა 622 წელს მექადან მედინაში გადასახლდა

1. .....
2. .....
3. .....
4. .....
5. .....
6. .....

შეგიძლია სწორი წინადადება შენ დაწერო?

მეგობრებო!
ქვემოთ მოცემულ წინადადებებში შეცდომებია დაშვებული. მოდი, შენ დაწერე სწორი წინადადებები.

- შუამავალი მედინაში დაიბადა.

.....

- შუამავალი 632 წელს დაიბადა

.....

- მუჰამმედი რჩეულს ნიშნავს.

.....

- შუამავლის ძიძას ფატიმა ერქვა

.....

- შუამავალს შუამავლობის მისია 30 წლის ასაკში დაეკისრა.

.....

- ყურანის მოვლინება 622 წელს დაიწყო

.....

- შუამავალს ბაბუა მაშინ გარდაეცვალა, როდესაც შუამავალი 6 წლის იყო

.....

- შუამავალს სამი ქალიშვილი და ოთხი ვაჟი ჰყავდა.

.....

- შუამავალმა მექადან მედინაში 610 წელს წავიდა.

.....

- ჰზ. ჰასანი და ჰზ. ჰუსეინი შუამავლის ძმის შვილები არიან.

.....

4. თავი

შუამავლის ცხოვრება მედინაში

ენსარები და მუჰაჯირები ძმები არიან

მოგეხსენებათ, მექელი მუსლიმები იძულებული იყვნენ, რომ სახლები, ოჯახები, ქონება და ყველაფერი მიეტოვებინათ და მედინაში გაქცეულიყვნენ. შუამავალს სურდა, რომ მექელი და მედინელი მუსლიმები ერთმანეთთან ძმებივით ყოფილიყვნენ. მუსლიმების გადარჩენა და გაძლიერება მხოლოდ ძმობას და ერთიანობას შეეძლო.

შუამავალი მუსლიმებს ეუბნებოდა, რომ მათ ერთმანეთი ძმებივით უნდა დაეცვათ და ძმებივით ყვარებოდათ. შუამავალმა მედილენი ენსარები და მექელი მუჰაჯირები ძმებად გამოცხადა. ამ ძმობის შედეგად ყველამ განსაკუთრებული თანადგომის უნარი გამოავლინა. მედინელებმა მექელებს სახლი, მიწა, ფული, ქონება, მოკლედ ყველა საჭირო რამ გაუზიარეს. მუჰაჯირებისთვის ეს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო. მედინელებს კი მუსლიმ ძმებზე დახმარება ცალკე ბედნიერებას ანიჭებდა. ამგვარმა ძმურმა კავშირებმა მედინაში ძლიერი საზოგადოებრივი წყობილება შექმნა.

ვისწავლოთ ერთი ჰადისი

„ვინც მუსლიმი ძმის ერთ მოთხოვნილებას დააკმაყოფილებს, ღმერთიც მას ერთ მოთხოვნილებას დაუკმაყოფილებს. ვინც განსაცდელში ჩავარდნილ მუსლიმს გადარჩენს, ღმერთიც მას განკითხვის დღის განსაცდელისგან იხსნის. ვინც მუსლიმი ძმის ნაკლოვანებას დაფარავს, ღმერთიც, განკითხვის დღეს, მის ერთ ნაკლოვანებას დაფარავს“.

იცოდი?

მექადანან მედინაში გადასახლებულ მუსლიმებს მუჰაჯირი, ხოლო მედინელ მასპინძლებს, რომლებიც მუჰაჯირებს დაეხმარნენ ენსარი ეწოდებათ.

ისლამი ვრცელდება

მუსლიმები მედინაში, ყველანი ერთად, ძალიან ბედნიერად ცხოვრობდნენ. მექაში ყოფნისას თავს დამტყდარი განსაცდელი მედინაში აღარსად იყო. ყველა ერთმანეთის ძმა იყო და სხვების უფლებებს არავინ არღვევდა. შუამავლის ლიდერობით უბადლო საზოგადოება ჩამოყალიბდა. მუსლიმების ცხოვრების წესის შემხედვარე ადამიანები ისლამს აღიარებდნენ და ამის გამო მუსლიმთა რაოდენობა ძალიან სწრაფად იზრდებოდა. შუამავლის მეგობრები მეჩეთში იკრიბებოდნენ და ახლამოვლენილ აიათებს სწავლობდნენ. შუამავლის მეგობრები ყველაფერს აკეთებდნენ, რომ ისლამი გაძლიერებულიყო და გავრცელებულიყო. წარსულის გადმონაშთი მავნე ტრადიციები უკვე დავიწყებული იყო და ხალხი უკვე ისლამის საუკეთესო ცხოვრების წესს სწავლობდა.

მუსლიმების გაძლიერება მექელ ურწმუნოებს მოსვენებას არ აძლევდა. მათ გადაწყვიტეს ისლამის განვითარება ჩაეხშოთ, ამიტომ ჯარი შეკრიბეს და მედინაში მყოფ მუსლიმებს თავს დაესხნენ. მათი მიზანი ისლამის განადგურება იყო, მაგრამ ისინი ამას ვერასოდეს მოახერხებდნენ. ღმერთი მუსლიმების მხარეს იყო. მუსლიმებმა გადაიტანეს ბედირის, უჰუდისა და ჰენდექის ომები. ამის შემდეგ კი, 630 წელს მუსლიმებმა მექა აიღეს და გაათავისუფლეს. მექა უკვე მუსლიმების იყო. მუსლიმებმა ქააბა კერპებისგან გაწმინდეს და იქ ჭეშმარიტი ღვთისმსახურება აღავლინეს.

მექას გათავისუფლების შემდეგ ისლამი უფრო სწრაფად გავრცელდა. შუამავალმა მრავალ ქვეყანასა და სამთავროში ელჩები გააგზავნა და ისლამის აღიარებისკენ მოუწოდა. მოკლე ხანში ისლამის რიგებში მრავალი ადამიანი შევიდა.

ვისწავლოთ ერთი ჰადისი

„მუსლიმი მუსლიმის ძმაა“.

ვიფიქროთ, გამოვიკვლიოთ, გავუზიაროთ!

- ვიფიქროთ, ვინ არის ჩვენი მორწმუნე ძმა? რას ვგრძნობთ მათ მიმართ და რა სახის პასუხისმგებლობა და მოვალეობები გვაკისრია?

შუამავალი გამოსამშვიდობებელ ჰაჯს ასრულებს

632 წელი იყო. შუამავალი ასი ათასზე მეტი მუსლიმის თანხლებით მექაში ჰაჯის შესასრულებლად წავიდა. შუამავლის ამ ჰაჯს „გამოსამშვიდობებელი ჰაჯი“ ეწოდება.

შუამავალმა არაფატზე მრავალრიცხოვან მუსლიმ მომლოცველებს სიტყვით მიმართა. მან მუსლიმებს კიდევ ერთხელ აუხსნა, რომ ყველა და ყველაფრის გამჩენი ერთადერთი ღმერთია. ღმერთმა ადამიანები თანასწორნი გააჩინა, ამიტომ ყველა ადამიანის ფუნდამენტური უფლება დაცული უნდა იყოს. მან იქ მყოფებს შეახსენა, რომ ადამიანთა შორის უპირატესობა მხოლოდ ღვთისმოშიშობაზეა დამოკიდებული და არა ეროვნებაზე, კანის ფერზე და სხვა მსგავს ფაქტორებზე. ამ მიმართვას „გამოსამშვიდობებელი ხუტბა“ ეწოდება. ამის შემდეგ შუამავალი მედინაში დაბრუნდა და ცოტა ხანში გარდაიცვალა.

ვისწავლოთ ერთ აიათი

„დღეს მე სრულვჰყავი თქვენი რჯული თქვენთვის, სრულად გიბოძეთ წყალობა ჩემი და ავირჩიე ისლამი თქვენს სარწმუნოებად. უეჭველად, ალლაჰი შემნდობია, მწყალობელია“.

(სურა მაიდე, აიათი 3)

იცოდი?

შუამავლის საფლავი მედინაშია.

ვიფიქროთ, გამოვიკვლიოთ, გავუზიაროთ!

- გამოიკვლიეთ გამოსამშვიდობებელ გადაგებაზე გაჟღერებული გზავნილები და ამის თაობაზე მეგობრებთან გამართეთ დისკუსია.
- გამოიკვლიეთ შუამავლისათვის სალავათის წაკითხვის მნიშვნელობა. წარმოთქვით სალავათი.

რა დროს რომელი მოვლენა მოხდა?

ძვირფასო მეგობრებო!
ქვემოთ მოცემულია თარიღები. შეავსეთ ცარიელი ველები თარიღების გასწვრივ.

თარიღი	მოვლენა
571	
610	
622	
632	

● რატომ არის მნიშვნელოვანი შუამავლის ცხოვრების შესწავლა ?

ვიპოვოთ ჰადისი

მეგობრებო!
მოცემული ასოების ქვეშ დაწერეთ ის ასო, რომელიც ანბანის რიგში შემდეგია. პირველი ნიმუში მოცემულია.

ნ	ფ	ტ	მ	კ	ნ	კ
მ						

ნ	ფ	ტ	მ	კ	ნ	კ	ტ

წ	ნ	გ	გ

გილოცავთ! თქვენ შუამავლის ჰადისი სწორად გამოიცანით.
ახლა ეს ჰადისი მეგობრებს გაუზიარეთ.

- როგორ უნდა მოიქცენენ ძმები ერთმანეთთან ურთიერთობაში?

.....

.....

5. თავი

შუამავლის სამაგალითო პიროვნება

შუამავალი საუკეთესო მაგალითია

შუამავალი ყოველი სიტყვითა და ქცევით საუკეთესო მაგალითს წარმოადგენდა. მისი ეს საუკეთესო ზნეობა თავად ღმერთმა შეაქო.

„ვფიცავ, ალლაჰის შუამავალი კარგი მაგალითი იყო თქვენთვის, ვინც ისწრაფვოდა ალლაჰისკენ და უკანასკნელი დღისკენ და ხშირად ახსენებდა ალლაჰს!“ (სურა აჰზაბი, აიათი 21)

ვინც შუამავალს ხედავდა, დიდი იქნებოდა თუ პატარა, ქალი თუ კაცი, ყველანი სწორ და სასარგებლო რამეებს სწავლობდნენ. ის მათთვის სამაგალითო ადამიანი იყო და ცდილობდნენ ყველაფერში მისთვის მიებაძათ. შუამავალი არა მარტო მათთვის იყო მაგალითი, არამედ ყველა ჩვენთაგანისთვის.

შუამავლის ზნეობა, ღვთისმსახურება, რწმენა და ქცევები იმდენად მისაბაძი იყო, რომ მნახველები აღფრთოვანებას ვერ მალავდნენ. ის ყოველთვის ღვთისადმი მადლიერებით გამოირჩეოდა. მისი რწმენა და ღვთისადმი მინდობა უსაზღვრო იყო. უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა ლოცვას. ასევე ყველაზე მეტს მარხულობდა. ყველა იმ დებულებას, რასაც სხვებს ასწავლიდა, ჯერ თავად ასრულებდა.

შუამავალი ყველაზე ერთგული მეგობარი იყო

შუამავალს ადამიანები ძალიან უყვარდა და მეგობრებს დიდად აფასებდა. მისი ყველაზე ახლო მეგობარი ებუ ბექირი იყო. რო-

იცოდი?

შუამავლის მეგობრებს, რომლებიც მისი მიმდევრები იყვნენ, საჰაბი ეწოდებათ.

დესაც შუამავალს ესოდენ მნიშვნელოვანი მისია დაეკისრა, ებუ ბექირი ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, ვინც მას დაუჯერა და ჭეშმარიტ სარწმუნოებას ეზიარა. მასთან ერთად შუამავლის უახლოსი მეგობრები იყვნენ: ჰზ. ომარი, ჰზ. ოსმანი, ჰზ. ალი, ებუ ზერი, ტალჰა, ზუბეირი და სხვები.

შუამავალი მეგობრების მიმართ უსაზღვროს მოსიყვარულე და ყურადღებიანი იყო. ის ყოველთვის კარგად ექცეოდა მათ და მათ მდგომარეობას ხშირად კითხულობდა. შუამავალი ყოველთვის ცდილობდა მეგობრების პრობლემები მოეგვარებინა და გვერდში დადგომოდა. ყოველთვის უსმენდა მეგობრებს და მათ აზრს ითვალისწინებდა. შუამავალსა და მის მეგობრებს შორის იდეალური ურთიერთბა სუფევდა. მნიშვნელობა არ ჰქონდა საჰაბი მექელი იყო თუ მედინელი, შუამავალს ყველანი თანაბრად უყვარდა. საზოგადოებაშიც სიმშვიდე, კეთილდღეობა და უსაფრთხოება სუფევდა. ამ ყველაფერს შუამავალის სამაგალითოებით მიაღწიეს. მეგობრებიც უსაზღვრო პატივისცემით ეპყრობოდნენ შუამავალს და გვერდიდან არ შორდებოდნენ.

შუამავალი საუკეთესო ნათესავი და მეზობელი იყო

შუამავალი ნათესავურ კავშირებს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. ნათესავებთან კავშირის გაწყვეტას და მათთან კონფლიქტს შუამავალი მიუღებლად მიიჩნევდა და მიმდევრებს ამის ნებას არ აძლევდა. შუამავალს უყვარდა ნათესავები, ხშრად სტუმრობდა მათ და ეხმარებოდა. ის პატივს სცემდა ასევე მეუღლის ნათესავებსა

ვისწავლოთ ერთი ჰადისი

„მუსლიმისთვის ალალი
არ არის მუსლიმ ძმას
სამ დღეზე მეტი ხნით დაემდუროს“.

და მეგობრებს. დიდ ყურადღებას აქცევდა საყვარელ ძიძას და მის შვილებს.

შუამავალის ყურადღება და სიყვარული არც მეზობლებს აკლდათ. ის მეზობლებს ყოველთვის ღიმილით ესაუბრებოდა და მუდმივად კეთილგანწყობილ დამოკიდებულებას ინარჩუნებდა. ის ხშრად კითხულობდა მათ, სტუმრობდა და მასპინძლობდა. შუამავალი ყველას ურჩევდა, რომ მეზობლებთან კარგი ურთიერთობა ჰქონოდათ.

შუამავალი ყველაზე მოსიყვარულე მამა იყო

შუამავალი შვილების მიმართ უკიდურესად მოსიყვარულე და გამგებიანი იყო.სახლში ღიმილით და შემწყნარებლობით გამოირჩეოდა. ოჯახური გადაწყვეტილებების მიღებისას ბავშვებსაც თავიანთ აზრს ეკითხებოდა და გულდასმით უსმენდა. შუამავალს ასევე განსაკუთრებით უყვარდა შვილიშვილები. მისი შვილიშვილები, ჰასანი და ჰუსეინი მისგან დიდ სიყვარულსა და მზრუნველობას გრძნობდნენ. ის ეთამაშებოდა მათ, კალთაშიც ისვამდა და მხრებზე შემომსხდარსაც ასეირნებდა. ის ხშირად ეფერებოდა ბავშვებს და მათი ბედნიერებისთვის ღმერთს ევედრებოდა.

შუამავალს არა მარტო თავისი, ყველა ბავშვი ძალიან უყვარდა. ის ყველა ბავშვს ეფერებოდა და გულს უხარებდა. როდესაც ხილი შემოვიდოდა, შუამავალი პირველ რიგში ბავშვებს ურიგებდა. ასევე სურდა, რომ მეჩეთში ბავშვები ყოველთვის ყოფილიყვნენ. ის ეხუმრებოდა მათ და ეთამაშებოდა. როდესაც გზაზე ბავშვი შემოხვდებოდა, ტკბილად დაელაპარაკებოდა და გაუღიმებდა.

ვიფოქროთ, გამოვიკვლიოთ, გავუზიაროთ!

- შუამავლის პერიოდში ბავშვი რომ ყოფილიყავით, რის გაკეთებას ისურვებდით?
- რა მოვალეობები გვაკისრია ნათესავებისა და მეზობლების მიმართ?

შუამავალის სიყვარული ბავშვებისადმი

მეგობრებო!
მოდით, წავიკითხოთ ერთ-ერთი ამბავი, რომელიც შუამავლისა და მისი შვილიშვილების ურთიერთბას ეხება. რას იტყვით? მოდით, ჯერ წაიკითხეთ, ხოლო შემდეგ კითხვებს უპასუხეთ.

როდესაც მედინას მეჩეთში ორი ბავშვი შევიდა, ყველანი სულგანაბული ხუტბას უსმენდნენ. ბავშვებს შორის ასაკის სხვაობა ერთი წელი იყო. მათ შორის უმცროსს ეტყობოდა, რომ მინბერში მყოფ ბაბუასთან მისვლა ჰქონდა გადაწყვეტილი. ისნი მლოცველებს შორის მიდიოდნენ და მინბერისკენ გზას მიიკვლევდნენ.

შუამავალს იმდენად უყვარდა თავისი შვილიშვილები, რომ ყურადღების მიუქცევლად ვერ გაძლო, საუბარი შეწყვიტა და სამსაფეხურიანი მინბერის კიბიდან დაბლა ჩამოვიდა. შუამავალმა ხელები გაშალა და შვილიშვილები გულში ჩაიკრა.

შემდეგ შუამავალი შვილიშვილებთან ერთად ისევ მინბერზე ავიდა, რათა შეწყვეტილი ხუტბა დაესრულებინა. ამ დროს შუამავალი ასე ამბობდა: „რაოდენ ჭეშმარიტებაა ღმერთის ბრძანება! „თქვენი ქონება და შვილები გამოცდაა თქვენთვის“. ეს ორი რომ დავინახე როგორ მოდიოდნენ ჩემსკენ, იქცეოდნენ და დგებოდნენ, ველარ გავუძელი, სიტყვა გავწყვიტე და გულში ჩავიხუტე“.

(ჰადისი)

1. როდესაც შუამავალი მინბერზე იდგა და საუბრობდა, ვინ შევიდნენ მეჩეთში?
2. თქვენი აზრით, რა იგრძნო შუამავალმა, როდესაც შვილიშვილები დაინახა?
3. რატომ ჩამოვიდა შუამავალი მინბერიდან?
4. თქვენი აზრით, ამ ამბიდან რა უნდა ვისწავლოთ?

შუამავალს სიტყვა და საქმე ერთი ჰქონდა.

შუამავალი ბავშვობიდანვე სიმართლის გზას ადგა და ამ გზიდან არასოდეს გადაუხვევია. ვერ იტანდა ტყუილს. ის მთელი ცხოვრება მართალს ამბობდა და მართალი ქცევით გამოირჩეოდა. ამის გამო ხალხის უზომო ნდობა დაიმსახურა. ხალხმა იცოდა, რომ ის არასოდეს არავის მოატყუებდა.

შუამავალს ისინიც ენდობოდნენ, ვინც ისლამი არ აღიარა და ისევ კერპთაყვანისმცემლობას მისდევდა. როდესაც ისინი ხანგრძლივ მოგზაურობაში მიდიოდნენ, ძვირფასეულობას და ფულს შუამავალს აბარებდნენ, რადგან დარწმუნებული იყვნენ, რომ მაზე მიბარებული ამანათი უსაფრთხოდ იყო და ისევ უვნებელი დაუბრუნდებოდათ. ის ხომ „მუჰამმედულ ემინი“ ანუ სანდო მუჰამმედი იყო.

იცოდი?

როდესაც შუამავალს კითხეს, რომ ვინ იყო საუკეთესო ადამიანი, მან უპასუხა, სუფთა გულის და მართალი სიტყვის პატრონიო.

შუამავალი სხვებსაც ურჩევდა, რომ ნებისმიერ შემთხვევაში სიმართლის მხარეს ყოფილიყვნენ და ტყუილი არ ეთქვათ. როდესაც ადამიანი სულ მართალს ამბობს, მას მართალი ადამიანის ხასიათი უყალიბდება და მართლები კი სამოთხეში მოხვდებიანო, ბრძანებდა შამავალი.

საჰაბეთაგან აბდულლაჰი მოგვითხრობს:

„ერთხელ როდესაც შუამავალი ჩვენთან სტუმრად იყო, დედამ დამიძახა.

- შვილო, მოდი რაღაც უნდა მოგცე.

- ბავშვს რა უნდა მისცე? - დაინტერესდა შუამავალი.

- ხურმა უნდა მივცე. - უპასუხა დედამ.

- თუ მას ზუსტად იმას არ მისცემ, რასაც შეპირდი, ტყული გამოგივა და ცოდვაში ჩავარდები. - ბრძანა შუამავალმა.

ვისწავლოთ ერთი ჰადისი

„თქვი, ჩემი გამცენი ღმერთია
და შემდეგ იყავ მართალი“.

შუამავალი თავმდაბალი იყო

შუამავალი ყოველთვის თავმდაბლობას იჩენდა და სხვებთან მიმართებაში უპირატესობის გამოვლინებას ერიდებოდა. ადამიანებს არ განასხვავებდა და ყველას მიმართ თანაბრად შემწყნარებელი და კეთილი იყო. შუამავალი ავადმყოფების მონახულებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. როდესაც ავადმყოფის მოსანახულებლად მიდიოდა, იმედიან სიტყვებს ეუბნებოდა და მალე გამოჯანმრთელებისათვის ღმერთს ევედრებოდა.

შუამავლი სიტყვას არავის აწყვეტინებდა და ყველას გულდასმით უსმენდა. როდესაც მიიპატიჟებდნენ, მოპატიჟებას სიხარულით თანხმდებოდა. საჭმელს არასოდეს იწუნებდა და არც არასოდეს აკრიტიკებდა.

შუამავალი ყოველთვის სადად გამოიყურებოდა. არ უყვარდა ფუფუნების საგნები და მედიდურობის გამომხატველი ტანისამოსი. როდესაც რაიმეს ჩუქნიდნენ, უხაროდა და ამ საჩუქარს ხშრად სხვებს ჩუქნიდა.

მისი მეგობრები მუდმივად მზად იყვნენ, რომ შუამავალს დახმარებოდნენ, მაგრამ შუამავალი თავის საქმეს თავადვე აკეთებდა. მას არ უყვარდა სხვებზე ტვირთად და წოლა და სხვების შეწუხება. როცა რაიმე საერთო საქმე კეთდებოდა, ისიც სხვების მსგავსად მუშაობდა. მაგალითად, მედინაში შუამავლის მეჩეთის მშენებლობისას სხვებთან ერთად ისიც მუშაობდა.

იცოდი?

შუამავალი თავის მეგობრებთან ერთად
მიემგზავრებოდა და ერთ ადგილას შეისვენეს.
საჭმლის მომზადებას აპირებდნენ და
ერთმანეთში მოვალეობები გაანაწილეს.
„თუ ასეა, მეც ცეცხლის დასანთებად ხმელ
ტოტებს შევაგროვებ“. -უთქვამს შუამავალს.

ვიფიქროთ, გამოვიკვლიოთ, გავუზიაროთ!

- რას დაკარგავს ამაყი ადამიანი და რას მოიგებს თავაზიანი?
- რას ნიშნავს გამოთქმა: „მართალი ადამიანი ყოველთვის მოიგებს“.

შუამავალი ხელგაშლილი და სულიერად მდიდარი ადამიანი იყო

შუამავალი ძალიან მდიდარი ადამიანი იყო. ღვთის მიერ ბოძებული წყალობის სხვებზე გაზიარება უყვარდა. ის ყველას ეხმარებოდა.როცა ვინმე რაიმეს სთხოვდა, უკან ხელცარიელს არ გაუშვებდა. მშივრებს ის აპურებდა, ღარიბებს ის ეხმარებოდა, უთვისტომოებს კი მფარველობდა. მეგობრებსაც ამის მაგალითს აძლევდა და უხსნიდა, რომ სიძუნწე დამღუპველი იყო.

ერთ დღეს შუამავალს ერთი ნაჭერი ატლასი მიუტანეს. შუამავალს ეს ატლასის ნაჭერი სჭირდებოდა, მაგრამ გვერდით მყოფმა ერთ-ერთმამეგობარმა თქვა, ეს რა ლამაზი ატლასიაო. შუამავალმა ის ატლასი მაშინვე იმ მეგობარს აჩუქა.

ვისწავლოთ ერთი ჰადისი

„ორი კატეგორიის ადამიანი დაჯილდოვდება: ერთი ისაა, რომელსაც ღმერთი სიმდიდრეს უწყალობებს და ის ამ სიმდიდრეს ღვთის გზაზე დახარჯავს, ხოლო მეორე ის ადამიანია, რომელსაც ღმერთმა ციდნა და სიბრძნე უწყალობა და ის ამ ცოდნას სხვებს ასწავლის“.

მომთმენი და შემწყნარებელი შუამავალი

შუამავალს ისლამის გავრცელების პერიოდში მრავალი განსაცდელი ჰქონდა. მან იცოდა, რომ ღმერთი მომთმენთა გვერდით იყო, ამიტომ ყველანაირ განსაცდელსა და გაჭირვებას მოთმინებით ეგებებოდა. შუამავალი სასოწარკვეთას არასოდეს მისცემია. ის არასოდეს ნებდებოდა. მის გვერდში მყოფებისთვისაც სიმტკიცისა და შეუპოვრობის საუკეთესო მაგალითი იყო.

შუამავალი მომღიმარი, ტკბილმოუბარი, უკიდურესად თავაზიანი და ლმობიერი პიროვნება იყო. ცუდ სიტყვას, ლანძღვას, წყევლას არასოდეს იყენებდა. ის არავის აწყენინებდა. როდესაც

ვინმეს ნაკლოვანებას შენიშნავდა, პირდაპირ არ მიახლიდა, მიუტევებდა და ისეთი ფოქმით მიანიშნებდა, რომ არ სწყენოდა.

ენესი, რომელიც შუამავლას ეხმარებოდა და ბავშვობიდან მასთან იზრდებოდა, ამბობს: შუამავალს ერთხელაც კი არ უთქვამს უხეში სიტყვა. იმასაც კი არ მეუბნებოდა, ეს რატომ გააკეთე, ან ეს რატომ არ გააკეთეო.

ამაგდარი და სიკეთის დამფასებელი შუამავალი

შუამავალმა ყველა და ყველაფრის ფასი იცოდა. როდესაც ვინმე სიკეთეს გაუკეთებდა, არასოდეს დაუვიწყებდა. ყველას სიკეთით ახსენებდა და ყველას მიმართ კეთილგანწყობილი იყო. როდესაც მისი ძიძა ესტუმრებოდა, დედას ეძახდა და დიდი მზრუნველობით მასპინძლობდა.

შუამავალმა ჰზ. ჰატიჯას გარდაცვალება ძალიან განიცადა და არასოდეს დავიწყებია. ის მისი ერთგული მეუღლე და მეგობარი იყო. ისლამის გავრცელების პირველ წლებში მუდმივად ეხმარებოდა და მხარში ედგა. ის, თავისი შვილების დედას, ყოველთვის კეთილად ახსენებდა. ის ასევე პატივს სცემდა ჰზ. ჰატიჯას ნათესავებსა და მეგობრებს. როდესაც მსხვეროლს შეწირავდა, ხორცს ჰზ. ჰატიჯას ახლობლებსაც უნაწილებდა.

ვიფიქროთ, გამოვიკვლიოთ, გავუზიაროთ!

- შეადარეთ ერთმანეთს ხელგაშილი ადამიანისა და ძუნწის ქცევები.
- რას მოიგებს მომთმენი ადამიანი? მოუთმენელი რას დაკარგავს?
- რა ეწოდება სიკეთის არდავიწყებას?

შემწყნარებელი და ლმობიერი შუამავალი

შუამავლის გული სიკეთითა და შემწყნარებლობით იყო სავსე. არასოდეს არავისთვის ცუდი რამ არ უსურვებია. როდესაც ვინმე განსაცდელშ იყო, შუამავალი ძალიან განიცდიდა. სხვის დაჩაგვრას, წვალებას, წამებას არ დაუშვებდა. მოგეხსენებათ, შუამავალი ობოლი იყო, ამიტომ განსაკუთრებული სიყვარულით ობლებს ექცეოდა. სხვებსაც იგივეს ურჩევდა, რომ ობლებს კარგად მოპყრობოდნენ.

შუამავალი არა მარტო ადამინებს, ცხოველებსაც კარგად ეპყრობოდა. სამყაროში არსებული ყველა არსება ღმერთის გაჩენილია და შუამავალი ყველაფერს ამ თვალით უყურებდა. ღმერთის გაჩენილ არსებებს პატივისცემით უნდა მოვეპყროთ. შუამავალი პირუტყვის წვალებას ან მშივრად დატოვებას კატეგორიულად კრძლავდა.

ერთ-ერთი საჰაბი შუამავლის შემწყნარებლობის შესახებ მოგვითხრობს:

„შუამავალთან ერთად გზაზე მივდიოდით. შუამავალი გამოგვეყო და გვერდზე შეუხვია. მე იქვე ბელურის ბარტყები დავინახე და ხელში ავიყვანე. დედა ბელურა უკან მომყვებოდა და შვილებზე ნერვიულობის გამო საცოდავად ფრთხიალებდა. როგორც კი შუამავალმა ეს შენიშნა, მოიღუშა და ბრძანა, ბარტყები დამებრუნებინა.

ერთხელაც შუამავალმა მშიერი აქლემი დაინახა. საცოდავი პირუტყვი ისეთი სუსტი და მშიერი იყო, რომ მხოლოდ ძვალი და ტყავი იყო დარჩენილი. შუამავალმა ბრძანა, რომ პირუტყვებზე ასე მოპყრობა არ შეიძლბოდა. თავის აქლემს ყოველთვის უვლიდა და კარგად ეპყრობოდა.

ვისწავლოთ ერთი ჰადისი

„შემწყნარებელს ღმერთიც შეიწყნარებს“.

ვისწავლოთ ერთი აიათი

„და არ წარგვიგზავნიხარ შენ , თუ არა მოწყალებად სამყაროთათვის !“

(სურა ენბია, აიათი 107)

შუამავალი სამართლიანი იყო

შუამავალს ღრმად სჯეროდა, რომ საზოგადოებრივი სიმშვიდისა და კეთილდრეობისათვის სამართლიანობა აუცილებელი იყო. ყველამ იცოდა, რომ შუამავალი უსამართლობას არასოდეს დაუშვებდა. ნებისმიერი კონფლიქტის დროს ხალხი მას მიმართავდა, რათა კონფლიქტი მშვიდობიანად მოგვარებულიყო.

შუამავალი ადამიანებს არ განასხვავებდა. ყველას თანასწორად ექცეოდა. ყველას აგრძნობინებდა, რომ პატივს სცემდა და ღირსეული ადამიანი იყო. ის ყველას უფლებებს იცავდა და მნიშვნელობას არ ანიჭებდა მეორე მხარე მდიდარი იყო თუ ღარიბი, დიდი თუ პატარა, ქალი თუ კაცი.

ვისწავლოთ ერთი აიათი

„ალლაჰს უყვარს სამართლიანნი“.

(სურა ჰუჯურათი, აიათი 9)

ვისწავლოთ ერთი ჰადისი

„მუსლიმი მუსლიმის ძმაა. უსამართლოდ არ მოექცევა. თანადგომის გარეშე არ მიატოვებს და არ დაამცირებს“.

შუამავლისგან მოგონებები

მეგობრებო!
ქვემოთ მოცემულია ამბები შუამავლის შესახებ. წაიკითხეთ ისინი და გამოიცანით, რომელი ამბავი შუამავლის რომელ თვისებას აღწერს. შემდეგ თითეულ ამბავს სათაური მიუწერეთ

ენესი მოგვითხრობს:

შუამავალი ადამიანთა შორის საუკეთესო ზნეობის პატრონი იყო. მე ერთ ძმა მყავდა, ებუ უმეირი. ის ყოველთვის ერთ ბელურას ეთამაშებოდა. ბელურას სახელიც ერქვა, ნუგაირი. როდესაც შუამავალი ჩემს ძმას დაინახავდა, მაშინვე მეგობარი ჩიტის ამბავს კითხავდა. ასე ეხუმრებოდა ყოველთვის.

ერთხელ შუამავალმა შვილიშვილს, ჰასანს აკოცა. იქვე ერთი კაცი იყო, სახელად აქრა. აქრას გაუკვირდა და შუამავალს უთხრა, მე ათი შვილი მყავს და ჯერ არცერთისთვის მიკოცნიაო. ამის თაობაზე შუამავალმა ბრძანა: „ვინც არ შეიწყნარებს, შეწყნარებული არ იქნება“.

შუამავალი ზოგჯერ ბავშვებს ეთამაშებოდა
და ახალისებდა. ხშირად ცხენზე ან აქლემზე
აამხედრებდა და ასეირნებდა. ბავშვებს ეს
ყველაფერი ძალიან მოსწონდათ და შუამავლის
მოგზაურობიდან დაბრუნებას სულმოუთქმელად
ელოდებოდნენ. როგორც კი შუამავალი
გამოჩნებოდა, ბავშვები მის შესახვედრად
გარბოდნენ. შუამავალიც აამხედრებდა ბავშვებს და
ასე სეირნობით მოჰყავდა.

შუამავალი ბავშვებს ხშირად თავზე და ხელებზე ეფერებოდა.
მისი ერთი ამგვარი ყურადღება ბავშვებს უზომოდ
აბედნიერებდა.

აბდულლაჰი და ჯაბირი იმ ბედნიერ ბავშვთაგანი იყვნენ,
რომლებსაც შუამავალი ეფერებოდა. ჯაბირი იხსენებს:
„შუამავალთან ერთად შუადღის ლოცვა შევასრულეთ. ლოცვის
შემდეგ შუამავალი მეჩეთიდან გამოვიდა და შინისკენ გზას
დაადგა. მეც მასთან ერთად გამოვედი. გზაზე ბავშვები
შემოგვხვდნენ. შუამავალმა სათითაოდ მოეფერა ლოყებზე
და თავზე ხელი გადაუსვა. შემდეგ მეც მომიბრუნდა და
იგივენაირად მომეფერა. მისი ხელიდან ისეთი სურნელება
მოდიოდა, რომ დღემდე მახსოვს.

- მე რომ შუამავლის დროს ბავშვი ვყოფილიყავი,

უსამე ბინ ზეიდი იხსენებს:

შუამავალი ერთ მუხლზე მე დამიჯენდა, ხოლო მეორეზე- ჰასანს და ორივეს თავზე ხელს გადაგვისვამდა ხოლმე, შემდეგ კი ღმერთს ასე ევედრებოდა: ღმერთო, დაიფარე და წყალობა არ მოაკლო ამ ბავშვებს.

- რა არის შემწყნარებლობა? როგორია შემწყნარებელი ადამიანი?

შუამავლის ერთ-ერთი მეგობარი მოგვითხრობს:

შუამავალთან ერთად სადღაც მივემგზავრებოდით. შუამავალი გამოგვეყო და გზიდან გადაუხვია. იქვე ერთი ბეღურა დავინახეთ, რომელსაც ორი ბარტყი ჰყავდა. ჩვენ ბარტყები ხელში ავიყვანეთ, დედა კი ჩვენს ირგვლივ დაფრინავდა და საცოდავად უსტვენდა. ამასობაში შუამავალი მოვიდა და გვიბრძანა, ახლავე დაუბრუნეთ ბარტყები და ფრინველს ნუ აწვალებთო.

- შენი აზრით, რას გრძნობდა დედა ბეღურა?

სიტყვებზე ნადირობა

მეგობრებო!
ქვემოთ მოცემულ გამოცანაში შუამავლის ზოგიერთი თვისებაა დამალული.მოდით, ვიპოვოთ ეს თვისებები. შემდეგ გამოიკვლიეთ, კიდე რა თვისებები ჰქონდა მას?

- სანდო
- მომთმენი
- მართალი
- გამრჯე
- შემწყნარებელი
- ლმობიერი
- პატიოსანი
- კეთილი
- მოსიყვარულე
- სამართლიანი
- მიმტევებელი
- გამგებიანი

პ	ს	ა	ნ	დ	ო	ზ	ხ	ც	ვ	ბ	გ	ხ	ც
ა	ი	მ	ს	ა	მ	ა	რ	თ	ლ	ი	ა	ნ	ი
ტ	უ	ო	ს	დ	ფ	გ	ჰ	ჯ	კ	კ	მ	კ	ს
ი	ტ	მ	ა	რ	თ	ა	ლ	ი	ა	ს	რ	ე	დ
ო	რ	თ	ს	დ	ფ	გ	ჰ	ჯ	კ	ლ	ჯ	თ	ფ
ს	წ	მ	ზ	ხ	ც	ვ	ბ	მ	ნ	ბ	ე	ი	გ
ა	შ	ე	მ	წ	ყ	ნ	ა	რ	ე	ბ	ე	ლ	ი
ნ	ქ	ნ	ქ	ქ	წ	ე	რ	ტ	ყ	უ	პ	ი	გ
ი	ქ	ი	მ	ო	ს	ი	ყ	ვ	ა	რ	უ	ლ	ე
ქ	ს	დ	ფ	ლ	მ	ო	ბ	ი	ე	რ	ი	ნ	მ
წ	მ	ი	მ	ტ	ე	ვ	ე	ბ	ე	ლ	ი	ნ	ტ
ე	ყ	ვ	ზ	ტ	ყ	უ	ი	ო	პ	ა	ს	დ	ფ
რ	ტ	გ	ა	მ	გ	ე	ბ	ი	ა	ნ	ი	ვ	დ
ო	ო	ი	უ	ყ	ტ	რ	ე	რ	წ	წ	ქ	ა	პ

მართალი
და სანდო იყო

ხელგაშლილი
იყო

თავმდაბალი
იყო

ოავდადებული
იყო

მამაცი
იყო

სამართლიანი
იყო

მიმტევებელი და
შემბრალებელი იყო

მომთმენი და
შემწყნარებელი
იყო

ზღვარს არ
გადადიოდა

სტუმართმოყვარე
იყო

სისუფთავეს
დიდ მნიშვნელობას
ანიჭებდა

ვიფიქროთ, გამოვიკვლიოთ, გავუაზიაროთ!

- შევადაროთ ერთმანეთს სამართლიანი და უსამართლო ადამიანი
- დაასახელეთ შემწყნარებელი ადამიანის ქცევები.

შემაჯამებელი კითხვები

1. რომელია შუამავლის დაბადების ადგილი და თარიღი?
   ა) მედინა-581
   ბ) ტაიფი-530
   გ) მექა- 571
   დ) იემენი-537

2. ქვემოთ მოცემულთაგან, სადაც შუამავლის დედისა და ძიძას სახელები უნდა იყოს მოცემული, რომელია სწორი?
   ა) ამინე-ფატიმა
   ბ) ფატიმა-აიშე
   გ) ამინე- ჰალიმე
   დ) აიშე- ჰალიმე

3. მუჰამმედი ნიშნავს „ცასა და დედამიწაზე ქებული ადამიანი“. ვინ დაარქვა ეს სახელი შუამავალს?
   ა) ბიძა, ებუ თალიბმა
   ბ) დედამ, ამინემ
   გ) მამამ, აბდულლაჰმა
   დ) ბაბუამ, აბდულმუტტალიბმა

4. შუამავლის რომელი თვისების გამო აირჩიეს ის მომრიგებლად, როცა მექას რეკონსტრუქცია მიმდინარეობდა?
   ა) სიყვარული
   ბ) სანდოობა
   გ) თანადგომა
   დ) შემწყნარებლობა

5. რომელ პასუხშია სწორად მოცემული შუამავლის შვილების სახელები?
   ა) ფატიმა, რუქიე, უმმუ გულსუმი, იბრაჰიმი, აბდულლაჰი
   ბ) ზეინაბი, რუქიე, ყასიმი, აბდულლაჰი
   გ) ფატიმა, ზეინაბი, რუქიე, უმმუ გულსუმი, იბრაჰიმი, ყასიმი, აბდულლაჰი
   დ) ფატიმა, ზეინაბი, რუქიე, იბრაჰიმი, ყასიმი, აბდულლაჰი

6. ქვემოთ მოცემულთაგან რომელი არ არის შუამავლის ვაჟი?
   ა) აბდულლაჰი
   ბ) იბრაჰიმი
   გ) ყასიმი
   დ) მუსტაფა

7. როდესაც შუამავლის დედა გარდაიცვალა, ვინ აიღო მზრუნველობა შუამავალზე?
ა) ბიძამ, ებუ თალიბმა
ბ) ბაბუამ, აბდულ მუტტალიბმა
გ) ძიძამ, ჰალიმემ
დ) მეგობარმა, აბუ ბაქარმა

8. შუამავალი სამართლიანი და მართლის მთქმელი ადამიანი იყო. ამის გამო რას ეძახდნენ მას ადამიანები?
ა) აჰმედი
ბ) მუჰამმედი
გ) მუსტაფა
დ) მუჰამმედულ ემინი

9. შუამავლის ბაბუას გარდაცვალების შემდეგ, ვისთან ცხოვრობდა შამავალი?
ა) ებუ თალიბთან
ბ) ჰამზასთან
გ) აბუ ბაქართან
დ) ჰალიმესთან

10. ქვემოთ მოცემულთაგან რომელი არ არის შუამავლის ქალიშვილის სახელი?
ა) აიშე
ბ) ზეინაბი
გ) რუქიე
დ) ფატიმა

11. ქვემოთ მოცემულთაგან, რომელ პასუხში შესაბამისი თანმიმდევრობა? შუამავლის დედა, მამა, და ბაბუა.
ა) ჰალიმე- აბდულლაჰი, აბდულმუტტალიბი
ბ) ამინე- აბდულლაჰი- აბდულმუტტალიბი
გ) ამინე- აბდულმუტტალიბი- აბდულლაჰი
დ) ჰალიმე- აბდულლაჰი- ამინე

12. შუამავლის დარიგების მიხედვით, რა არის საუკეტესო რამ, რაც შეიძლება მამამ შვილს დაუტოვოს?
ა) კარგი აღზრდა
ბ) სათამაშო მანქანა
გ) კამფეტები
დ) ლამაზი სახელი

13. ვინ ახლდა შუამავალს, როდესაც ის მექადან მედინაში მიემგზავრებოდა (ჰიჯრა)?
ა) ჰზ. ომარი
ბ) ჰზ. აბუ ბაქარი
გ) ჰზ. ალი
დ) ჰზ. ოსმანი

14. მექადან მედინაში გადასახლებულ მუსლიმებს მედინელები კარგად დახვდნენ და ყველაფერში დაეხმარნენ. რა ეწოდებათ მათ?
ა) მუჰაჯირები
ბ) საჰაბე
გ) ენსარები
დ) სტუმრები

15. რა ეწოდება შუამავლის სიტყვებს?
ა) ანდაზა
ბ) ჰადისი
გ) აფორიზმი
დ) კარგი სიტყვა

16. რა ეწოდება მექადან მედინაში გადასახლებულ მუსლიმს?
ა) ლტოლვილი
ბ) სტუმარი
გ) ენსარი
დ) მუჰაჯირი

17. რა ეწოდება მედინაში აგებულ მეჩეთს?
ა) მესჯიდი ნებევი
ბ) მესჯიდი ჰარამი
გ) ყუბას მეჩეთი
დ) მეჩეთი

18. რომელ პასუხშია სწორად მოცემული შუამავლის გარდაცვალების თარიღი და ადგილი?
ა) 610- მექა
ბ) 632- მედინა
გ) 571- მედინა
დ) 632- მექა

19. სად არის შუამავლის საფლავი?
ა) მექა
ბ) მედინა
გ) ტაიფი
დ) ჯიდა

20. როდის მოევლინა შუამავალს პირველი ღვთიური გზავნილი?
ა) 610 წლის რამადანის მთვარე
ბ) 610 წელი რეჯების მთვარე
გ) 620 წელი რამადანის მთვარე
დ) 620 წელი რეჯების მთვარე

21. რა ასაკში დაეკისრა შუამავალს შუამავლობის მისია?
ა) 25
ბ) 30
გ) 35
დ) 40

22. რა ეწოდებათ შუამავლის მეგობრებს, რომლებიც მისი მიმდევრები იყვნენ?
ა) ენსარი
ბ) მუსლიმი
გ) საჰაბე
დ) მუჰაჯირი

ზნეობა

კარგად მოქცევას ვსწავლობ

170 რა არის მორალი?

176 სიყვარული და პატივისცემა

181 პასუხისმგებლობის გრძნობა და ოჯახურ მოვალეობები

193 სისუფთავე და ღირსეულობა

198 სიკეთის კეთება

203 სიმართლე და სანდოობა

209 ურთიერთდახმარება და გაზიარება

216 შრომა

1. თავი

რა არის მორალი?

თითოეული ჩვენთაგანი სხვა ადამიანებისგან განსხვავებულ პიროვნულ თვისებებს ვატარებთ. ზოგი ჩვენგანი მეგობრულები ვართ და მეგობრებს ვეხმარებით. ზოგს სუსფთავე გვიყვარს განსაკუთრებით და ამ მხრივ გამოვირჩევით. ზოგი კიდე სიმართლეს ვანიჭებთ განსაკუთრებულ მნიშნელობას და ა.შ. ზოგი მომთმენი ვართ, ზოგი მოუთმენელი. ზოგი ადამიანი ხელგაშლილია, ხოლო ზოგი -ხელმომჭირნე. ზოგადად მორალი კი ადამიანში ამ თვისებების ერთობლიობაა.

საუკეთესო მორალის მქონე ადამიანი, როგორც საკუთარი თავის, ისე საზოგადოებისთვის სიკეთისა და სარგებლის მომტანია. საზოგადოებაში, სადაც წესიარი, მართალი, პატიოსანი და შემწყნარებელი ადამიანები ცხოვრობენ, სიმშვიდე და კეთილდღეობა ისადგურებს. პასუხისმგებლობის მაღალი შეგნების მქონე ადამიანები მყარ საზოგადოებრივ ერთობას ქმნიან და ასეთ საზოგადოებაში ცხოვრება ბედნიერებისა და განვითარების მომტანია. მაღალი ზნეობის მქონე ადამიანები სიყვარულითა და სიკეთით ცხოვრობენ.

ისლამი საუკეთესო ზნეობაა

ისლამი ჩვენგან საუკეთესო ზნეობას მოითხოვს. ის მუდმივად გვახსენებს, რომ ნებისმიერ შემთხვევაში და ნებისმიერ დროს კარგად უნდა მოვიქცეთ. ამ გზაზე ჩვენი სანიმუშო მაგალითი ჩვენი ძვირფასი შუამავალია. სწორედ ის იყო საუკეთესო ზნეობის ადამიანი. ჩვენ კი, როგორც მისი მიმდევრები, ყველა მიმართულებით მას უნდა ვბაძავდეთ და მისი გაკვალული გზით დავდიოდეთ.

დასაფასებელია ადამიანთა მონდომება საიმისოდ, რომ ზნეობა აღიმაღლონ. როდესაც ადამიანი ცდილობს გახდეს უკეთესი, ამაღლდეს ზნეობრივად, ეს კარგის ნიშანია და ღმერთი მას შეეწევა. როდესაც შუამავალს კითხეს, ვინ არის

პატივისცემა

სიბეჯითე

თავდადება

ხელგაშლილობა

თანადგომა

გამბედაობა

შემწყნარებლობა

სიმართლე

ლმობიერება

სიკეთე

სტუმართმოყვარეობა

ძმობა

სისუფთავე

მეგობრობა

მიტევება

გაზიარება

სამართლიანობა

სიყვარული

მადლიერება

სანდოობა

მოთმინება

მისალმება

პასუხისმგებლობა

ვისწავლოთ ერთი ჰადისი

„თქვენს შორის საუკეთესო ისაა, ვინც ზნეობრივად უკეთესია“.

ღვთის წინაშე საუკეთესო ადამიანიო, მან უპასუხა, რომ ღვთის წინაშე საუკეთესო ადამიანი ისაა, ვისაც საუკეთესო ზნეობა გააჩნიაო.



შუამავლის ცხოვრებაზე დავფიქრდეთ. ის სათნოებით სავსე ბავშვი, კარგი ახალგაზრდა, მართალი ზრდასრული და სამაგალითო შუამავალი იყო. ჩვენ მისი მიმდევრები ვართ. შესაბამისად, ჩვენ ყველა ქცევაში და ადამიანებთან ურთიერთობაში, მას უნდა მივბაძოთ.

ადამიანებთან ყოველდღიური ურთიერთბისას მასავით სანდო, კეთილი, ხელგაშლილი, ალალი, მომთმენი და შემწყნარებელი უნდა ვიყოთ.

შუამავალი ყველაფერს გვასწავლის. მაგალითად, მარჯვენა ხელით უნდა ვჭამოთ. ჭამა ღმერთის სახელის ხსენებით უნდა დავიწყოთ. საჭმელი ვინც მოამზადა, იმას მადლობა უნდა გადავუხადოთ. წყლის დალევისას სამჯერ უნდა შევისვენოთ. წყალი დამჯდარმა უნდა დავლიოთ. ყურადღება უნდა მივაქციოთ ჰიგიენას. ეს და სხვა მრავალი რჩევა შუამავლის სუნნეთია.

შუამავალი გვასწავლის, რომ საჭმელი არ უნდა გავანიავოთ. საკვები ღვთიური წყალობაა და მისი მოხმარებისას ზომიერება უნდა გამოვიჩინოთ.

ვიფიქროთ, გამოვიკვლიოთ, გავუზიაროთ!

- რა უნდა გავაკეთოთ, რომ ზნეობა გავიუმჯობესოთ?
- წარმოვიდგინოთ საზოგადოება, სადაც ყველა მაღალი ზნეობის მატარებელია, რა მოხდება?

მწვანეზე წადი, წითელზე გაჩერდი!

მეგობრებო!

შუქნიშანი ყველას გვინახავს და მისი ფერების მნიშვნელობა ვიცით. ჩვენც წითელზე გავჩერდეთ და მწვანეზე გავაგრძელოთ.

ამ აქტივობით თქვენ უნდა გამოიცნოთ, რომელი ქცევაა კარგი და მწვანედ, ხოლო ცუდი ქცევა წითლად შეაფერადოთ. ასევე არ დაივიწყოთ განმარტება, თუ რატომაა კონკრეტული ქცევა კარგი ან ცუდი.

ალი მამასთან ერთად ლოცულობს
რადგან;

სხვისი ნივთის უნებართოდ გამოყენება
რადგან;

აჰმედი სანდო ბავშვია
რადგან;

მცენარეებისა და ცხოველების დაზიანება
რადგან;

სიმართლის თქმა
რადგან;

ელიფი ჭამას ღმერთის სახელის ხსენებით იწყებს
რადგან;

აიშემ თავისი სათამაშო მეზობლის ბავშვს აჩუქა
რადგან;

დაცინვა
რადგან;

სახლში შესვლისას „ბისმილლაჰ“ თქმა
რადგან;

შეავსეთ გამოტოვებული ადგილები

ძვირფასო მეგობრებო!
ქვემოთ მოცემული სიტყვებიდან შეარჩიეთ შესაბამისი სიტყვა და ჩაწერეთ წინადადებებში.

ჭამის ვედრება

اَلْحَمْدُ لِلّٰهِ الَّذِى اَطْعَمَنَا وَسَقَانَا وَجَعَلَنَا مِنَ الْمُسْلِمِينَ

დიდება გამჩენს, რომელიც გვაჭმევს,
გვასმევს და რომელმაც მუსლიმად გაგვაჩინა.

- იბანდა
- სამჯერ
- ლაპარაკობდა
- ახლოს
- მარჯვენა
- ბისმილლაჰი ფიი ევველიჰი ვე აჰირიჰი
- ელჰამდულილლაჰ
- ბისმილლაჰ

ძვირფასი შუამავალი:

1. ჭამის დაწყებამდე “_____ „ ამბობდა.
2. ჭამის დასრულების შემდეგ ამბობდა: „_____“
3. „თუ ჭამის დაწყებამდე „ბისმილლაჰ“-ის თქმა დაგავიწყდებათ, მაშინ როცა გაგახსენდებათ ასე თქვით: „_____ _____“
4. საჭმელს _____ ხელით მიირთმევდა.
5. სუფრაზე რაც _____ იყო იმ საჭმელს ჭამდა.
6. ჭამის დროს არ _____
7. წყლის დალევისას _____ ისვენებდა.
8. შუამავალი სუფრასთან დაჯდომამდე ხელებს _____

კითხვები აქაა, სად არის პასუხები?

ძვირფასო მეგობრებო!
ქვემოთ მოცემული შეკითხვების გასწვრივ პასუხების გაცემაზე რას იტყვით?

შუამავალი ჭამის წინ ვედრებას აღავლენდა. გაიხსენებთ ამ ვედრებას?	....
დაასახელეთ რომელიმე ქცევა, რომელიც სუფრასთან მისაღებია:	....
რა უნდა ვუთხრათ მზარეულს, რომელმაც საჭმელი მოგვიმზადა?	....
როგორ ვედრებას აღავლენდა შუამავალი ჭამის შემდეგ?	....
დაასახელეთ რომელიმე ქცევა, რომელიც სუფრასთან მიუღებელია	....

ადამიანები, რომლებსაც საჭმელი უნდა გავუზიაროთ

.....
.....
.....

რა უნდა გავაკეთოთ, რომ ზომიერება დავიცვათ?

.....
.....
.....

2. თავი

სიყვარული და პატივისცემა

ხასხასა ლურჯი ცა... ნაირფერადი პეპლები... წვეთ-წვეთობით წამოსული წვიმა... ფანტელებად მოსული თოვლი... ცის კაბადონი... მოკიაფე ვარსკვლავები... წვიმის შემდეგ მიწის სურნელი... ათასობით ფერადი ყვავილები... ნაყოფით დახუნძლული ხეები... მინდორში მოთამაშე ბატკნები... ყველა სათითაოდ საოცრად ლამაზია... გაზაფხულს თავისი სილამაზე აქვს, ზაფხულს-თავისი, შემოდგომა სხვანაირად ლამაზია, ზამთარი კი- სხვანაირად. მათი ხსენებაც კი გულს გვითბობს და უცნაური სიხარულით გვივსებს. სწორედ ამ გრძნობას სიყვარული ჰქვია.

გარშემო მყოფი ადამიანების მიმართ გულწრფელ დამოკიდებულებასა და სითბოს გამოხატვას ჩვენში არსებული, შინაგანი სიყვარული განაპირობებს. ურთიერთპატივისცემა, თანადგომა, მეგობრობა, სიკეთე და მსგავსი ქცევები ჩვენში არსებულ ღვთიურ წყალობას, სიყვარულს ემყარება.

ჩვენ სიყვარულით სავსე ადამიანები ვართ! ჩვენ სიყვარულით სავსე გული გვაქვს. ჩვენ მუსლიმები ვართ! ჩვენ ღმერთი გვიყვარს! ის ჩვენი გამჩენია, მაცოცხლებელი, მაარსებებელი, მფარველი... ამიტომ ის ყველაზე მეტად გვიყვარს. შემდეგ შუამავალი გვიყვარს. ღმერთის შესახებ ხომ შუამავალმა გვასწავლა. ამიტომ ისიც ძალიან გვიყვარს. საკუთარი თავი გვიყვარს. მშობლები გვიყვარს. ნათესავები გვიყვარს. მუსლიმები გვიყვარს. მთელი კაცობრიობა და ყველა არსება გვიყვარს. ყველა ღმერთის გაჩენილია. ჩვენ სიყვარულით სავსე გული გვაქვს. სამშობლო გვიყვარს. ეროვნული დროშა გვიყვარს. ჩვენი ყველაფერი გვიყვარს.

ჩვენ ძალიან გვიყვარს ღმერთი და მასაც ვუყვარვართ. მას რომ ვუყვარვართ, ეს იქიდანაც ჩანს, რომ გაგვაჩინა, გვაცოცხლებს, გვაარსებებს, გვმფარველობს და უთვალავი წყალობით გვანებივრებს. მის მიერაა გაჩენილი ეს სამყარო, მზე და მთვარე. ის ასაზრდოებს გემრიელ ხილსა და მარცვლეულს. მისი ნების შესაბამისად ფუტკრები უტკბილეს თაფლს ამზადებენ. მთვარე ღამით გზას გვინათებს. ზეციდან წვიმა მოდის და დედამიწაზე სიცოცხლისთვის აუცილებელს წყაროებს კვებავს. მისი ნაბოძები თვალებით ვხედავთ და მისი ნაბოძები ყურით გვესმის.

თუ ადამიანს შინაგანი სიყვარული გააჩნია, ეს მისი ქცევებიდან ცანს. სიყვარული ადამიანის ქცევებში ვლინდება. როდესაც ადამიანი სიყვარულს გაიგებს, ის გარშემო სიყვარულს ასხივებს. მის გულში არსებული სიყვარული, მის ქცევებში აისახება.

შუამავალზე მიბაძვა მისდამი სიყვარულის გამოხატულებაა. როდესაც მშობლები გვიყვარს, ჩვენ მათ კარგად ვექცევით და ამით იმ სიყვარულს გამოვხატავთ, რაც მათ მიმართ გაგვაჩნია. მეგობრების მიმართ ერთგულებაც იმ სიყვარულის გამოხატულებაა, რაც მათ მიმართ გვაქვს. როდესაც გარემოს ვუფრთხილდებით, არ ვანადგურებთ ხეებს, ზიანს არ ვაყენებთ ცოცხალ არსებებს, ესეც ბუნებისა და ზოგადად ღმერთი გაჩემილთა მიმართ სიყვარულის გამოხატულებაა.

ყურანში ნაბრძანებია, რომ ის ადამიანები, რომლებიც ერთმანეთს თანადგომას უცხადებენ, ერთმანეთს ეხმარებიან, აკეთებენ სიკეთეს, იცავენ ჰიგიენას, არიან სამართლიანი, არიან მომთმენი, ასრულებენ მიცემულ სიტყვას და ყოველგვარ ცუდ საქციელს გაურბიან, ღმერთს ძალიან უყვარს. თუ დავაკვირდებით იმ ქცევებს, რასაც ღმერთი ჩვენგან ითხოვს, ყველა კარგი და მოსაწონია. შესაბამისად, ღმერთის სიყვარულის გასამართლებლად კარგი ქცევები უნდა ავითვისოთ და ბოროტებისგან შორს ვიყოთ.

ვისწავლოთ ერთ აიათი

„ვფიცავ, თქვენთან მოვიდა შუამავალი თქვენივე წიაღიდან. მძიმეა მისთვის, რომ თქვენ განსაცდელში ხართ. გული შესტკივა თქვენზე. მიმტევებელი და მწყალობელია მორწმუნეებისადმი!“

(სურა თევბე, აიათი 128)

ვისწავლოთ ერთი ჰადისი

„თუ არ იწამებთ, სამოთხეში ვერ შეხვალთ. თუ ერთმანეთი არ გეყვარებათ მორწმუნე ვერ იქნებით. გითხრათ, როგორ შეიყვაროთ ერთმანეთი? თქვენს შორის მშვიდობა გაავრცელეთ“.

ყველას პატივს ვცემ

ადამიანი სოციალური არსებაა და საზოგადოებისგან განცალკევებით, მარტო ვერ იცხოვრებს. ჩვენ ცხოვრებას ოჯახთან მეზობლებთან, მეგობრებთან და სხვა ადამიანების გარემოცვაში ვატარებთ. გამომდინარე აქედან, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სხვა ადამიანებთან თანაცხოვრების დროს მათთან კარგი ურთიერთობა უნდა ვიქონიოთ. საამისოდ კი არსებობს გარკვეული წესები. ერთ-ერთი მთავარი წესი პატივისცემაა.

პატივისცემა მეორე მხარის მიმართ ყურადღება, მოსმენა, მისი სატკივარის გულთან მიტანა და მისი აზრის დაფასებაა. პატივისცემა, აგრეთვე, სხვათა უფლებების აღიარება და მათი დაცვაა.

ჩვენთვის ოჯახი ძალიან მნიშვნელოვანია. დედა, მამა, ბებია, ბაბუა, ბიძა, ბიცოლა, დეიდა, ყველა ჩვენი ახლო ნათესავი და ძვირფასი ადამიანია. ჩვენ ისინი გვიყვარს და პატივს ვცემთ. ვიცით, რომ მათდამი სიყვარული და პატივისცემა ძალიან მნიშვნელოვანია. ამას ჩვენი სარწმუნოება გვასწავლის და გვავალდებულებს. სარწმუნოება ასევე გვასწავლის კონკრეტულ ქცევებს, რომელბიც უფროსებთან ურთიერთობისას უნდა გამოვიყენოთ. მაგალითად, თუ სახლში უფროსი შემოვა, ფეხზე უნდა ავდგეთ და ისე შევხვდეთ. უნდა დავხვდეთ ღიმილით და ტკბილად მოვიკითხოთ.

ბუნებრივია ჩვენი მხრიდან პატივისცემას მხოლოდ უფროსები კი არა, უმცროსებიც იმსახურებენ. პატარებს არ უნდა დავცინოთ, არ უნდა დავამციროთ. მათ აზრი უნდა მოვისმინოთ და მათდამი სიყვარული გამოვხატოთ. მოკლედ, მუსლიმი ყველა ადამიანის მიმართ კეთილია და ყველას პატივს სცემს.

თუ ჩვენს ცხოვრებას სიყვარულისა და პატივისცემის საზომებით დავარეგულირებთ, ჩვენი ქცევები ზომიერი და ლამაზი იქნება, რაც იმას მოასწავებს, რომ კარგი ადამიანები ვიქნებით.

ვისწავლოთ ერთი ჰადისი

„სანამ ხუთი რამ მოვა, ამ ხუთი რაიმის ფასი იცოდე: სიკვდილის მოსვლამდე სიცოცხლის, ავადმყოფობამდე ჯანმრთელობის, მოუცლელობამდე თავისუფალი დროის, სიბერემდე ახალგაზრდობის და სიღარიბის მოსვლამდე სიმდიდრის“.

საკუთარ თავსაც პატივს ვცემ

სხვათა მიმართ პატივისცემასთან ერთად, ასევე მნიშვნელოვანია საკუთარი თავის მიმართ პატივისცემა. ღმერთმა ყველა ჩვენგანი განსხვავებული გაგვაჩინა. ზოგს შავი თმა გვაქვს, ზოგს-ქერა. ზოგს შავი თვალები გვაქვს, ზოგს- თაფლისფერი, ზოგს- მწვანე და ა.შ. რადგან ღმერთმა ესოდენ დიდი მნიშვნელობა მოგვანიჭა, ჩვენც საკუთარ თავს მნიშნელობა უნდა მივანიჭოთ და საკუთარი თავი დავაფასოთ. ეს კი გამოიხატება იმაში, რომ ჩვენი გონების, სხეულის ან ღირსების დამაზიანებელი მდგომარეობა არ უნდა შევქმნათ და ამ ყველაფერს გავუფრთხილდეთ. უნდა მოვერიდოთ ზიანის მომტან საკვებს და სასმელს და ასევე სიფრთხილე უნდა გამოვიჩინოთ, რომ ჯანმრთელობა არ დავიზიანოთ.

ამასთანავე, თავისუფალი დრო საკუთარი თავის განვითარებისთვის უნდა გამოვიყენოთ.

ვისწავლოთ ერთი აიათი

ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! დაე, ერთმა ხალხმა არ დასცინოს მეორე ხალხს, იქნებ ისინი უკეთესნი არიან მათზე. და არც ქალებმა სხვა ქალებს, ეგებ ისინი უკეთესნი არიან მათზე. და არ მოსცხოთ ჩირქი ერთმანეთს და არ მოუხმოთ ერთმანეთს შეურაცხმყოფელი მეტსახელებით. რწმენის მიღების შემდგომ რაოდენ ცუდია თვისებაა სისაძაგელე. ხოლო ვინც არ მოინანიებს, სწორედ, რომ ეგენი არიან უსამართლონი“.

(სურა ჰუჯურათი, აიათი 11)

ვისწავლოთ ერთი ჰადისი

ვინც უმცროსებს სიყვარულით არ ეპყრობა,
უფროსებს პატივს არ სცემს,
სიკეთისკენ არ მოგვიწოდებს
და ბოროტების შესახებ არ გვაფრთხილებს,
ჩვენიანი არ არის.

ღრუბლიანი კითხვები

მეგობრებო!
თქვენ ოდესმე ღრუბლიანი კითხვები გინახავთ? აი, ისინიც!

რომელ იმ დადებით
თვისებებს ფლობ,
რომლებიც გინდა, რომ შენს
მეგობარს ჰქონდეს?

.....

.....

რა თვისებები უნდა
ჰქონდეს კარგ
მეგობარს?

.....

.....

გაქვს ისეთი თვისება,
რომელიც არ მოგწონს?
გინდა რომ შეცვალო?

.....

.....

დაასახელეთ
თვისებები,
რომლებიც არ გინდა,
რომ შენს მეგობარს ჰქონდეს?

.....

.....

3. თავი

პასუხისმგებლობის გრძნობა და ოჯახურ მოვალეობები

სამყაროში ყველა არსებას თავისი მოვალეობა გააჩნია

ღმერთმა სამყაროში არსებული ყველაფერი კონკრეტული მიზნით გააჩინა. უმიზნოდ და შემთხვევით არაფერია. დიდი და მცირე, ყველა და ყველაფერი, რაც სამყაროში არსებობს, ყველას თავისი გაჩენის მიზანი გააჩნიათ. მზე ყოველდღე ამოდის და დედამიწას ათბობს. ღრუბლები მოძრაობენ და დედამიწას წვიმით რწყავენ. ხეები იზრდება, ყვავილობს და გემრიელ ნაყოფს ისხამს.



სამყაროში არსებული ყველა არსება მასზე დაკისრებულ მოვალეობას ასრულებს. ფუტკრები თაფლს აკეთებენ, ძროხები და ცხვრები რძეს იწველებიან, მზე ყოველთვის თავის დროზე ამოდის, გაზაფხული ყოველთვის მოდის, გაზაფხულზე ყვავილები იშლებიან, ხეებზე ფრინველები იბუდებენ, თევზები ზღვებში დაცურავენ და ა.შ. მოკლედ, ყველა თავის მოვალეობას ასრულებს.

მეც მაქვს ჩემი პასუხისმგებლობა

რადგანაც სამყაროში არსებულ ყველაფერს თავისი მოვალეობა გააჩნია, ჩვენ, სამყაროში ყველაზე გამორჩეულ არსებებს, ადამიანებსაც, რა თქმა უნდა, ჩვენთვის დამახასიათებელი მოვალეობები და პასუხისმგებლობა გვაკისრია. ჩვენ, ადამიანები, უპასუხისმგებლოდ და უმიზნოდ რომ ვიყოთ გაჩენილი, სრულებით ლოგიკასაა მოკლებული. ადამიანს გააჩნია გონება და თავისუფალი ნება, რაც მის პასუხისმგებლობას უფრო მნიშვნელოვანს ხდის.

ღმერთმა ადამიანს პასუხიმსგებლობა დააკისრა, რათა დედამიწაზე სიკეთე და სილამაზე სუფევდეს. ადამიანთა ვალდებულება რწმენა და ყველა იმ მოვალეობის შესრულებაა, რასაც ყურანი გვასწავლის. როდესაც ჩვენი მოვალეობები გვეცოდინება და შევასრულებთ, ღმერთს ვეყვარებით და წყალობას არ მოგვაკლებს.

პასუხისმგებლობის ერთი ნაწილი გამჩენის წინაშე გაგვაჩნია. მაგალითად, ლოცვა, მარხვა და სხვა მსგავსი ღვთისმსახურება სისტემატიურად უნდა შევასრულოთ და ეს ჩვენი ვალდებულებაა. ასევე პასუხისმგებლობა გვაკისრია როგორც საკუთარი თავის, ისე სხვების მიმართაც. მაგალითად, ჩვენ ვალდებული ვართ დავიცვათ საკუთარი ჯანმრთელობა, ჰიგიენა, უსაფრთხოება და ა.შ. ასევე ვალდებული ვართ პატივი ვცეთ მშობლებს, სხვა ადამიანებს, ვიყოთ მართალი და სიკეთის მომხრე. უნდა გვიყვარდეს ბუნება, გარემო და მუდმივად ვუფრთხილდებოდეთ მას. ასევე ვალდებული ვართ მადლიერება გამოვხატოთ იმ უთვალავ წყალობათა გამო, რასაც ღმერთი გვწყალობს.

იცოდი?

ჩვენს ქვეყანაში წელიწადში მილიონობით ზედმეტი პური იხარჯება და საბოლოოდ სანაგვეში ხვდება. ასეთი არაგეგმაზომიერი მოხმარებით ქვეყნის ეკონომიკას ვაზარალებთ.

მე ჩემს პასუხისმგებლობას ვაცნობიერებ

როდესაც საკუთარ პასუხისმგებლობას ვაცნობიერებთ და სათანადოდ ვასრულებთ, ეს იმას ნიშნავს, რომ უკვე გავიზარდეთ. როდესაც ზრდასრულობას მივაღწევთ, ჩვენს მოვალეობებს საკუთარი გადაყვეტილებების საფუძველზე, ყოველგვარი ძალდატანების გარეშე შევასრულებთ.

თუ ჩვენს მოვალეობებს არ შევასრულებთ, ჩვენი ცხოვრება პრობლემებით სავსე გახდება. მაგალითად, თუ გვიან დავიძინებთ, დილას თავის დროზე ვეღარ გავიღვიძებთ და სკოლაში დავაგვიანებთ. თამაშის დროს უეცრად გაგვახსენდება, რომ დავალებები არ შეგვისრულებია და მოვიწყენთ. არადა, ყველაფერი თავის დროზე რომ გავაკეთოთ ასეთი პრობლემები აღარ გვექნება.

როდესაც ჩვენს მოვალეობებს სათანადოდ შევასრულებთ, ერთიმეორის უფლებებსაც აღარ დავარღვევთ. ასეთ შემთხვევაში საზოგადოებისთვის სასარგებლო წევრი ვიქნებით, რომელიც თავის მნიშნელოვან ადგილს იკავებს. შედეგად უკეთესი საზოგადოება, უკეთესი ქვეყანა და უკეთესი დედამიწა გვექნება.

პასუხისმგებლობის გრძნობა კარგა ადამიანად გვაქცევს და გარშემომყოფებსაც გავახარებთ. როცა ოჯახშ ყველა ვალდებულებას შევასრულებთ, სკოლაშიც ყველაფერს პირნათლ;ად გავაკეთებთ, რა თქმა უნდა კარგი ადამიანები ვიქნებით. საზოგადობერივ ცხოვრებასაც შესაბამისი მოვალეობები გააჩნია. თუ ამ მოვალეობებს შევასრულებთ ადამიანთა შორის ურთიერთობები გაუმჯობესდება და ყველა გაბედნიერდება. ღვთის წინაშე არსებული ვალდებულებები კი უმთავრესია და ცხოვრების ყველა ასპექტში ჩვენი, როგორც კარგი ადამიანის ჩამოყალიბებას უზრუნველყოფს. პასუხისმგებლობები გვახსენებს, რომ ამქვეყნად უმიზნოდ არ ვართ გაჩენილი და არსებობს ბევრი რამ, რაც გვევალება რომ გავაკეთოთ.

ამასთანავე, ჩვენც ისევე გვიყვარს ჩვენზე მზრუნველი ოჯახის წევრები, როგორც მათ ვუყვარვართ. როგორც კი წამოვიზრდებით, ყველა იმ ვალდებულებას ვასრულებთ, რასაც ჩვენგან ელიან და ვცდილობთ სიყვარული და პატივისცემა გამოვხატოთ. ოჯახში სიყვარულითა და კეთილგანწყობით ვიქცევით და ოჯახური მყუდროების შექმნაში ჩვენს როლს ვთამაშობთ. ბავშვი ოჯახის სიხარული და ბედნიერებაა. ჩვენი ქცევით, ჩვენი წარმატებით, ვცდილობთ ოჯახის წევრებს მეტი და მეტი ბედნიერება მოვუტანოთ. ამასთანავე ღმერთს ვევედრებით, რომ ყველანი ჯანმრთელები და ბედნიერები გვიმყოფოს.

ვისწავლოთ ერთი აიათი

„და ვუანდერძეთ ადამიანს მისი მშობლები.
ატარა დედამ თავისმა, გაჭირვება-გაჭირვებით
და მისი ძუძუდან მოწყვეტა ორ წლამდე გრძელდება.
მე შემწირე მადლობა და შენს მშობლებს,
რამეთუ ჩემთანაა მოსაქცეელი!

(სურა ლოყმანი, აიათი 14)

ვისწავლოთ ერთი ჰადისი

„ვისაც სწამს ღვთისა და განკითხვის დღისა,
სტუმარს პატივი სცეს“.

ამასთანავე, ჩვენც ისევე გვიყვარს ჩვენზე მზრუნველი ოჯახის წევრები, როგორც მათ ვუყვარვართ. როგორც კი წამოვიზრდებით, ყველა იმ ვალდებულებას ვასრულებთ, რასაც ჩვენგან ელიან და ვცდილობთ სიყვარული და პატივისცემა გამოვხატოთ. ოჯახში სიყვარულითა და კეთილგანწყობით ვიქცევით და ოჯახური მყუდროების შექმნაში ჩვენს როლს ვთამაშობთ. ბავშვი ოჯახის სიხარული და ბედნიერებაა. ჩვენი ქცევით, ჩვენი წარმატებით, ვცდილობთ ოჯახის წევრებს მეტი და მეტი ბედნიერება მოვუტანოთ. ამასთანავე ღმერთს ვევედრებით, რომ ყველანი ჯანმრთელები და ბედნიერები გვიმყოფოს.

ვისწავლოთ ერთ აიათი

„და დაგიდგინა შენმა ღმერთმა, რომ არ ეთაყვანოთ არავის, გარდა მისი და კეთილად მოექცეთ მშობლებს. თუ მშობელთაგან ერთ-ერთი ან ორივე მიაღწევს სიბერემდე, არ უთხრა: „უჰ!“ და არ გაუწყრე მათ და ლამაზი სიტყვა უთხარი!“

(სურა ისრა, აიათი 23)

მე ვასრულებ ოჯახურ ვალდებულებებს

ოჯახში ძმებთან და დებთან ძალიან კარგი ურთიერთობა გვაქვს. გვიყვარს, როცა ერთმანეტს რაიმე კარგს ვუზიარებთ. ერთად ვთამაშობთ და ერთმანეთს ვმფარველობთ. გაკვეთილების მომზადებაშიც ვეხმარებით. ასევე ვეხმარებით უფროსებსაც ოჯახური სამქეების გაკეთებაში. ჩვენი ასეთი ქცევა მათ ძალიან მოსწონთ. მაგალითად, როცა ბაბუას წყალს მოვუტანთ ან დაკარგული სათვალის ძებნაშ ვეხმარებით, ის ძალიან ბედნიერია და გვლოცავს. ჩვენ ძალიან მოგვწონს, რომ ბაბუა გავახარეთ და მისგან ასეთი ლამაზი დალოცვა დავიმსახურეთ.

გვახსოვდეს!

სახლში მოსულ სტუმარს უნდა ვუთხრათ „მობრძანდი“ ან „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება“. წასვლისას კი თავაზიანად უნდა დავემშვიდობოთ და ბედნიერი გზა ვუსურვოთ.

როდესაც ოჯახში სტუმარი მოდის, ჩვენც ვცდილობთ ოჯახის წევრებს მივეხმაროთ და სამზადისი გავუადვილოთ. სტუმრებთან კარგად ვიქცევით და ვაგრძნობინებთ, რომ ოჯახში სტუმარი ყველას გვიხარია. ამავდროულად ვიცით, რომ ოჯახში მოსული სტუმარი ბარაქისა და სიხარულის მომტანია.

ოჯახის წევრებთან დაკავშირებით სხვა მოვალეობებიც გაგვაჩნია. დღესასწაულებზე და ავადმყოფობის დროს მათთან მივდივართ და ვნახულობთ. მიგვაქვს საჩუქრები და გამოვხატავთ მზრუნველობას. ასევე ვეკითხებით მნიშვნელოვანი საკიტხების შესახებ აზრს, რადგან მათი ცოდნა და გამოცდილება ჩვენთვის მნიშვნელოვანია. მათთან საუბრის დროს ვიცით, რომ გულდასმით უნდა მოვუსმინოთ და სიტყვა არ უნდა გავაწყვეტინოთ.

ოჯახი წინაშე ვალდებულებები

- ოჯახის უფროსების მოსმენა
- მათთვის ვედრების აღვლენა
- საქმის კეთებისას მათზე დახმარება
- სიტყვითა და ქცევით არ უნდა ვაწყენინოთ
- ისინი არასოდეს მოვატყუოთ
- როცა საჭიროა მათგან ნებართვის აღება
- ყველა მოვალეობის პირნათლად შესრულება

უფროსებს ჩვენი სიკეთე უნდათ

ოჯახში უფროსებს ყოველთვის უნდათ, რომ ბედნიერები ვიყოთ. მათ, ჩვენთან შედარებით უფრო მეტი წლები იცხოვრეს, ამიტომ უფრო მეტი ცხოვრებისეული გამოცდილება გააჩნიათ. შესაბამისად ისინი ზოგჯერ გვაფრთხილებენ და რჩევებს გვაძლევენ. ზოგჯერ ასეთი გაფრთხილებები და რჩევები შეიძლება არ მოგვეწონოს, მაგრამ ბოლოს აღმოჩნდება, რომ ისინი მართალი იყვნენ. მაგალითად, ახალ გაზაფხულზე უკვე ვფიქრობთ, რომ დათბა და საზაფხულო ტანსაცმლით გავდივართ ქუჩაში. მშობლები, ბებია ან ბაბუა კი გვაფრთხილებს, რომ თბილად ჩავიცვათ და რაიმე მოსაცმელს გვთავაზობენ. ჩვენ არ ვუჯერებთ და გვგონია, რომ ეს საჭირო არ არის. შემდეგ, როცა ვცივდებით და ავად ვხდებით, ვაღიარებთ, რომ ისინი მართლები იყვნენ.

ვიფიქროთ, გამოვიკვლიოთ, გავუზიაროთ!

- „სამოთხე დედების ფერხთითაა“, რა დასკვნები შეიძლება გავაკეთოთ ამ ჰადისიდან? გაუზიარეთ მეგობრებს.

ჩვენ დიდი ოჯახი ვართ!

ძვირფასო მეგობრებო!
ქვემოთ მოცემულია ოჯახის ხე, რომელსაც ვაშლები ასხია. ვაშლებზე დაწერეთ ოჯახის წევრებისა და ახლო ნათესავების სახელები. შემდეგ ეს სახელები გააფერადეთ.



- რა არის ჩვენი მოვალეობები ოჯახში?

1. .....
2. .....

- რა არის ჩვენი მოვალეობები ოჯახში?

1. .....
2. .....

- რას ვიზამდით თუ ნათესავი საერთოდ არ გვეყოლებოდა? რა არის ის მოვალეობები, რომლებიც ნათესავების მიმართ გვაკისრია?

.....

.....

სტუმარს ვმასპინძლობთ

მეგობრებო!
ჩვენ ყველამ ვიცით, რომ სტუმარზე საუკეთესო დახვედრა, ჩვენი სარწმუნოების მიხედვით, კარგი საქციელია. წარმოვიდგინოთ, რომ ერთ-ერთმა ახლო ნათესავმა გაგვაგებინა, რომ ამაღამ სტუმრად მოდის. სტუმრებისთვის რა სახის სამზადისს დაიწყებდით?

1. სამზადისის დროს რა შეიძლება დაგავალონ? ასეთ დროს რას ითხოვენ შენგან უფროსები?

2. შენ რომ იყო სტუმარი, მასპინძლისგან როგორ მოქცევას ისურვებდი?

3. ჩვენი სარწმუნოების მიხედვით, რატომ არის სტუმარზე კარგად დახვედრა დიდად მოსაწონი საქციელი?

4. შუამავალი ბრძანებს, რომ სტურიდ დალოცვა ღვთის წინაშე მიღებულია. გამოვიკვლიოთ, კიდევ ვისი ვედრებაა ღვთის წინაშე მიღებული?

მე რომ ვყოფილიყავი

1. ტყულად ანთებული ნათურა რომ ვყოფილიყავი

   თავს .....მოწყენილად..... ვიგრძნობდი.

   რადგან .....

   .....

2. ტყულად მოშვებული ონკანი რომ ვყოფილიყავი

   თავს ..... ვიგრძნობდი.

   რადგან .....

   .....

3. მაისური რომ ვყოფილიყავი, რომელსაც აღარავინ იცვამს

   თავს ..... ვიგრძნობდი

   რადგან .....

   .....

4. ფანქარი რომ ვყოფილიყავი, რომელსაც არავინ იყენებს

   თავს ..... ვიგრძნობდი

   რადგან .....

   .....

5. თეფშზე ნახევრად მიტოვებული საჭმელი რომ ვყოფილიყავი

   თავს ..... ვიგრძნობდი

   რადგან .....

   .....

ვიპოვე, ვიპოვე!

მეგობრებო!
გვერდით ხედავთ სახაზავს და მასზე დაწერილ ასოებს. რიცხვების გასწვრივ მოცემული ასოები ჩაწერეთ კვადრატებში და იპოვით ყურანის ერთ-ერთ აიათს.

ა	1
ბ	2
გ	3
დ	4
ე	5
ვ	6
ზ	7
თ	8
ი	9
კ	10
ლ	11
მ	12
ნ	13
ო	14
პ	15
ჟ	16
რ	17
ს	18
ტ	19
უ	20
ფ	21
ქ	22
ღ	23
ყ	24
შ	25
ჩ	26
ც	27
ძ	28
წ	29
ჭ	30
ხ	31
ჯ	32
ჰ	33

23 12 5 17 8 18

7 23 6 1 17 18

3 1 4 1 18 6 11 1

1 17 20 24 6 1 17 18

- რატომ არის მნიშვნელოვანი თავშეკავება?

.....

.....

.....

4. თავი

სისუფთავე და სათნოება

მე მიყვარს სისუფთავე

შუამავალი ბრძანებს, ღმერთი სუფთაა და უყვარს ისინი, ვინც სუფთაა. გამომდინარე აქედან, როგორც ღვთისმსახურების, ისე ყოველდღიური ცხოვრების პროცესში ჰიგიენა უნდა დავიცვათ და ვეცადოთ, რომ ყოველთვის მოწესრიგებული ვიყოთ. ამით ჩვენ, გარდა სხვა სიკეთეებისა, ღვთის სიყვარულსაც დავიმსახურებთ. ღვთისმსახურებასა და სისუფთავეს შორის ძალიან მჭიდრო კავშირია. მაგალითად, ლოცვის წინ მცირე განბანვის შესრულება აუცილებელი პირობაა. ლოცვის დროს ასევე აუცილებელი პირობაა სალოცავი ადგილისა და ტანისამოსის სისუფთავე.

სისუფთავე ადამიანს საკუთარი თავის მიმართ ნდობასა და პატივისცემას უძლიერებს.

ჩვენ უნდა ვეცადოთ, რომ სხეული, ტანისამოსი და გარემო სუფთა და მოწესრიგებული გვქონდეს. ხშირად უნდა ვიბანაოთ, დავიჭრათ ფრჩხილები და სულ მცირე, დღეში ორჯერ გავიხეხოთ კბილები. სახლი და ქუჩა არ უნდა დავანაგვიანოთ. უნდა გვახსოვდეს, რომ მნიშვნელოვანი ტანსაცმლის სისუფთავეა და არა სიახლე.

სუფთა გარემო იქ მცხოვრები ადამიანების ბედნიერებას უწყობს ხელს. ქუჩაში დაგდებული თითოეული ნაგავი არა მარტო გარემოს, არამედ ჩვენს თვალთახედვას და გულს აბინძურებს. ამასთანავე, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ საჭმლისა და სასმელის სისუფთავეს. სისუფთავე ჯანმრთელობის საწინდარია.

ვისწავლოთ ერთი ჰადისი

„არსებობს ორი წყალობა, რომელთა ფასიც ადამიანთა უმრავლესობამ არ იცის. ესენია: ჯანმრთელობა და თავისუფალი დრო.

ჩვენ ყველას გვიყვარს ხილი და ბოსტნეული, რომლებიც ყოველთვის გულს გვიხარებენ. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ ხილისა და ბოსტნეულის სისუფთავეს. გაურეცხავი ხილისა და ბოსტნეულის ჭამა არ შეიძლება, რადგან შეიძლება მოვიწამლოთ. გარდა ამისა, ჭამის დაწყებისა და ჭამის დასრულების შემდეგ ხელების დაბანა აუცილებელია. ჩვენ ყველაფერში შუამავალს უნდა მივბაძოთ და ეს შუამავლის რჩევაა. შუამავალი გვასწავლის აგრეთვე საპირფარეშოში მოქცევისა და სისუფთავის დაცვის წესებს, რომლებიც უნდა გავითვალისწინოთ.

როდესაც შეცდომას ვუშვებ, ბოდიშს ვიხდი

ერთ-ერთი კარგი ქცევის მაგალითი საჭირო დროს ბოდიშის მოხდაა. ჩვენ არ გვინდა, რომ ვინმეს ვაწყენინოთ ან შეურაცხყოფა მივაყენოთ. ამის მიუხედავად, ზოგჯერ ხდება, რომ ვინმეს გულს ვატკენთ და ეს შეიძლება უნებურად მოგვივიდეს. შეიძლება ქუჩაში ჩქარა მივდიოდეთ და ვინმეს მხარი გავკრათ, ან შევეჯახოთ და ა.შ. ასეთ შემთხვევაში საჭიროა მოვიბოდიშოთ და შევეცადოთ მოპირდაპირე მხარის გული მოვიგოთ. ბოდიშის მოხდით მეორე მხარეს ვაჩვენებთ, რომ ჩვენ ეს არ გვინდოდა და ამის გამო ვწუხვართ. ასევე ჩვენ მისგან ამის გამო გაგებასა და პატიებას ველოდებით.

წარმოვიდგინოთ, რომ სკოლის კიბეზე ასვლისას რომელიმე ბავშვი დაგეჯახათ, ტკივილი იგრძენით და წიგნებიც დაგიცვივდათ, მან კი, ვითომც არაფერი მომხდარა, გზა გააგრძელა. ხომ იფიქრებ, რომ ძალიან ცუდად მოიქცა?! მის ადგილას რომ ყოფილიყავი, როგორ მოიქცეოდი? თავს როგორ იგრძნობდი?

არადა, ის ბავშვი რომ მოტრიალებულიყო, ბოდიში მოეხადა და წიგნების აკრეფაში დაგხმარებოდა, ყველაფერი გამოსწორდებოდა და შენ იფიქრებდი, რა კარგი ბავშვიაო. გაბრაზების მაგივრად მეგობრობას და სიყვარულს იგრძნობდი. აი ასეთი შედეგი მოაქვს საჭირო დროს ბოდიშის მოხდას.

ზოგჯერ ადამიანები ფიქრობენ, რომ არაფერი დაუშავებიათ და მართალი არიან. ისინი ფიქრობენ, რომ თუ ბოდიშს მოიხდიან, ამით აღიარებენ, რომ დააშავეს. შეცდომა ყველას მოსდის. მნიშვნელოვანი შეცდომის გამოსწორება და მისი ხელახლა არდაშვებაა და არა უშეცდომო ვარო, იმის მტკიცება.

სიკეთის გამკეთებელს მადლობას ვუხდი

ღირსეული ადამიანის კიდევ ერთი თვისება, სიკეთის სამაგიეროდ მადლობის გადახდაა. ვთქვათ შეუძლოდ გავხდით და რომელიმე მეგობარმა ჩვენი ჩანთა წამოიღო, ან გაკვეთილი ვერ გავიგეთ და აგვიხსნა, ამ დროს გვიხარია და შესაბამისად სიკეთის გამკეთებელი მეგობრის მიმართ მადლიერებას ვგრძნობთ, ამიტომ ეს მადლიერება უნდა გამოვხატოთ და მადლობა გადავუხადოთ. როდესაც ვინმე გვეხმარება, ეს ნიშნავს, რომ მისთვის ძვირფასი ვართ და ჩვენზე ზრუნავს. ადამიანი, ამგვარი დამოკიდებულების გამოხატვის შემდეგ ჩვენგან მადლობას იმსახურებს. მადლიერების გამოხატვით მეორე მხარეს ვაგრძნობინებთ, რომ მისი ასეთი ქცევით კმაყოფილი ვართ და მის მიერ გაკეთებული საქმე ჩვენთვის ღირებულია.

მადლობის გადახდა ნიშნავს, რომ ჩვენ გაკეთებულ სიკეთეს ვხედავთ და ვაფასებთ. მადლობის გადახდა არა ვალდებულება, არამედ გულწრფელი კმაყოფილების გამოხატვაა. ამასთანავე, მადლობის გადახდა კარგი მანერა და ღირსეული ქცევაა.

მაგალითად, როდესაც ვინმე საჩუქარს გვჩუქნის, ჩვენ ძალიან ბედნიერი ვართ და მადლობას ვუხდით. როცა კალამი გაგვითავდება და კლასელი გვათხოვებს, მადლობას ვუხდით. როდესაც მეზობელი გემრიელ საჭმლს შემოგვაწვდის, გვიხარია და მადლობას ვუხდით. ასევე მადლიერი ვართ მშობლების, რომლებიც მუდმივად ჩვენზე ზრუნევენ და ვუყვარვართ. როდესაც წარმატებას მივაღწევთ და გვილოცავენ, ჩვენ მადლობას ვუხდით.

როდესაც ადამიანებს სულ მცირე სიკეთისათვის მადლობას ვუხდით, ასევე არ უნდა დაგვავიწყდეს მადლობის გადახდა ღმერთზეც, რადგან ის უთვალავი წყალობით გვავსებს და მუდმივად მისი მფარველობის ქვეშ ვართ. ეს სამყარო, ყველაფერი ხომ მან გააჩინა და ჩვენ ამ ყველაფრით ვსარგებლობთ. ამიტომაა, რომ ჭამის დაწყებამდე და ასევე ჭამის დასრულების შემდეგ ღმერთს ვახსენებთ, რითიც მისდამი უზომო მადლიერებას გამოვხატავთ. ჩვენს სუფრაზე არსებული საჭმელები ღმერთმა გააჩინა და ამის გამო მისი მადლიერი ვართ. ასევე მადლობა უნდა გადავუხადოთ იმ ადამიანს, ვინც საჭმელი მოგვიმზადა.

ჭამის შემდეგ ვამბობთ: „ელჰამდულილლაჰ“, რითიც ღმერთს მადლობას ვწირავთ.

ვისწავლოთ ერთ აიათი

„და აკი, გაუწყათ ღმერთმა თქვენ: „თუ ნამდვილად მადლიერნი იქნებით , უთუოდ, წყალობას გიმრავლებთ და თუ უმადურნი იქნებით, უეჭველად, სასჯელი ჩემი საშინელია!“

(სურა იბრაჰიმი, აიათი 7)

ვისწავლოთ ერთი ჰადისი

„ვინც ადამიანებს მადლობას არ ეუბნება, ის არც ღმერთის მადლიერი იქნება“.

რას იტყვით, ადრე ნასწავლი ვედრება რომ გავიხსენოთ?

ბისმილლაჰირრაჰმანირრაჰიმ

ელჰამდულილლაჰილლეზი ეთამენა ვე სეყანა ვე ჯეღალენა მინელ მუსლიმინ

მნიშნელობა

„დიდება ალლაჰს, რომელიც გვაჭმევს, გვასმევს და მუსლიმებად გაგვაჩინა“.

ვიფიქროთ, გამოვიკვლიოთ, გავუზიაროთ!

- ჰიგიენის დაცვის შემთხვევაში, რა შედეგებს მივაღწევთ? განმარტეთ.
- რას ნიშნავს გქონდეს სუფთა გული? დაასახელეთ მაგალითები, როგორ იქცევიან სუფთა გულის ადამიანები?

მოდი, ვიფიქროთ!

მეგობრებო!
რას იტყვით, ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს ვუპასუხოთ?

1. ბოლოს ვის მოუხადე ბოდიში?

.....

2. რა დადებითი მხარეები აქვს ბოდიშის მოხდას?

.....

3. რა იგრძენი ბოდიშის მოხდისას?

.....

4. რას იგრძნობ, თუ მეგობარი გაწყენინებს და ბოდიშს არ მოგიხდის?

.....

5. ბოდიშის მოხდა გიძნელდება? როცა საჭიროა, შენს შეცდომას ხვდები და ბოდიშს იხდი?

.....

6. ბოლოს ვის გადაუხადე მადლობა?

.....

7. რა დადებითი მხარეები აქვს მადლობის გადახდას?

.....

8. რას გრძნობ მადლობის გადახდისას?

.....

9. როდესაც მეგობარს სიკეთეს უკეთებ და მადლობას არ გიხდის, რას გრძნობ?

.....

10. გიჭირს მადლობის გადახდა? როცა საჭიროა მადლობას იხდი?

.....

5. თავი

სიკეთის კეთება

არ დავივიწყოთ!

სიკეთის ბევრი ან ცოტა არ ყველანაირი სიკეთე მნიშვნელოვანია.

სიკეთეს არ ვუღალატებ

სიკეთე ყველა ის ქცევაა, რომელითაც ღმერთი კმაყოფილი ხდება. კარგ ადამიანს ეძახიან მას, ვინც სიკეთეს აკეთებს. უპირველეს ყოვლისა სიკეთეა ყველა სახის ღვთისმსახურება; ლოცვა, მარხვა, ზექათი და ასხვა. ასევე სიკეთეა უფროსების მიმართ პატივისცემა, ღარიბებზე დახმარება და ა.შ. სიკეთე ზოგჯერ რაიმის სწავლაა, ხოლო ზოგჯერ ნასწავლის სხვაზე სწავლება.

ღმერთმა ადამიანებს ისეთი ცხოვრების წესი დაუდგინა, რომ მათ ერთმანეთი სჭირდებათ. ვერცერთი ჩვენგანი, სხვა ადამიანების გარეშე, ცხოვრებას ვერ შევძლებთ. ყველას გვაქვს გარემო, სადაც ვცხოვრობთ. ყველას გვაქვს ოჯახი, მეგობრები, ნათესავები. ბუნებრივია ეს ერთობა და ურთიერთობები ცალკე მოვალეობებს წარმოშობს.

ჩვენ ასევე ვიცით, რომ სხვა დედამიწა, სხვა ცა არ გვაქვს, რომ იქ ვიცხოვროთ. შესაბამისად, ჩვენ ვალდებული ვართ დედამიწაზე ერთად ცხოვრებისთვის საჭირო პირობები დავიცვათ და ყველამ ერთად ვიცხოვროთ.

ჩვენ გვსურს, რომ ყველა ადამიანი, ვისთანაც ურთიერთობა გვიწევს, კარგად იქცეოდეს. როდესაც რაიმე კონფლიქტს, ან ჩხუბს ვხედავთ, ძალიან გვწყინს. რახან სხვებისგან კარგი ქცევები გვინდა, ჩვენს ანალოგიურად კარგად უნდა ვიქცეოდეთ. როგორც ჩვენ გვინდა რომ მოგვექცნენ, ისე უნდა მოვიქცეთ ჩვენც. თუ გვინდა რომ ყველას ვუყვარდეთ, ყველა კარგად გვექცეოდეს, ყველა გვაფასებდეს და სიკეთეს გვიკეთებდეს, ჩვენც ისევე უნდა მოვიქცეთ.

სიკეთე არ შეიძლება იყოს ბევრი ან ცოტა. ყველა სახის სიკეთე ძალიან მნიშვნელოვანია. კარგი ადამიანები ერთმანეთს ეხმარებიან,

რათა სიკეთე აკეთონ და სიკეთემ იმრავლოს. ღმერთს უყვარს სიკეთის მთესველნი და ადამიანებს ყოველი სიკეთისთვის მადლით აჯილდოებს.

ჩვენ ვიცით, რომ ამქვეყნად გაკეთებული ნებისმიერი სიკეთე საიქიოში მადლის სახით დაგვხვდება. არცერთი სიკეთე, რომელსაც ამქვეყნად ცხოვრებისას გავაკეთებთ, უპასუხოდ არ დარჩება. ღმერთი ყოველი სიკეთისთვის გვაჯილდოებს როგორც ამქვეყნად, ისე საიქიოშიც.

ამქვეყნიურ ცხოვრებაში სიმშვიდისა და ბედნიერებისათვის აუცილებელია ერთმანეთთან კარგი ურთიერთობა ვიქონიოთ და ერთმანეთს სიკეთით მოვეპყროთ.

როგორც შუამავალი მოგვითხრობს, გზაზე ერთი კაცი მიდიოდა, რომელსაც ძალიან მოსწყურდა. ბოლოს, როგორც იქნა მიაგნო წყალს და დალია. შემდეგ მან დაინახა ძაღლი, რომელსაც ასევე ძალიან სწყუროდა. ამ ძაღლსაც ჩემსავით სწყურიაო, გაიფიქრა კაცმა. შემდეგ ფეხსაცმელი გაიძრო, ძაღლს ჭიდან წყალი ამოუღო და დაალევინა. შუამავალმა ბრძანა, რომ ამ საქციალისთვის ღმერთმა ის კაცი დააჯილდოვა.

ვისწავლოთ ერთი აიათი

„ვინც სიკეთე ჰქმნა კაცთაგან თუ
ქალთაგან და იგი მორწმუნეა,
მაშინ, უთუოდ, მას ტკბილი ცხოვრებით
ვაცხოვრებთ და უთუოდ მივაგებთ
მათ თავიანთ საზღაურს
უფრო უკეთესით, რაც უკეთებიათ!

(სურა ნაჰლი, აიათი 97)

ვისწავლოთერთ ჰადისი

„არცერთი სიკეთე ჩათვალო
უმნიშვნელოდ!“

ისაუბრე საკუთარ თავზე!

მეგობრებო!
წაიკითხეთ წინადადებები და აირჩიეთ შესაბამისი ნიშანი

☺ ☹	მეგობრების საიდუმლოს არავის ვუმხელ.
☺ ☹	ჭამამდე და ჭამის შემდეგ ხელებს ვიბანი.
☺ ☹	როდესაც ვინმე ლაპარაკობს, სიტყვას არ ვაწყვეტინებ.
☺ ☹	სახლიდან გასვლისას ნებართვას ვიღებ.
☺ ☹	საკვებს ვუფრთხილდები და არ ვანიავებ.
☺ ☹	მეგობრებს კარგად ვექცევი.
☺ ☹	როდესაც ტანსაცმელს ვიცვლი, იქვე არ ვყრი.
☺ ☹	ყურანსა და ეზანს მოკრძალებით ვუსმენ.
☺ ☹	ლაპარაკის დროს უხეშ სიტყვებს არ ვიყენებ.
☺ ☹	უფროსებს პატივისცემით, უმცროსებს კი სიყვარულით ვეპყრობი.
☺ ☹	საგნებს ვუფრთხილდები და ისე ვიყენებ.
☺ ☹	გაზიარება მიყვარს.

გამოცანა ყუთებით

ძვირფასო მეგობრებო!
ეხედეთ სურათებს და იპოვეთ შესაბამისი ასო, რომელიც უნდა ჩაწეროთ ყუთებში. ვნახოთ რა წინადადებას მიიღებთ. აბა, დაიწყე!

1. ასო

1. ასო

1. ასო

1. ასო

1. ასო

1. ასო

1. ასო

5. ასო

6. ასო

1. ასო

1. ასო

2. ასო

1. ასო

2. ასო

4. ასო

4. ასო

5. ასო

2. ასო

ვინ საით მიდის?

ძვირფასო მეგობრებო!
ქვევით მოცემულია სურათები, სადაც ჩანს, რომ ზოგი პიკნიკზე მიდის, ზოგი- ავადმყოფის მოსანახულებლად, ზოგი-მეჩეთში და ზოგიც -ნათესავთან სტუმრად. თუმცა ერთი პატარა პრობლემაა. ჯერ არ ვიცით, ვინ სად მიდის. მოცემულია მინიშნებები და მათი საშუალებით გამოიცანით ვინ, სად მიდის.

მინიშნებები

1. ნათესავთან მიმავალი ბავშვი მარტო არ არის.
2. პიკნიკზე მიმავალ ბავშვს ქერა თმები აქვს.
3. ავადმყოფის მოსანახულებლად მიმავალი ბავშვის ტანსაცმელი ლურჯი არ არის და ხელში პაკეტი უჭირავს.
4. მეჩეთში მიმავალ ბავშვს არც ქერა თმები აქვს და არც წითელი აცვია.

---

1. ნათესავების მოსანახულებლად დადიხარ? შენი აზრით, რატომაა მნიშვნელოვანი ნათესავის მონახულება?

2. შენი აზრით, რატომაა მნიშვნელოვანი ავადმყოფის მონახულება?

3. ავადმყოფის მონახულების დროს, რას უნდა მივაქციოთ ყურადღება?

4. დაასახელეთ ქცევები, რომლებიც ადამიანთა ერთიანობას უწყობს ხელს.

6. თავი

სიმართლე და სანდოობა

სიმართლეს არ ვუღალატებ

სიმართლე ყოველ სიტყვასა და ქცევაში სწორად მოქცევას ნიშნავს. ჩვენ მოგვიხდება ისეთი ქცევა, რომელიც ნებისმიერ სიტუაციაში სიმართლეზე იქნება დამყარებული. სიმართლე არასოდეს მიგვატოვებს და რთულ მდგომარეობაში არ ჩაგვაგდებს. სანამ სიმართლეს ვილაპარაკებთ და სწორად მოვიქცევით, ღვთისა და ადამიანების სიყვარული არ მოგვაკლდება. ამ გზით ადამიანური ურთიერთობებიც უფრო მყარი და სანდო გვექნება.

წინაპრებს უთქვამთ, ტყუილს მოკლე ფეხი აქვსო. ეს იმას ნიშნავს, რომ ყველა ტყუილი ადრე თუ გვიან გამომჟღავნდება. მატყუარა ადამიანი რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდება და ადამიანები მას აღარ ენდობიან. ჩვენც არ ვისურვებდით, რომ მეგობრად მატყუარა ადამიანი გვყოლოდა. როცა არ ვენდობით ვერც საიდუმლოს გავანდობთ და მასთან ერთად თამაშიც კი უსიამოვნო იქნება.

როდესაც მართალი ვართ, ცხოვრებისეული პრობლემების მიმართაც უფრო მეტ გაბედულებას ვიჩენთ და პრობლემებს უფრო იოლად ვაგვარებთ. სიმართლე არა მარტო კარგი საქციელია, არამედ ის ბევრ სიკეთეს მოგვიტანს.

ვისწავლოთ ერთ აიათი

„მაშ, მტკიცედ იდექი, როგორც გებრძანა, და ვინც მოიქცა შენთან ერთად . და არ გადახვიდეთ ზღვარს. უეჭველად, იგი ხედავს, რასაც სჩადიხართ!“

(სურა ჰუდი, აიათი 112)

ვისწავლოთ ერთ აიათი

„უეჭველად, რომელთაც თქვეს: „ღმერთი ჩვენი ალლაჰია“ მერე კი იყვნენ მტკიცენი , არცა შიში ექნეთ და არცა სადარდებელი.

სწორედ, ისინი არიან სამოთხის მკვიდრნი, იქ დარჩებიან სამუდამოდ, საზღაურად იმისა, რასაც სჩადიოდნენ“.

(სურა აჰქაფი, აიათი 13-14)

შეგიძლია მენდო

ჩვენი დაბადებიდან დღემდე ყველა ის ადამიანი, ვისაც ვუყვარვართ და გვაფასებს, ჩვენს გვერდითაა. როგორც კი ამქვეყნიური ცხოვრება იწყება, ჯერ მშობლებს, ხოლო შემდეგ ოჯახის სხვა წევრებს ვეცნობით და ისინი გვიყვარდება. შემდეგ ვიძენთ მეგობრებს, რომლებთანაც ერთად გვითამაშია და ბევრი სასიამოვნო მოგონება გვაკავშირებს. ასე ცხოვრება უფრო მშვენიერია.

ჩვენი ცხოვრების საუკეთესო მაგალითი შუამავალია. ის ყველას უყვარდა და ყველასათვის კარგი მეგობარი იყო. ის სიმართლეს არასოდეს ღალატობდა. ის ყველაზე სანდო ადამიანი იყო. ის მეგობრებს არასოდეს აწყენინებდა და ცუდ სიტყვებს არ იყენებდა. ასევე ის არავის ტოვებდა იმედგაცრუებულს.

ჩვენც უნდა ვეცადოთ, რომ სიმართლის გზაზე ვიაროთ და გარშემომყოფთა სიყვარული და ნდობა დავიმსახუროთ. უნდა ვეცადოთ, რომ ერთმანეთის უფლებები არ დავარღვიოთ. უნდა მოვერიდოთ ისეთი სიტყვების თქმას, რომლებიც სხვებს გულს ატკენს. როდესაც რაიმეს ვამბობთ ან

რაიმის გაკეთებას ვაპირებთ, ჩვენი თავი სხვის ადგილას უნდა დავაყენოთ და დავფიქრდეთ, მოგვეწონებოდა თუ არა ის ნათქვამი ან გაკეთებული, რასაც ჩვენ ვაპირებთ.

ჩვენ ასევე უნდა ვეცადოთ, რომ ადამიანები მიუღებელი ნიშნით არ განვასხვავოთ. ჩვენთვის მთავარია ვთქვათ სიმართლე და მოვიქცეთ სწორად. კარგი ქცევა კარგია, მიუხედავად იმისა, თუ ვინ გააკეთებს მას. ცუდი ქცევაც ცუდია და მნიშნელობა არ აქვს, ვინ ჩაიდენს მას.

ჩვენ სხვას ისეთ რამეს არ გავუკეთებთ, რაც არ გვინდა,რომ ჩვენ გაგვიკეთონ. მაგალითად, რიგში დგომისას სხვებს გვერდს არ ავუვლით და წინ არ ჩავდგებით. სხვის საკუთრებას არ შევეხებით. თუ რამ შეცდომა მოგვივა, ამას სხვას არ გადავაბრალებთ და შეცდომას თავად ვაღიარებთ.

ჩვენ ამ ყველაფერს ვითვალისწინებთ, რადგან ეს ყველაფერი მართალი ადამიანისთვის დამახასიათებელი ქცევებია. ჩვენ ვიცით, რომ ღმერთი სამართლიანია და სამართლიანობა უყვარს. შუამავალიც ყოველთვის სამართლიანად იქცეოდა. ამის გამო, საჰაბეები, ანუ შუამავლის მეგობრები უზომოდ ენდობოდნენ მას და ძალიან უყვარდათ. მაგალითად, შუამავლის უახლოესი მეგობარი, აბუ ბაქარი შუამავლის ნებისმიერ სიტყვას უყოყმანოდ იჯერებდა. თუ მან თქვა, ესე იგი მართალიაო, ამბობდა ის.

ადამიანურ ურთიერთობებში ნდობა გადამწყვეტ მნიშვნელობას ატარებს. თუ ისეთ რამეს გავაკეთებთ, რომ ნდობა შეირყევა, ურთიერთობა ისეთი ველარ იქნება, როგორიც მანამდე იყო.

ვისწავლოთ ერთ აიათი

„და ისინი, რომელნიც მათზე დადებულ აღთქმანს და ანაბარს იცავენ,
და ისინი, რომელნიც თავიანთ მოწმეობაზე ჭეშმარიტად ადგანან,
და ისინი, რომელნიც თავიანთ ლოცვებს იცავენ.
სწორედ ეგენი არიან სამოთხენში პატივდადებულნი“.
(სურა მეღარიჯი, აიათი 32-35)

მიცემული სიტყვის შესრულება ადამიანებში ნდობას აჯანსაღებს და ამავდროულად ღმერთისთვის საყვარელი მსახური ვიქნებით. ამრიგად, ამქვეყნიურ ცხოვრებაში სიმართლე, სანდოობა და პატიოსნება უინიშვნელოვანესი ფაქტორებია და ისინი სიმშვიდითა და ბედნიერებით სავსე ცხოვრებას განაპირობებს. ამასთანავე, ამ გზით ღვთის მიერ დაწესებული ჯილდოს მიღების კანდიდატებიც შეიძლება გავხდეთ.

იცოდი?

შუამავალი ბრძანებს, რომ თუ ადამიანი მორწმუნე ძმისთვის ღმერთს შეევედრება, მისი ვედრება აღსრულდება. ის გვირჩევდა, რომ ერთმანეთისთვის ღმერთს შევევედროთ.

ვისწავლოთ ერთ ჰადისი

ერთ დღეს შუამავალს კითხეს, ვინ არის საუკეთესო ადამიანიო.

მან კი უპასუხა, რომ სუფთა გულის და მართალი სიტყვის მქონეო.

?

ვიფიქროთ, გამოვიკვლიოთ, გავუზიაროთ!

- რატომ არის მნიშვნელოვანი, რომ ყოველთვის მართალი ვიყოთ?
- რას მოგვიტანს სიმართლე?

კითხვა ჩემგან, პასუხი შენგან

გამარჯობა მეგობრებო!
მე ვარ ფატიმა. მეც თქვენსავით ყურანის კურსს გავდივარ და ამის გამო ძალიან ბედნიერი ვარ. მინდა რამოდენიმე ამბავი გაგანდოთ და თქვენი მოსაზრება მოვისმინო იმის თაობაზე, თუ როგორ მოიქცეოდით ჩემს ადგილას. რას იტყვით, ვისაუბროთ?

1. ძალიან მიყვარს სირბილი. ერთხელ, როდესაც ქუჩაში მივრბოდი ერთ ბავშვს შევეჯახე და ორივე ძირს დავეცით. ჩემს ადგილას რომ ყოფილიყავით, როგორ მოიქცეოდით?

.....

2. გუშინ პურის საყიდად მარკეტში წავედი. შინ დაბრუნებისას შევნიშნე, რომ მარკეტის გამყიდველს ზედმეტი ხურდა მოუცია. მე მგონი ზედმეტად დაღლილი იყო და შეეშალა. ჩემს ადგილას როგორ მოიქცეოდით?

.....

3. გუშინ საღამოს მეგობართან სტუმრად წავედით. თამაშის დროს შემთხვევით მისი სათამაშო გავტეხე, მაგრამ ჩემი მეგობარი იმ დროს იქ არ იყო. ჩემს ადგილას როგორ მოიქცეოდით?

.....

4. გუშინ სახლში სირბილით მოვედი. ძალიან მშიოდა. სამზარეულოში შევედი, რათა დედას დავხმარებოდი. იქ შესულმა დავინახე, რომ დედას ტოლმა კი არ მოიმზადებია, არამედ სხვა საჭმელს აკეთებს, არადა მე ტოლმის მომზადება ვთხოვე. ჩემს ადგილას რას გააკეთებდით?

.....

5. ახლა კი მომიყევით ერთი ამბავი, რომელიც თავს გადაგხდათ და მითხარით, როგორ მოიქეცით.

.....

ყოველთვის გამარჯვების საიდუმლო

შუამავლის მეგობართაგან

ებუ ჰურაირა მოგვითხრობს:

ღვთის შუამავალი ბაზარში სეირნობდა და ხორბლის გამყიდველთან მივიდა. როდესაც ხელი ხორბლიან ტომარაში ჩაყო, თითები დაუსველდა. ეს რა არისო, ჰკითხა შუამავალმა. წვიმამ დაასველაო, უპასუხა ხორბლის გამყიდველმა. ამის თაობაზე შუამავალმა ბრძანა:

„ეს რომ ზევით ამოგეყარა და ადამიანებს დაენახათ, არ შეიძლებოდა?" შემდეგ კი დასძინა: **„ვინც გვატყუებს, ჩვენიანი არ არის."**

ვიფიქროთ...

1. შენი აზრით, ამ ამბიდან რა უნდა ვისწავლოთ?

.....

2. როცა რაიმეს იყიდი და ის რომ გაფუჭებული გამოდგეს, რას იგრძნობ? როგორ მოიქცევი?

.....

3. შენი აზრით როგორც ჯობია რომ მოვიქცეთ?

.....

4. შენი აზრით, რა არის სიმართლე? შეგიძლია მართალი ადამიანის ქცევები ჩამოთვალო?

.....

7. თავი

გაზიარება და ურთიერთდახმარება

გაზიარება კარგია

გაზიარება და ურთიერთდახმარება, მარტივად რომ ვთქვათ, საკუთარი რაიმის სხვაზე მიცემაა. გაზიარება მხოლოდ ფულის ან ნივთს მიცემით არ მთავრდება. ადამიანების გულის მოგება, მათზე მოსმენა, მათი ტკივილისა თუ სიხარულის გაზიარებაც ხომ გაზიარებაა.

ჩვენ ვიცით, რომ გაზიარება კარგი საქციელია, ამიტომ ყოველთვის ვცდილობთ, რაც გვაქვს სხვებსაც გავუზიაროთ. მაგალითად, მარკეტში ნაყიდი შოკოლადის მეგობრებზე მიცემა კარგი საქციელია. სადღესასწაულო დღეებში მეზობლებთან სტუმრად მივდივართ და მათ სიხარულს ვიზიარებთ. ასევე ვიზიარებთ გაჭირვებასა და სატკივარსაც.

ვისწავლოთ ერთ ჰადისი

„სანამ ადამიანი თავის ძმას ეხმარება, ღმერთიც იმ ადამიანის შემწეა“.

ურთიერთდახმარება ღვთის წინაშე ერთ-ერთი სასურველი ქცევაა. ყველამ ვიცით, რომ ჩვენი საყვარელი შუამავალი ძალიან ხელგაშლილი ადამიანი იყო. ის ადამიანებს ყველაფრით ეხმარებოდა; ფულით, საჭმლით, სასმელით, სიყვარულით, უთმობდა დროს, ყურადღებას და ა.შ. ის ამბობდა: „თუ რომელიმე თქვენგანს, თავისი მორწმუნე ძმისთვის იგივე არ სურს, რასაც თავისთვის ისურვებდა, ჩვენიანი არ არის“.

ჩვენ ყოველთვის ყურადღებას უნდა ვაქცევდეთ იმ ადამიანებს, რომლებიც ჩვენს ირგვლივ ცხოვრობენ. ჩვენ უნდა დავინტერესდეთ მათი პრობლემებით და შეძლებისდაგვარად დავეხმაროთ. გაჭირვებაში ჩავარდნილი ადამიანის შველა, კეთილშობილი საქციელია და ამის გამო ღმერთი დაგვაჯილდოვებს.

ურთერთდახმარებასა და გაზიარებას დიდი სარგებლობა მოაქვს როგორც ცალკეული ადამიანებისთვის, ისე მთლიანად საზოგადოებისთვის. ამგვარი საქციელი საზოგადოებაში სიმშვიდესა და სტაბილურობას უზრუნველყოფს. ძლიერდება მეგობრობა და ურთიერთობები. ადამიანები ერთობისა და ერთიანობის მნიშვნელობას და სილამაზეს ხვდებიან.

იპოვეთ განსხვავება

ძვირფასო მეგობრებო!
შეადარეთ სურათები ერთმანეთს და იპოვეთ 9 განსხვავება.

- რატომ არის მნიშვნელოვანი დახმარება?
- შუამავალი ბრძანებს: „ვისაც მეზობელი მშიერი ჰყავს და თვითონ მაძღარი წევს, ჩვენიანი არ არის!“ რას გვასწავლის ეს ჰადისი?

სიტყვებზე ნადირობა

ძვირფასო მეგობრებო!
გამოცანაში ფარული სიტყვებია დამალული. კარგი თვისებები გულებთან დაწერეთ, ხოლო ცუდი ხელის ნიშანთან.

ზ	ხ	ს[1]	ი	მ	ა	რ	თ	ლ	ე	ზ
ქ	წ	ე	რ	ტ	ყ	უ	ი[2]	ო	პ	შ
ს	ი	კ[3]	ე	თ[5]	ე[6]	ს	დ	ფ	გ	უ
ი	ზ	ხ	ც	ვ	ბ	ნ	მ	ნ	ბ	რ
ც	ქ	მ	წ	ე	რ	ტ	ყ	უ	ი	ი
რ	რ	ტ	ა[8]	ს	დ	ფ	გ	გ	ღ	მ
კ[7]	ე	რ[9]	თ	გ	უ	ლ	ე[4]	ბ	ა	ნ
ე	ზ	ო	ხ	ც	ვ	ბ	ნ	მ	ლ	გ
მ	ნ	გ[10]	ბ	ვ	ც	ხ	ხ	ზ	ა[12]	ბ
ქ	წ	ა	ე	რ	ტ	ყ	უ	ი[11]	ტ	ვ
მ	ე	გ	ო	ბ	რ	ო	ბ	ა	ი	ც

ს ♥
ს ♥
ე ♥
მ ♥

ს ✋
მ ✋
ღ ✋
შ ✋

- ზემოთ მოცემულ ცხრილში ზოგიერთ ასო მოთავსებულია წრეში. რიგის მიხედვით ჩასვით მოცემულ კვადრატებში.

დავასრულოთ ამბავი

ძვირფასო მეგობრებო!
თქვენთვის ამბავი მოვამზადეთ, მაგრამ ეს ამბავი დასრულებული არ არის. იფიქრეთ ავადმყოფის მონახულებაზე და ავადმყოფთან სათქმელ სიტყვებზე და დაასრულეთ ამბავი.

ელიფი, რომელიც სკოლიდან დაბრუნდა, როგორც ყოველთვის, სახლის კიბეებზე სირბილით არბოდა. სახლის კარებთან მისულმა დაინახა, რომ კარის მეზობლის ბინიდან ვიღაც უცნობი ადამიანი გამოვიდა.ჩაცმულობაზე ეტყობოდა, რომ ეს ადამიანი ექიმი იყო. ექიმმა ელიფს გამელაპარაკა:

- პატარა ქალბატონო, შენი მეზობელი, ბიძია მეჰმედი კიბეზე დაეცა და ფეხი მოიტეხა, შენც ფრთხილად უნდა იყო კიბეებზე. გაკვირვებულმა ელიფმა უპასუხა:

- მართლა? ვწუხვარ. ღმერთის დახმარებით მალე გამოჯანმრთელდება. დღე მშვიდობისა. ეს თქმა ელიფმა და ბინის ზარი დარეკა. კარი დედამ გაუღო. ელიფი სახლში შევიდა, ხელები დაიბანა და დედის მიერ მომზადებულ სუფრას მიუჯდა. დედამ მოწყენილობა შეამჩნია.

- რა გჭირს ელიფ, მოხდა რამე? ელიფი აღელვებული იყო.

- ძალიან გემრიელი წვნიანია დედა. ერთი თეფშით მეტი წვნიანი არ გვაქვს? - ჰკითხა დედას.

დავასრულოთ ამბავი

- სათაურის გარეშე მოთხრობა გაგონილა? თუ ეს ამბავი დაასრულეთ, ახლა სათაური შეურჩიეთ და დაუწერეთ.

იპოვეთ განსხვავება

ძვირფასო მეგობრებო!
ქვემოთ მოცემულია ორი სურათი, რომლებიც ერთმანეთს ძალიან გავს. იპოვეთ 9 განსხვავება, შემდეგ კი ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს უპასუხეთ.

ვიფიქროთ...

1. რას ხედავთ სურათზე?

2. ამ სურათს რომ სათაური სჭირდებოდეს, რა სახელს მოუფიქრებდით?

3. რთულ სიტუაციაში ჩავარდნისას, როგორ გინდა რომ გარშემო მყოფი ადამიანები მოიქცნენ?

4. შენ ოდესმე ასეთი რამ შეგემთხვა? ვინ დაგეხმარა? რა იგრძენოთ?

8. თავი

შრომა

შრომით შეგვიძლია წარმატებას მივაღწიოთ

ჩვენი მასწავლებლების და მშობლებისგან მუდმივად გვესმის შეგონება: „ისწავლე!“ ამ სიტყვას ზოგჯერ შეუძლია საყვარელ თამაშს, ან კომპიუტერს მოგვწყვიტოს. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ უფროსებს ჩვენთვის სიკეთე სურთ. მათ უნდათ, რომ წარმატებული ვიყოთ და ოცნებები ავიხდინოთ. ამ ყველაფერს კი შრომა სჭირდება.

თუ ძალიან არ მოვიმდომებთ და არ ვიწვალებთ ველოსიპედის კარგად ტარებას ვერ შევძლებთ. ასევე ვერ ავიღებთ მაღალ ქულას თუ გამოცდისთვის არ ვიმეცადინებთ. შესაბამისად, შრომას მოაქვს წარმატება.

მუსლიმი ბეჯითი ადამიანია. ყურანში, კერძოდ ნეჯმის სურას 39-ე აიათში ღმერთი ბრძანებს: „და რომ არფერია ადამიანი, გარდა იღვწოდა რასაც“.

შრომა ღვთისმსახურებაა. ჩვენთვის ყველაზე შესაფერისი მდგომარეობა სიბეჯითეა. უნდო გვქონდეს პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა და ოჯახისა და ქვეყნისთვის სასარგებლო პიროვნებები უნდა ვიყოთ.

ამ ცხოვრებაში ყველას გვაქვს ოცნებები და ის მიზნები, რომლებსაც გვინდა, რომ მივაღწიოთ. ზოგ ჩვენგან სურს, რომ კარგად სწავლობდეს და კარგი ნიშნები ყავდეს. ზოგს სურს, რომ ბევრი წიგნები იკითხოს. ზოგს სურს წარმატებული სპორცმენი გახდეს. ეს ყველაფერი კი, მხოლოდ და მხოლოდ შრომით მიიღწევა.

ჩვენ ვიშრომებთ და შედეგს ღმერთისგან ველოდებით

ჩვენს ცხოვრებაში შეიძლება ზოგჯერ პრობლემები შეგვექმნას და საქმეები თვისი გზით აღარ წავიდეს.ზოგჯერ შეიძლება ძალიან გვინდოდეს რაღაც, მაგრამ ვერ მივაღწიოთ. ასეთ შემთხვევაში ძალიან გვეწყინება ხოლმე. შეიძლება უახლოეს მეგობართან შელაპარაკება მოგვიიდეს და გავებუტოთ, ამის გამო კი თავს ძალიან ცუდად ვგრძნობდეთ. ასეთ დროს გვგონია, რომ ყველაფერი ძალიან ცუდადაა და ეს აღარასოდეს დასრულდება.

ღმერთმა ყველაფერი იცის და მას ჩვენთვის საუკეთესო სურს. ამის ცოდნა ადამიანებს გვამშვიდებს და იმედით გვავსებს. როდესაც გვწამს, ეს ნიშნავს, რომ დაცულები ვართ და ყველაფერში ღვთის ნებას ვხედავთ, რომელიც საბოლოოდ ჩვენთვის საუკეთესო შედეგით დასრულდება. ამის გამო ჩვენ სასოწარკვეთილებას აღარ მივეცემით და იმედით ვივსებით. თუ რაიმე პრობლემას წავაწყდებით, ყველანაირად ვეცდებით მოვაგვაროთ და შედეგს ღმერთისგან დაველოდებით. ჩვენ უნდა ვეცადოთ, უნდა ვიბრძოლოთ, უნდა ვიშრომოთ და შედეგს ამის შემდეგ დაველოდოთ.

ვისწავლოთ ერთ აიათი

„და რომ არფერია ადამიანი, გარდა იღვწოდა რა-
საც. და უეჭველად, გარჯა მისი სულ მალე დანახულ
იქნება. მერე მიეგება მას საზღაური სრულად“.

(სურა ნეჯმი, აიათი 39-41)

ვისწავლოთ ერთი ჰადისი

ერთმა კაცმა შუამავალს მიმართა: შუამავალო!
ჯერ აქლემი დავაბა და შედეგს ღმერთისგან
დაველოდო თუ დაბმამდე დაველოდო?
შუამავალმა უპასუხა: ჯერ დააბი და შემდეგ დაელოდე.

მარცვალ- მარცვალ გამოცანა

ძვირფასო მეგობრებო!
ქვემოთ მოცემული მარცვლები სწორად დაალაგეთ, შემდეგ კი მიღებული სიტყვები გამოიყენეთ წინადადებაში.

თი ერთ მა ბა ურ დახ რე

_____

მა შრო

_____

ბრო მე ბა გო

_____

ფთა სი ვე სუ

_____

ზო ბა მე ბლო

_____

ზი ბა ა რე გა

_____

შემაჯამებელი კითხვები

1. შუამავალი ბრძანებს: „ორი წყალობაა, რომელთა ფასი ადამიანთა უმრავლესობამ არ იცის. ესნია: ჯანმრთელობა და თავისუფალი დრო. ქვემოთ მოცემულთაგან რომელი არ შეესაბამება იმ ადამიანის ქცევას, რომელმაც ჯანმრთელობისა და თავისუფალი დროის ფასი იცის?

   ა) არდადეგებზე წიგნის კითხვა უყვარს

   ბ) ჯანმრთელობისთვის საზიანო რამეებს ერიდება

   გ) დავალებებს თავის დროზე არ ასრულებს

   დ) დროს კარგად იყენებს

2. ყურანში ნაბრძანებია, რომ ღმერთს კეთილი, სანდო, შემწყნარებელი, სამართლიანი, მიცემული სიტყვის პატრონი და მოკლედ, კარგი ქცევების მქონე ადამიანები უყვარს. ქვემოთ მოცემულთაგან რომელი არ არის იმ ადამიანის ქცევა, რომელიც ღმერთს უყვარს?

   ა) სიკეთის გზაზე შრომობს

   ბ) მართალ სიტყვას ამბობს

   გ) შეცდომისგან მაგალითს ვერ იღებს

   დ) ადამიანის უფლებებს იცავს

3. ქვემოთ მოცემულთაგან რომელი არ მიეკუთვნება მაღალი ზნეობის მქონე ადამიანის ქცევას?

   ა) ერთგული და ბუნებრივია

   ბ) ხელგაშლილი და სტუმართმოყვარეა

   გ) ბეჯითი და მონდომებულია

   დ) ძუნწი და მფლანგველია

4. ქვემოთ მოცემულთაგან, რომელია კარგი ქცევის მაგალითი?

   ა) ყოველთვის გაბუტული ყოფნა

   ბ) ადამიანებთან ურთიერთობისას უხეშობა

   გ) სწორად მოქცევისთვის გამბედაობა

   დ) ტყუილისა და ჭორების გავრცელება

5. სხვებზე მოსმენა, მათი აზრებისა და განცდების გაზიარება პატივისცემაა. ადამიანის უფლებების ცოდნა და მათი დაცვაც, პატივისცემაა. სხვების გაგებაც პატივისცემაა. გამომდინარე აქედან, რომელი ქცევა არ მიესადაგება ადამიანს, რომელსაც პატივისცემა ახასიათებს?

ა) ლაპარაკის დროს სიტყვას არ აწყვეტინებს

ბ) სხვების გრძნობებს დასცინის

გ) არავის დაამცირებს

დ) იცავს საერთო წესებს

6. ქვემოთ მოცემულთაგან, რომელი ქცევა არ შეესაბამება მართალ ადამიანს?

ა) მართალს ამბობს

ბ) სხვების უფლებებს იცავს

გ) სხვას ისეთ რამეს არ გაუკეთეს, რასაც ვერ აიტანდა

დ) სურს რომ განსხვავებულად მოექცნენ

7. ქვემოთ მოცემულთაგან, რომელი არ შეესაბამება ძმების ქცევას?

ა) გაზიარება

ბ) ურთიერთდახმარება

გ) კარგი ურთიერთობა

დ) შური

8. უშრომლად წარმატება არ მოვა. ქვემოთ მოცემულთაგან, რომელი შეესაბამება ამ ნათქვამს?

ა) გაზიარება გვაბედნიერებს

ბ) ვისაც მეზობელი მშიერი ყავს და მაძღარს ძინავს, ჩვენიანი არ არის

გ) ადამიანს სამართლიანი ქცევა შეჰფერის

დ) წარმატებისთვის შრომაა საჭირო

9. ქვემოთ მოცემულთაგან რომელი არ შეესაბამება მშობლებთან კარგი ქცევის მაგალითს?

ა) ვედრება

ბ) ურთიერთშეთანხმება

გ) სიყვარულის გამოხატვა

დ) უხეში პასუხის გაცემა

10. რაც არ გვინდა რომ ჩვენ გაგვიკეთონ, ჩვენც არ გავუკეთებთ. მაგალითად, რიგში დგომისას წინ არ გადავიწევთ და ურიგოდ შესვლას არ შევეცდებით. ყოველთვის სინდისიერად და პატიოსნად მოვიქცევით. ამ ტექსტს, რომელი სათაური შეეფერება?

ა) შემწყნარებლობა

ბ) სიმართლე და პატიოსნება

გ) სიბეჯითე

დ) დახმარება

11. ქვემოთ მოცემულთაგან რომელი არ შეესაბამება ჭამის წესებს?

ა) მარჯვენა ხელით ჭამა

ბ) შენს წინა რაცაა იმის ჭამა

გ) თეფშში საჭმლის მოსუფთავებამდე ადგომა

დ) ჭამამდე და ჭამის შემდეგ ხელების დაბანა

12. ქვემოთ მოცემულთაგან რომელი არ შეესაბამება მშობლების მიმართ ვალდებულებებს?

ა) საქმეებში დახმარება

ბ) მათი რჩევების მოსმენა

გ) ხმის ამაღლება

დ) სადმე რომ მივდივართ, მათგან ნებართვის აღება

13. ქვემოთ მოცემულთაგან, რომელი არ შეესაბამება კარგი ქცევის მაგალითს?

ა) შეცდომის დაშვებისას ბოდიშის მოხდა

ბ) სიკეთის გამკეთებელზე მადლობის გადახდა

გ) როცა სხვისი ნივთის გამოყენება გვინდა, მისგან ნებართვის აღება

დ) მოუთმენლობა

14. ქვემოთ მოცემულ ჰადისში გამოტოვებულია სიტყვები. ქვემოთ მოცემულთაგან რომელ რიგშია ეს სიტყვები მოცემული?

- ხუთი რამის მოსვლამდე ამ ხუთი რამის ფასი იცოდეთ:
- სიკვდილის მოსვლამდე, სიცოცხლის;
- ვადმყოფობამდე, ...;
- მოუცლელობის მოსვლამდე თავისუფალი დროის;
- ..... მოსვლამდე ახალგაზრდობის;
- სიღარიბის მოსვლამდე სიმდიდრის.

ა) ჯანმრთელობის- სიმდიდრის

ბ) სიცოცხლის- მოხუცებულობის

გ) ჯანმრთელობის- მოხუცებულობის

დ) სიკვდილის- თავსუფალი დროის

შემწყნარებელი ვარ;
არავის ვაწყენინებ.

თავაზიანი ვარ;
ყველა არსებას
პატივისცემით ვეპყრობი.

მომთმენი ვარ;
მოთმინება შემიძლია და
იოლად არ ვნებდები.

მიმტევებელი ვარ;
შეცდომებს ვპატიობ.

სიყვარულით სავსე ვარ;
ღმერთი, შუამავლები, ჩემი ოჯახი,
ჩემი სამშობლო, ყველა არსება
მიყვარს.

სანდო და წესიერი ადამიანი ვარ;
როცა მენდობიან არ ვღალატობ.

მამაცი ვარ;
მართალი საქმისთვის გაბედულად ვმოქმედებ.

ბეჯითი ვარ;
დაკისრებულ მოვალეობას პირნათლად ვასრულებ.

ხელგაშლილი ვარ;
მიყვარს გაზიარება.

სუფთა ვარ;
სისუფთავე მიყვარს.

მშვიდობისმოყვარე ვარ;
პრობლემებს არა ჩხუბით, არამედ დიალოგით ვაგვარებ

სიმართლის მთქმელი ვარ.
ყოველ საქმეში სიმართლეს ვიცავ.

წყაროები

1 ყურანის გზა, კომისია, რელიგიის საქმეთა სამინისტროს გამომცემლობა

2 ისლამი ჰადისებში, კომისია, რელიგიის საქმეთა სამინისტროს გამომცემლობა

3 ჩემი სარწმინოება ისლამი, ედამი, რელიგიის საქმეთა სამინისტროს გამომცემლობა

4 ილმიჰალი I-II, რელიგიის საქმეთა სამინისტროს გამომცემლობა

5 ისლამის ცოდნის წყარო, კომისია, რელიგიის საქმეთა სამინისტროს გამომცემლობა

6 ჰზ. შუამავალი და უნივერსალური გზავნილი, იბრაჰიმ სარიჩამი, რელიგიის საქმეთა სამინისტროს გამომცემლობა.

7 დიანეთის საბავშვო ჟურნალი, რელიგიის საქმეთა სამინისტროს გამომცემლობა

8 ღვთისმსახურებას ვსწავლობ, აიშე ოზთურქი, რელიგიის საქმეთა სამინისტროს გამომცემლობა

9 ვედრებას ვსწავლობ, რაბია გულჯანი, რელიგიის საქმეთა სამინისტროს გამომცემლობა

10 ჩემს სარწმუნოებას ვსწავლობ, ალფასლან დურმუში, ჰატიჯე იშlლაქი, ილიას ასლანი, ნერიმან ქარათექინი, რელიგიის საქმეთა სამინისტროს გამომცემლობა

11 ჩვენს შუამავალს ვსწავლობ, კომისია, რელიგიის საქმეთა სამინისტროს გამომცემლობა

12 ჩემს წიგნს ვსწავლობ, ოსმან ოზბაღჩე, რელიგიის საქმეთა სამინისტროს გამომცემლობა

13 მორალს ვსწავლობ, ბილგენურ ჩორლუ, რელიგიის საქმეთა სამინისტროს გამომცემლობა

14 ჩვენს სარწმუნოებას ვსწავლობთ, ყურანის საზაფხულო კურსების საბავშვო სახელმძღვანელო, თურქეთის რელიგიის ფონდის გამომცემლობა

15 40 ჰადისი ბავშვებისთვის, მ. იაშარ ქანდემირი, რელიგიის საქმეთა სამინისტროს გამომცემლობა

16 ამბები შუამავალზე, ბილგენურ ჩორლუ, რელიგიის საქმეთა სამინისტროს გამომცემლობა

17 რელიგიური ღირებულებების სერია. კომისია, რელიგიის საქმეთა სამინისტროს გამომცემლობა